



ციბახანი

№ 117 / 26 ნომბერი - 3 დეკემბერი / 2012

ინტერვიუ არჩილ კვიციანიტთან **33. 12**

სამიზნე: თბილისის მერია **33. 18**

სამართლიანობის აღდგენა თუ პოლიტიკური სვლა? **33. 23**

წულოვანი ტოლერანტობის შედეგი **33. 32**

სამხატვრო აკადემიის უცვლელი ნატურმოტი **33. 42**

აფხაზური იზოლაციონიზმი **33. 48**

გავპრწყინდეთ თუ არ გავპრწყინდეთ? **33. 60**

ISSN 1987-7528



ფანი 2 ლარი



ჩეხანაძე მოქალაქეობა და წიხი

33. 38

ՈՅՄՅԿՈՒ
ՁՆՆԵՐԻ ՆԲՆՈ
ՄՆԵՆՁՁՔՆԵՅԲԵՂ



	POS.	FREC.	STD.	SR.	FEC.
EUTELSAT 36B	36°	11446 H	DVB-S	2222	3/4
HOTBIRD 13A	13°	11585 V	DVB-S	27500	3/4
TURKSAT 3A	42°	12639 V	DVB-S	4070	5/6

მთავარი რედაქტორი
შორენა შვერდაშვილი

ალმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
სოფო ბუკია

შურნაღისტები:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მალაღდაძე, ლევან ახალაია, ლაშა ქავთარაძე

კონტრიბუტორები:

ბექა ქურხული, ვასო კუჭუხიძე, ლევან ტატიშვილი, ნანა ზიგანოვი, დემის პოლანდოვი, სეიმურ ქაშიშვილი, კახა თოლორაძე, თემო ბარძიმაშვილი

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
თამარ ლონდაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვისა და გიგანის
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
გაყიდვის მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი
მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი
დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოცემის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.



22 ნოემბერს, პრემიერის საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებული ხმაურის-ნი განცხადება რომ გავრცელდა, „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ კონფერენციაზე ვიყავი. „თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების ინტერესების გამტარებელი გახდება, „მეცხრე არხი“ დაიხურება და მისი კუთვნილი შენობა და ტექნიკა საზოგადოებრივ მაუწყებელს გადაეცემა, თუ ეს ასე არ მოხდა, „მეცხრე არხი“ იქცევა საზოგადოებრივ მაუწყებლად“, – განაცხადა ივანიშვილმა.

დავიბენით და გავბრაზდით! რას ნიშნავს მე-9 არხის და საზოგადოებრივი მაუწყებლის შერწყმა? ვინ გადანყვეტს, არის თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოებრივი ინტერესების გამტარებელი? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე კონტროლის მოპოვებას ამჯერად ახალი ხელისუფლება ცდილობს?

პრემიერის განცხადებამ ცალსახად მიანიშნა იმაზე, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით, ხელისუფლება, ჯერჯერობით, ჩაკეტილ ოთახში ფიქრობს და გვერდს უვლის იმ დისკუსიას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებაში, უკვე წლებია, მიდის. როგორ უნდა გათავისუფლდეს საზოგადოებრივი მაუწყებელი ხელისუფლების გავლენისაგან? რა საკანონმდებლო მექანიზმები არსებობს ამისათვის და საჭიროა თუ არა ახალი საკანონმდებლო ინიციატივები? როგორ უნდა დაიგეგმოს მაუწყებლის სისტემური რეფორმა? რით უნდა იყოს პირველი არხი საჭირო, საინტერესო და უნიკალური?

განცხადების შემდეგ ვეცადეთ, გაგვეკვია, რეალურად რა თქვა ივანიშვილმა და რა იგულისხმა. გავიგეთ, რომ დაწყებულია ფიქრი მე-9-ის ბედზე, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, განიხილება სხვადასხვა ვარიანტები. მით უფრო, ჯერჯერობით არ არსებობს ხედვა და გეგმა საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილმა „შუალედური პროდუქტი“ გაასაჯაროვა და თქვა, რასაც ფიქრობს. ზოგადად, ივანიშვილი თითქოს არ ხარჯავს დროს თავისი გამონათქვამების რაფინირებაზე, არც დემოკრატიის გრამატიკაზე ირჯება, ამბობს იმას, რასაც ფიქრობს. რეაქციებიდან გამომდინარე კი, იოლად იცვლის პოზიციას. არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს გააიოლებს მისი, როგორც პოლიტიკოსის ცხოვრებას, მაგრამ თუ ოპტიმისტები ვიქნებით, ეს „საჩვენოდ“ შეიძლება გამოვიყენოთ.

ბატონო პრემიერო, ვიდრე მე-9 არხის, მით უფრო, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბედს გადაწყვეტთ, იქნებ მოგესმინათ ჩვენი ხედვები და არგუმენტები და შემდეგ მიგვლოთ გადაწყვეტილება? კოალიცია „მედია ადვოკატორებისათვის“ მზადაა საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით რეფორმების ინიცირებისა და პროცესის წარმართვისათვის.

იქნებ, ახლა მაინც მოვახერხოთ თანამშრომლობა, რასაც სამოქალაქო საზოგადოებას ჰპირდებით?

შორენა შვერდაშვილი




სამიზნა – თბილისის მუხი

არჩევნებამდე მკვეთრად პოლარიზებულ ამ ორ ძალას შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შედის. მთავარი ბრძოლა მერიის გარშემო გაიშალა. თბილისის მერის, გიგი უგულავას გარშემო წრე სულ უფრო ვინროვდება. მისი მოადგილის, შოთა ხიზანიშვილის დაკავების შემდეგ, გასულ კვირას უკანონოდ მოპოვებული შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდებით სამშენებლო კომპანია NCC-ს ხელმძღვანელი გიორგი ქელბაქიანი დააკავეს. ქელბაქიანი უგულავას ახლო მეგობარია.

მთავარი ბრძოლა

მთავარი პროკურორის კაბინეტში მოსახვედრად დაცვის სამმაგი ზღუდის გადალახვა მოგიწევთ – ეზოში შესვლისას, კორპუსთან და კაბინეტის წინ. მეტალოდეტექტორებით აღჭურვილი მცველები საგულდაგულოდ გჩხრეკენ, ტანსაცმელს და ჩანთებს ამოწმებენ, განსაკუთრებით ტექნიკური მოწყობილობებით – ფოტოაპარატითა და დიქტოფონით ინტერესდებიან...

გახმაურებული დაკავებები, პროკურატურის შეზღუდული რესურსები, საკადრო პოლიტიკა, ზღვარი მართლმსაჯულებასა და პოლიტიკას შორის... „ლიბერალი“ მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს ესაუბრა.


 ზურაბ ვარდიაშვილი 83.12




 სოფო ბუკია 83.18

ჩაქაობა მოქალაქეებს შორის

ოპოზიციურ მედიად მიჩნეულ ტელევიზიებში არჩევნების შემდეგ რეკლამების რაოდენობა თანდათან იზრდება. „მეცხოველი“, „კავკასიასა“ და „მეცხრე არხში“ აცხადებენ, რომ პოლიტიკური ზენოლის მოხსნის შემდეგ მათ ეთერში ბევრი ახალი რეკლამა გამოჩნდა, თუმცა, სარეკლამო ბაზარზე სიტუაცია კვლავ დაურეგულირებელი და გაურკვეველია.

 ეკა მაღალაძე 83.38


სამხატვრო აკადემიის რექტორი აკადემიურმა საბჭომ 15 ნომბერს მოულოდნელად გადაირჩია. საბჭოს წევრები ამბობენ, რომ რექტორის გადარჩევით სამართლიანობა აღადგინეს. სტუდენტების ნაწილისთვის კი, თავად აკადემიური საბჭოს შემადგენლობაა არალეგიტიმური. ისინი აკადემიაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და საჯაროობას ითხოვენ.

 ანი ჭანკოტაძე
03.42

ფოსოჩაჟოხსანი

ბაქო-თბილისი-ყარსი – ევრაზიის ახალი სარკინიგზო „ხიდი“



 თემო ბარძიმაშვილი
03.52-57

ნომერები:



ილუსტრაცია ბაკაბანა სიმონიძის მიერ

- 04 მოკლედ
- 06 ციტატები
ორი აზრი
- 08 უნდა შედიოდნენ თუ არა მმკ-ს წევრები პოლიტპატიმართა სიაში? ნაზი ჯანე ზაშვილი VS ბექა მინდიაშვილი
კომენტარი
- 10 უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის შესახებ
სამართალი
- 23 პოლიტპატიმრები – სამართლიანობის აღდგენა თუ პოლიტიკური სვლა?
- 26 თემიდას ვნებანი
ჟურნალისტური გამოძიება
- 32 არაადეკვატური სასჯელები – ნულოვანი ტოლერანტობის შედეგი
უცხოეთი
- 46 აშშ-ის მომავალი საგარეო პოლიტიკური კურსი
უცხოეთი
- 48 აფხაზური იზოლაციონიზმი
- 50 აზერბაიჯანში პროტესტის გამოხატვა გაძვირდა
კომენტარი
- 58 ზამთრისპირის სევდა
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 60 გაგბრწყინდეთ თუ არ გაგბრწყინდეთ?

გამოცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამოცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ლუაში სახანძრო მოქმედებები მუხდა



21 ნოემბერს ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე ორმხრივი ხელმოწერის შედეგად, ლაზაში სამხედრო მოქმედებები შეწყდა.

სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა კამელ ამრამ გამოაცხადა. მოლაპარაკებებში ეგვიპტისთან ერთად, როგორც ისრაელის, ასევე პალესტინის წარმომადგენლები და აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იყვნენ ჩართულები.

ისრაელის სახელმწიფო რადიოს ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ 22 ნოემბერს, ღამით, ისრაელის მიმართულებით კვლავ განხორციელდა რამდენიმე სარაკეტო თავდასხმა, ებრაულ მხარეს ცეცხლი არ გაუხსნია.

პალესტინის მოსახლეობა, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა სამხედრო მოქმედებების გამო თავშესაფრებში ცხოვრობს, სიხარულით შეხვდა დროებითი ზავის გამოცხადებას.

ცეცხლის შეწყვეტის გადანყვეტილება დადებითად შეაფასა გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა და ლაზას სექტორში გადაუდებელი ჰუმანიტარული დახმარების აუცილებლობაზე ისაუბრა.

„ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი დეტალი გასარკვევი საიმისოდ, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებამ უფრო ეფექტურად იმუშაოს ხანგრძლივ პერსპექტივაში. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გადანყვეტილებამდე ორივე მხარე მივიდა, რაც არსებული საკითხების გადანყვეტის წინაპირობას შექმნის“, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

ისრაელსა და ჰამასს შორის რამდენიმე დღიანმა დაპირისპირებამ 5 ებრაელი-

სა და 150 პალესტინელის სიცოცხლე იმსხვერპლა.

M23-ის აჯანყებულებამ ჯონგოს აღმოსავლეთით ქალაქი დაიკავეს

კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში „23 მარტის მოძრაობის“ (M23) წევრებმა ქვეყნის აღმოსავლეთით ქალაქი გომა დაიკავეს.

M23-ის წევრებმა გომას ალბისათვის სამხედრო მზადყოფნა 18 ნოემბერს გამოაცხადეს, გაეროს სამშვიდობოებს კი მოუწოდეს არ ჩარეულიყვნენ კონფლიქტში და არ დახმარებოდნენ კონგოს სამთავრობო ჯარებს.

კონგოს კონგრესის თავმჯდომარის განცხადებით, M23-ის მოქმედებების უკან რუანდის სახელმწიფო დგას. მისივე თქმით, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ომს ჯერჯერობით არ აცხადებს, თუმცა, ამისთვის ყველანაირი მზაობა არსებობს. გასულ ოთხშაბათს კი კონგოს პრეზიდენტმა ჯოზეფ კაბილამ მზადყოფნა გამოთქვა მოლაპარაკებების წარმოებაზე როგორც რუანდის, ასევე უგანდის სახელმწიფოს წარმომადგენლებთან და უშუალოდ აჯანყებულებთან.

რამდენიმე დღის წინ M23-ის სამხედრო მეთაურებმა გამოაცხადეს, რომ კონგოს გასათავისუფლებელ მოძრაობას ისინი ოფიციალურად იწყებდნენ და დედაქალაქ კინშასას ალბითაც დაიმიქრნენ. M23-ის მოძრაობა 2009 წლის 23 მარტს ჩამოყალიბდა, როდესაც ერთ-ერთმა სამხედრო დაჯგუფებამ CNDP-მა, რომელიც ჩრდილოეთ კივუს პროვინციაში მოქმედებდა, კონგოს მთავრობასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. აჯანყებულთა ნაწილმა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ჩამოაყალიბა და მოძრაობის თარიღის აღსანიშნად M23-ის აჯანყებულები ეწოდათ.

ბრიტანელი სტუდენტები სწავლის საფასუხს ჰხრანენ უკომპანოებში

ბრიტანელი სტუდენტების ეროვნულმა კავშირმა 21 ნოემბერს ლონდონის მასშტაბით საყოველთაო მსვლელობა მოაწყო, რომელსაც ათასობით ბრიტა-

ნელი სტუდენტი შეუერთდა. აქციის მონაწილეები სწავლის მაღალ საფასურს და ახალგაზრდების სამუშაო ადგილების არარსებობას აპროტესტებდნენ. იმავე მოთხოვნებით სტუდენტები 2010 წელსაც გამოვიდნენ, რომელიც პოლიციასთან შეტაკებითა და ძალადობით დასრულდა. ინგლისურ უნივერსიტეტებში სწავლების საფასური განსაკუთრებულად გასული სექტემბრიდან გაიზარდა, როდესაც დაფინანსების ახალი წესი შევიდა ძალაში. სტუდენტთა კავშირის პრეზიდენტის, ლიამ ბერნსის თქმით, მაშინ როდესაც 2015 წელს არჩევნება ქვეყანაში დაგეგმილი, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების სხვა პრობლემებსა და აუცილებლობებზე გამახვილდეს ყურადღება და შეიცვალოს ბრიტანელი პოლიტიკოსების დღის წესრიგი.




„არის საკითხები, რომლებზეც გვინდა, რომ პოლიტიკოსებმა მეტი ისაუბრონ“, – აღნიშნა სტუდენტური გამოსვლების ერთ-ერთმა ლიდერმა.

ახალგაზრდების მარში მრავალათასიანი მიტინგით დასრულდა, სადაც სტუდენტებმა თანატოლებს მეტი რადიკალიზმისკენ მოუწოდეს.

აფეთქებების სიჩიხი ჰაჩისტანში

21 ნოემბერს მომხდარ აფეთქებათა სერიის შემდეგ, რომელმაც საერთო ჯამში, სულ მცირე 31 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 68 კი მძიმედ დაშავდა, პაკისტანელმა თალიბებმა აიღეს პასუხისმგებლობა. ტერორისტებმა ბომბები ააფეთქეს რავალპინდში, კარაჩისა და შანგლაში. აფეთქება ყველაზე მასშტაბური ისლამაბადთან ახლოს მდებარე ქალაქ რავალპინდში აღმოჩნდა, სადაც, ადგილობრივი პოლიციის ცნობით, 23 ადამიანი დაიღუპა.



დაღუპულთა უმეტესობა, საერთაშორისო მედიის ცნობით, შიიტი მუსლიმები არიან. ტერორისტული აქტები ძირითადად მაშინ მოხდა, როდესაც შიიტი მლოცველები რელიგიური ცერემონიის ჩასატარებლად ემზადებოდნენ.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა პაკისტანურმა თალიბანმა, მხოლოდ ერთი დღის დაგვიანებით აიღო. თალიბების ერთ-ერთმა ლიდერმა ისანულაჰ იჰსანმა განაცხადა, რომ ტერორისტული აქტები შიიტთა სამგლოვიარო პროცესიას უკავშირდება, რომელიც ტრადიციულადაა მიჩნეული შიიტებისათვის, სუნიტების აზრით კი, აღნიშნული პროცესია წინასწარმეტყველ მუჰამედს შეურაცხყოფს.

**BBC-ს ახალი ბენეჩაჩი
ლიჩაქოხი ჰყავს**


Royal Opera House-ის აღმასრულებელი შეფი და BBC-ის ახალი ამბების ყოფილი პროდიუსერი ტონი ჰოლი BBC-ის ახალ გენერალურ დირექტორად დაინიშნა. ამის შესახებ განცხადება ბრიტანულმა მედიაკორპორაციამ გაავრცელა. მისი დანიშვნა ყოფილი დირექტორის, ჯორჯ ენტვისტლის გადადგომამ გამოიწვია თვის დასაწყისში. ენტვისტლმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც ტელევიზიის ეთერში არასწორი ინფორმაცია გავიდა, რომლის მიხედვითაც კონ-


სერვატორთა პარტიის ერთ-ერთ წევრს არასრულწლოვნების გარყვნა ედებოდა ბრალად.

აღსანიშნავია, რომ BBC არასრულწლოვნებთან დაკავშირებით სკანდალში რამდენიმე წლის წინაც გაეხვა, როდესაც ტელენამყვან ჯიმი სევილს არასრულწლოვნებთან სექსუალურ კონტაქტსა და მოზარდების გარყვნაში დასდეს ბრალი. ტონი ჰოლი კი, რომელიც Royal Opera House-ში 2001 წელს გადავიდა, BBC-ში სხვადასხვა პოზიციაზე 1973 წლიდან მუშაობდა, 1996 წლიდან 2001 წლამდე კი კორპორაციის ახალი ამბების შეფ-პროდიუსერი იყო.

**ჰილაჩი ჯინსონის სავაჩაუო
შემსვლელი ბანახაბაზს
აკეთებს**

აშშ-ის ელჩი გაეროში სიუზან რაისი, რომელსაც სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ჰილარი კლინტონის შემცვლელად მოიაზრებენ, ამერიკის საკონსულოზე ბენღაზიში განხორციელებული იერიშის დროს გაკეთებულ განცხადებაზე კომენტარს აკეთებს. მისი თქმით, 14 სექტემბერს ტელევიზიებისთვის მიცემული კომენტარი დაფუძნებული იყო ინფორმაციაზე, რომელიც აშშ-ის სადაზრვეო სამსახურებმა მიანოდეს.

რაისი რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკელების კრიტიკის ობიექტი გახდა, რადგან ლიბიაში მომხდარი შემთხვევის კომენტარებისას მან აღნიშნა, რომ საკონსულოზე თავდასხმა ანტი-ისლამური ფილმის საწინააღმდეგო აქციების შედეგი იყო. ამერიკელი პოლიტიკოსები კი დღემდე ამტკიცებენ, რომ ეს თავდასხმა წინასწარ დაგეგმილი იყო და საპროტესტო აქციის ძალადობაში არ გადაზრდილა. შეგახსენებთ, რომ სექტემბერში აშშ-ის საკონსულოზე თავდასხმამ ოთხი ამერიკელის, მათ შორის, ლიბიაში აშშ-ის ელჩის კრის სტივენსის სიცოცხლე იმსხვერპლა. რაც შეეხება სიუზან რაისს, ის ობამას დიდი ხნის მეგობარი და გუნდის წევრია და სწორედ 48 წლის დიპლომატი განიხილება ჰილარი კლინტონის შემცვლელად, ვინაიდან ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი მეორე ვადით თანამდებობაზე დარჩენას არ გეგმავს. 





„არსადაც არ წავალ, დავრჩები ბოლომდე და ვიბრძოლებ შემდგომი არჩევნებისთვისაც, თუ ეს საჭირო გახდება“, –

ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი



„მიემართავ პრემიერ ივანიშვილს: რადგან თქვენს კონტროლს მიღმა დარჩენილი ინსტიტუტები ნერვებს გიშლით, გირჩევთ, მე დამაკავოთ შეთითხნილი ბრალდებით“, –

გიგი უგულავა, თბილისის მერი



„ახლა ვერ ვიხსენებ და მერე გავიხსენებ. თქვენ მითხარით ახლა პირველად და დიდი მადლობა, რომ მითხარით, ასეთი რაღაცა თუ არის გათვალისწინებული, იმიტომ, რომ ისიც არ ვიცი, რეგლამენტში არსებობს თუ არა ასეთი რამ. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, თქვენგან გავიგე“, –

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია გაჩეჩილაძე,

სხვა დეპუტატის პულტის გამოყენების შესახებ



„ის, რაც დღეს ჩვენ მოვისმინეთ პრემიერ-მინისტრის ბრიფინგზე, არის უაღრესად საგანგაშო სიგნალი ჩვენი დემოკრატიისთვის. პრაქტიკულად, ძალიან პირდაპირ და მკაფიოდ ითქვა, რომ პოლიტიკური ოპონენტების, იმ ხალხის, ვინც „ნაციონალურ მოძრაობასთან“ არის დაკავშირებული, დაჭერებისა და დაპატიმრებების მოტივი არის არა სამართლიანობისთვის ბრძოლა, არამედ პირდაპირ რომ ვთქვათ, გალიზიანება იმ ფაქტით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც ოპოზიცია არსებობს“, –


გიგა ბოკურია, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი



„ზაალი შეიძლება იყოს. ვერ ვიტყვი, რომ არაფერს აკეთებს. მაგრამ, როცა მე ვბრუნდები, მჭირდება, ვიყო დიქტატორი. დავშლი დასს, რადგან მათ უმეტესობას კონტრაქტები უმთავრდება და თავიდან ავკრეფ.

ეს იქნება აკრეფა ნიჭით“, –

რობერტ სტურუა, რეჟისორი



HP Z Workstations

წარმოგიდგენთ **HP**-ის ინოვაციურ სამუშაო სადგურებს, რომლებიც მუშაობენ **multi-core Intel® Xeon®**-ის პროცესორზე. მაქსიმალურად კრეატიული პლატფორმა, ვიზუალიზაციის სწრაფი სიჩქარე, მეტი მოცულობა ინფორმაციის სანდო და უსაფრთხო შენახვისთვის, ასევე მრავალი სხვა ფუნქცია თქვენი პროფესიული საქმიანობისთვის! რადგან სილამაზე და შესრულების ხარისხი მნიშვნელოვანია!

<http://hp.com/zworkstations>



კომპანია MBC
 "Multimedia & Business Computers"
 საქართველო, თბილისი, შვეჩენკოს ქ. 5
 +995 32 277 33 73
 +995 32 299 86 96



<http://www.mbc.ge>



ღიას

ნაზი ჯანეზაშვილი
იურისტი

საქართველოში სპეციალური კანონი არ არსებობს, რითაც პოლიტპატიმართა სტატუსის მინიჭების პრინციპი განისაზღვრება. ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული რეზოლუცია მის ნევრ ქვეყნებს პოლიტიკური პატიმრების საქმის შესწავლისას იმ ხუთი დებულების შესრულებას ავალდებულებს, რაც რეზოლუციაშია ჩამოთვლილი.

სწორედ ამ კრიტერიუმების თანახმად განისაზღვრება, კონკრეტულად ვინ შეიძლება იყოს პოლიტპატიმარი და ვინ – არა.


ევროსაბჭო არ განიხილავს პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივს, ის ეხება დამნაშავეს მიმართ განხორციელებულ შემდგომ პროცესებს. კერძოდ, პირის მიმართ თუ იკვეთება, რომ სასამართლომ არ გამოიტანა სამართლიანი განაჩენი და პარალელურად, ამას პოლიტიკური მოტივი ახლდა თან, ასევე, თუ სასჯელის ვადა აშკარა შეუსაბამობაში მოდის სხვა პირის მიერ ჩადენილ იმავე სახის დანაშაულთან, ან, მის დაკავებას დისკრიმინაციული ხასიათი ჰქონდა, აშკარა ხდება, რომ პირი პოლიტპატიმარია.

რაც შეეხება მმკ-ს წევრებს, ცხადია, ამ ადამიანებმა დანაშაული ჩაიდინეს, კანონის დაცვა კი ყველასთვის სავალდებულოა. ხშირად ამ საკითხის განხილვისას, საზოგადოებას მიაჩნია, რომ მთავარია, პირს რა სახის დანაშაული აქვს ჩადენილი. არადა, დამნაშავეს პოლიტიკური პატიმრის სტატუსი იმის შემდეგ ენიჭება, თუ საქმის მასალებიდან მის მიმართ გამოიკვეთება პოლიტიკურად მოტივირებული სასჯელი.

ჩვენს ორგანიზაციას ამაზე დასკვნა არ დაუწერია, მაგრამ, საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ სასამართლო პროცესი სამართლიანად არ ჩატარებულა.

მმკ-ის საქმის განხილვისას, სახელმწიფოს ჰქონდა ხისტი და მკაცრი მიდგომა. ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია, რომ საზოგადოების ნაწილი ამის შედეგად გაიხლიჩოს და ამით ზოგიერთი ადამიანის მარგინალიზაცია მოხდეს. პირიქით, ამ საკითხის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკა ძალიან დელიკატური უნდა იყოს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ორგანიზაცია – „კონსტრუქციის 42-ე მუხლს“ ამ საქმეზე დასკვნა არ აქვს გაკეთებული, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ აქ პოლიტიკური მოტივები არსებობდა.

ამიტომ, პარლამენტი ვალდებულია, შეისწავლოს დეტალები და უფრო კონკრეტულად დაასაბუთოს პოზიცია. 



ფოტო: ნაზის სტრუქტურა

უნდა შეიძინონ თქვენი პოლიტპატიმარი

ჩვენს ორგანიზაციას ამაზე დასკვნა არ დაუწერია, მაგრამ, საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე, უნდა ითქვას, რომ სასამართლო პროცესი სამართლიანად არ ჩატარებულა. მმკ-ის საქმის განხილვისას, სახელმწიფოს ჰქონდა ხისტი და მკაცრი მიდგომა.



მმკ-ს საპროტესტო აქცია ილიას უნივერსიტეტის წინ, 3 მაისი 2010

თქმა მმკ-ს წევრები სახლს სიაში?

**■ ამ ადამიანების პოლიტპატიმრებად
გამოცხადება ჩემთვის მიუღებელია.**

**არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ
დაფიქსირებული მხარდაჭერა ეჭვს მიჩენს, რომ
ამ ორგანიზაციებს ღირებულებითი პრობლემები
აქვთ და არცთუ ისე შორს დგანან მმკ-სა და
სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის
წევრების ფაშისტური იდეოლოგიისგან.**

არა

ბექა მინდიაშვილი

თეოლოგი

თავიდან თუ დავინწყებთ, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა და სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის წევრები სასამართლომ სამი ეპიზოდისთვის გაასამართლა. ესაა ილიას უნივერსიტეტის წინ აქციის დარბევა, რასაც თავისუფალ მომიტინგეებზე თავდასხმა ახლდა თან, შემდეგ აღსანიშნავია ტელეკომპანია „კავკასიის“ შენობაში შეჭრა და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელისშემლა, დაბოლოს – საჯარო ადგილას ხულიგნობის ფაქტი.

ამ ადამიანების პოლიტპატიმრებად გამოცხადება ჩემთვის მიუღებელია. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაფიქსირებული მხარდაჭერა ეჭვს მიჩენს, რომ ამ ორგანიზაციებს ღირებულებითი პრობლემები აქვთ და არცთუ ისე შორს დგანან მმკ-სა და სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის წევრების ფაშისტური იდეოლოგიისგან.

სხვა საკითხია, იყო თუ არა სასამართლო პროცესზე გარკვეული ხარვეზები. ცხადია, ზოგადად, სასამართლო სისტემა პრობლემურია ქვეყანაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანები სათანადოდ არ უნდა დასჯილიყვნენ.

ამ ხარვეზებზე ევროპის სასამართლოს უნდა ემსჯელა, თუკი საქმეს იქ შეიტანდნენ, მაგრამ, რა შუაშია აქ პოლიტიკური ნიშნით დაკავება, არ მესმის.

მეტიც, ეს ადამიანები არ არიან დაკავებულები მთავრობისა თუ რომელიმე ძალაუფლებითი სეგმენტის კრიტიკის საფუძველზე. მმკ-ს წევრები განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებსა და უმცირესობებს ესზოდნენ თავს და ჩემი აზრით, სასამართლოზე არა მხოლოდ ხულიგნობის ფაქტი, არამედ განსხვავებული აზრის დევნის მუხლიც უნდა განეხილათ.

გარდა ამისა, აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტია. არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ და საია-მ დატოვა ის ჯგუფი, რომელიც პოლიტპატიმართა საქმეს განიხილავდა. თუმცა, მათ მმკ-ს პოლიტპატიმრებად გამოცხადებას მანაც დაუჭირეს მხარი. მე ვფიქრობ, რომ კონკრეტულად მანანა კობახიძე, რომელიც პარლამენტის ვიცე-სპიკერი გახლავთ, ამავდროულად „42-ე მუხლის“ იურისტი და მმკ-ს 8 წევრის მეტისმეტად მოტივირებული ადვოკატი იყო, სხვა გადაწყვეტილებას არც მიიღებდა.

მიმაჩნია, რომ მმკ-ს წევრების მაგივრად, ციხეში მათი ლიდერი სასულიერო პირები უნდა იხსდნენ, მაგალითად, დავით ისაკაძე და გარდა იმ ბრალდებებისა, რაც მმკ-ს წევრებს წაუყენეს, ისინი სასჯელს 156-ე მუხლით – განსხვავებული აზრის დევნის გამოც უნდა იხდიდნენ. ყველა დანაშაული შეუწყნარებლობის მოტივით იქნა ჩადენილი და სასამართლოს ესეც უნდა განეხილა.

მმკ-ს წევრების პოლიტპატიმრებად გამოცხადებით საზოგადოებას შეიძლება საფრთხე შეექმნას, რომ მათ მიმართ ამ ადამიანებმა კვლავ გააგრძელონ ფაშისტური და არაცივილიზებული ქმედებები. **■**

უმაღლესი ბანათობისა და ხონსაფსიონის

ალექსანდრე კვიტაშვილი
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
რექტორი



ძალიან საინტერესო დოკუმენტია, ბევრ ფართო თემას მოიცავს. ცხადია, მის შექმნაში დიდი ენერჯიაა ჩადებული. ჩემი შეფასებით, ეს არის იდეალური მონაცემი იდეალურ სიტუაციაში, რომლისგანაც საქართველო დღეს ცოტა შორს არის. ამიტომ, ალბათ საჭირო იქნება ამ გეგმის დღევანდელ რეალობაზე მორგება.

საქართველოში ჩამოყალიბებული სისტემა არსებობს. ნულიდან არ იწყება რაღაცის შენება. ახალ კონცეფციაში ჩადებული ფუნდამენტური პრინციპის შემოტანას სჭირდება როგორც ფული, ასევე ადამიანური რესურსი, რომელიც ფინანსურზე რთული მოსაძიებელია.

ტენუარი ამერიკული მოდელია, სწორი მოდელია და კრიტიკული თვალთ არ ვუყურებ. ვამბობ, რომ ეს ის მოდელია, რომელიც ქვეყანაში უნდა იყოს. კვლევა და უმაღლესი განათლება ერთი კომპონენტია რომლისკენაც ჩვენ ყველა მივდივართ. უბრალოდ, რეალისტურად უნდა შევხედოთ. დღევანდელი არსებული სიტუაციიდან ასეთი სისტემის დანერგვა რთული წარმოსადგენია.

უნივერსიტეტში დღეს საკმაოდ გრძელვადიანი კონტრაქტები გვაქვს. სრული პროფესორის კონტრაქტი 6-წლიანია, ასისტენტის კი – 4-წლიანი.

გვაქვს პროექტი, რომელიც აკადემიურმა საბჭომ მოიწონა და დეტალების დაზუსტება მიმდინარეობს.


თუკი მესამედ მოხდება სრულ პროფესორად არჩევა, პროფესორს ექნება ღია ვადიანი კონტრაქტი. რა თქმა უნდა, ეს არ არის ტენუარი, ტენუარი განსხვავებული პრინციპია. თუმცა, ეს იქნება ქართულ რეალობას მორგებული პროექტი.

უნივერსიტეტში ასევეა შემოღებული ემერიტუსის პრინციპი, რაც უნივერსიტეტის მიერ დამსახურების აღიარებას ნიშნავს. ადამიანი რჩება უნივერსიტეტის სივრცეში, უბრალოდ, ადგილი ახალგაზრდა კადრისთვის თავისუფლდება. ჩვენი ძირითადი პრობლემა ახალგაზრდა კვალიფიციური კადრის მოძიება და ამ კადრისთვის გრძელვადიანი სამუშაო პერსპექტივის შექმნაა.

ეს არის კარგი, მდიდარი ქვეყნის კარგად აწყობილი სისტემის აღწერა, ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ეს საქართველოშიც განხორციელდება. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს კონცეფცია იყოს რეალობა. დღეს თუ დავიწყებთ, რაღაც მომენტში მივალთ აქამდე.

თავისთავად კარგია, რომ ასეთი კონცეფცია არსებობს. კარგი იქნება, რომ ყოფილიყო ანალიზი, სად ვართ დღეს. ეს არის სად გვინდა, რომ ვიყოთ. ამის შემდეგი ეტაპი იქნება არსებული სიტუაციის ანალიზი და განერა გეგმის, როგორ შეიძლება მივიღოთ იმ სისტემამდე, რომელიც აღწერილია ამ კონცეფციაში. **■**

სიმონ ჯანაშია
განათლების ექსპერტი



განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კომისიის მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის (გია დვალი, ზაალ კოკია, ვაჟა ბერეჟიანი, დავით ლორთქიფანიძე) სახელით უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი გამოქვეყნდა. დოკუმენტის დეტალური განხილვის შესაძლებლობას გამოხმაურების ფორმატი არ იძლევა. იძულებული ვარ, კონცეფციაში მოცემულ მხოლოდ რამდენიმე მიდგომაზე შევჩერდე.

სტრუქტურული ცვლილების თვალსაზრისით კონცეფციაში აქცენტი ტენუარის სისტემისა და ჰარნაკის პრინციპის შემოღებაზე კეთდება. ორივე მექანიზმს მრავალი სხვა პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში აქვს უნივერსიტეტის ავტონომიისა და დემოკრატიულად მართვის გაუმჯობესების პოტენციალი. თუმცა, განათლების პოლიტიკის კვლევები მონიშნავენ, რომ ე.წ. საუკეთესო პრაქტიკის პაკეტების გადატანა ერთი კონტექსტიდან მეორეში უმეტესად წარუმატებელია. მნიშვნელოვანია ადგილობრივად სპეციფიკური და მისაღები მექანიზმების შემუშავება.

კონცეფცია არ აღწერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში არსებულ პრობლემებს. არ ჩანს ვითარების გაუმჯობესება რა პარამეტრებით მოხდება: სამეცნიერო პროდუქციის რაოდენობის ზრდა, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა, საგანმანათლებლო სისტემების ინტეგრაცია სხვა სისტემებთან (მაგ., დასა-


საქართველოს მესამე რეფორმის ხელშეწყობის შესახებ

ქმედების, საერთაშორისო განათლების), თუ რაიმე სხვა?

კონცეფცია ფოკუსირებულია კვლევითი უმაღლესებისთვის რელევანტურ საკითხებზე. არ ჩანს სასწავლო უნივერსიტეტებისა და კოლეჯების განვითარების გზები. არ ჩანს, თუ რა მექანიზმები გავრცელდება კერძო სექტორზე. შეცდომაა იმის მოლოდინი, რომ ყველა ტიპის უნივერსიტეტისთვის ერთი რომელიმე (მაგ., მაქს პლანკის კვლევითი ინსტიტუტების) მოდელი იქნება თანაბრად სასარგებლო. კონცეფცია უმეტესად კონკრეტული უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელოს დებულებებს გვთავაზობს და არა სისტემის მართვის მექანიზმებს.

კონცეფცია ზოგჯერ თავად ეწინააღმდეგება უნივერსიტეტების ავტონომიის იდეას. მაგალითად, საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან მიმართებაში სკოლების სტანდარტიზაცია ავტომატურად გულისხმობს იმასაც, რომ უმაღლესებისთვისაც უნდა დაწესდეს ამგვარი ერთგვაროვანი სასურველი სტანდარტი.

პროგრამულ ნაწილში კონცეფცია 2004-12 წლების პოლიტიკის შეცდომებს იმეორებს. დეტალიზებული, გარედან მოსული და გარე ჯგუფების მიერ „დანერგული“ მექანიზმები მრავალი უმაღლესისთვის მხოლოდ ნორმატიული და არა ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ნაწილი ხდება. უკეთესია განვითარების შესაძლებლობების უნივერსიტეტებისთვის შეთავაზება, სტიმულირება და მხარდაჭერა და არა მათი თავსმოხვევა. ერთი ასეთი მექანიზმი კონცეფციაშიც გვხვდება „ნარჩინებულთა კლასტერის“ სახით. მნიშვნელოვანია, რომ მთელ სისტემაში გავრცელებამდე, ახალი მექანიზმების გამოცდა ინიციატივის მხარდაჭერ რომელიმე უნივერსიტეტში მოხდეს. **■**



მარინე ჩიტაშვილი
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
პროფესორი

ჩემი აზრით, ეს არის პირველი საპროგრამო დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნდა, როგორც რეფორმების სახელმწიფო კომისიის შემოთავაზება და რომელზეც რეალური მსჯელობა უნდა დაიწყოს.

ძალიან კარგია, რომ ეს კონცეფცია აფიქსირებს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებზეც უმაღლესი განათლება უნდა აიგოს. ვგულისხმობ აკადემიურ ხარისხს, აკადემიურ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

არაფერია იმაზე უკეთესი, რომ კონცეფციის მიხედვით, უნივერსიტეტს პროფესორები უნდა მართავდნენ და ადმინისტრაცია მხოლოდ სერვისი უნდა იყოს, რომ კომიტეტების სისტემით უნივერსიტეტი წარმოდგენილი იყოს როგორც ერთი მთელი.

რაც შეეხება მეორე მხარეს, რომ უნივერსიტეტებში უნდა დაინერგოს ტენუარის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტების მისიის გარშემო ორგანიზებას. უნივერსიტეტის მისია, მხოლოდ და მხოლოდ, ერთია და ის არ ემსახურება არავის, გარდა თავისუფალი, საღი და რაციონალური აზრისა.

ძალიან კარგია ისიც, რომ ასეთ შემთხვევაში ტენუარის სისტემა იმისდა მიხედვით უნდა იყოს გაკეთებული, თუ პროფესურა რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ამის წინა პლანზე წამოწევა ერთმნიშვნელოვნად დადებითი მოვლენაა, რადგან აქამდე განხორციელებული რეფორმები ძირითა-

დად ფორმალურ მახასიათებლებზე იყო მიმართული და ნაკლებს ფიქრობდა შინაარსობრივ მახასიათებლებზე.

თუმცა, მე კონცეფციაში ვერ წავიკითხე, თუ როგორ უნდა მივიდეთ ამ ყველაფრის განხორციელებამდე. კონცეფციიდან არ ჩანს სად არის ის სივრცე, რომელშიც ასეთი უნივერსიტეტები ინსტიტუციურად უნდა არსებობდნენ. არ არის მითითება იმაზე, რომ უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა და სახელმწიფომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა განსაზღვროს მისი დამოკიდებულება უნივერსიტეტების, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტების მიმართ. არსად არაა ნაჩვენები, თუ რა ტიპის დაფინანსებაზე უნდა გადავიდეს ახალი სისტემა.

კონცეფციაში უნდა ასახულიყო ისიც, თუ როგორ უნდა მოხდეს უნივერსიტეტში აკადემიური ხარისხის გაზრდა და უზრუნველყოფა.

აქ არც სტუდენტებზეა საუბარი, რა უფლებები აქვთ მათ, შეიძლება კონცეფცია გულისხმობს, რომ მათ აქვთ უფლება, თვითონ განსაზღვრონ თავიანთი სასწავლო პროგრამები, მაგრამ ეს განერილი მანც უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთი ცენტრალური საკითხი, რომელიც ნამდვილად უმაღლეს განათლებას ეხება და რომელზეც კონცეფცია არაფერს ამბობს, მასწავლებელთა მომზადებაა. ასევე, ყურადღების მიღმა რჩება ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის საკითხი, რაც საქართველოს უნივერსიტეტებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია.

მე ამ კონცეფციას მანც განვიხილავე, როგორც პირველად სამუშაო ვერსიას, რომელზეც საჯარო მსჯელობა უნდა დაიწყოს. უნდა ჩაერთოს აქტიურად პროფესურაც და ის ორგანიზაციებიც, რომლებიც განათლებაზე მუშაობენ. **■**



ფოტო: ბიორეპი ზინდა

მთავარი ბიანდმდებელი

ინტერვიუ გენერალურ პროკურორ
არჩილ კბილაშვილთან

მთავარი პროკურორის კაბინეტში მოსახვედრად დაცვის სამმაგი ზღუდის გადალახვა მოგინევთ – ეზოში შესვლისას, კორპუსთან და კაბინეტის წინ. მეტალოდეტექტორებით აღჭურვილი მცველები საგულდაგულოდ გჩხრეკენ, ტანსაცმელს და ჩანთებს ამონმებენ, განსაკუთრებით ტექნიკური მონყობილობებით – ფოტოაპარატითა და დიქტოფონით ინტერესდებიან... გახმაურებული დაკავებები, პროკურატურის შეზღუდული რესურსები, საკადრო პოლიტიკა, ზღვარი მართლმსაჯულებასა და პოლიტიკას შორის...

რა შეგიძლიათ თქვით იმ ეჭვის გასაქარწყლებლად, რომ ბოლო დროის განმარტებული დაპატიმრებები მართლმსაჯულების აღსრულებაა და არა პოლიტიკური ანგარიშსწორება?

ჩვენ გამოვაქვეყნეთ ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც ადამიანები დავაკავეთ. ამით საზოგადოებას ვუთხარით, რომ კი, ბატონო, ჩვენს ვერსიას ბრმად ნუ ენდობთ, აგერ თქვენ დოკუმენტები, წიკითხეთ და თავად იყავით პროკურორიც და მსაჯულისც. დოკუმენტების ასე გასაჯაროება სწორედ იმას მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებებს სამართლებრივი საფუძველი აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ რაღაცას დავმაღვდით, ვიტყვით, რომ ასეა და დავგიჯერეთ...

მე არ გამიგია ვინმეს საზოგადოების იმ ფენებიდან, რომლებიც პოლიტიკურად იმ გუნდს არ ეკუთვნიან, ვინც არჩევნებში მარცხი იწვინეს, ამ დაკავებულებისთვის პოლიტიკური იარაღი მიენებინოს.

კითხვა მნიშვნელობას იძენს იმ კონტექსტშიც, რომ ახალ ხელისუფლებას, მაგალითად, გაერთიანებული შტაბიდან გენერალ კალანდაძის ჩამოშორების ეს ერთადერთი გზა ჰქონდა, რადგან მთავარსარდალი პრეზიდენტია და თავდაცვის მინისტრს შტაბის უფროსის გადაყენების უფლება არ ჰქონდა...

ეს ჩვენი მიზანი ვერ იქნებოდა, ეს პოსტი პრეზიდენტის პრეროგატივაა, მას შეუძლია სხვა „კალანდაძე“ დანიშნოს. მე ის ინფორმაციაც კი არ მქონია, რომ კალანდაძე თავდაცვის სამინისტროში მისული ახალი გუნდისთვის პოლიტიკურად მიუღებელი იყო. საქმე მარტივადაა, არსებობდა ბაჩანა ახალაისთან დაკავშირებული ეპიზოდი, რომელშიც სამი ადამიანი მონაწილეობდა: თავად ახალაია, კალანდაძე და შამათავა. ყველა ჯარისკაცი, რომელიც ძალადობას ამხელდა, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში სამივე მათგანის მონაწილეობას თანაბრად მიუთითებდა. ამიტომ, ბუნებრივია, როდესაც ახალაიას დაკავების გადაწყვეტილება მივიღეთ, დანარჩენების

პასუხისმგებლობის საკითხიც დადგა. ასე რომ არ გაგვეკეთებინა, სწორედ ეს იქნებოდა პოლიტიკური მართლმსაჯულება, რითი აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ ერთსა და იმავე დანაშაულში ეჭვმიტანილი ადამიანებიდან ბრალს ერთს უყენებ, დანარჩენ ორს კი ხელს არ ჰკიდებ?

სადავო არ არის, რომ ბრალდებები, რომელიც ექსმინისტრ ახალაიას წარედგინა, სერიოზულია და თუ ის დამტკიცდა, ნამდვილად დანაშაულია, მაგრამ თქვენი ოპონენტები საუბრობენ, რომ კაცს, რომელსაც თქვენი თანაგუნდელები უწოდებდნენ ჯალათს, მანიაკს, მონსტრს, (ეს უკანასკნელი შეფასება იუსტიციის მინისტრს ეკუთვნის) უფრო „შესაფერისი“ ბრალდება „მოუხდებოდა“?

ბრალი იმ დროს უნდა წარედგინოს, როდესაც შესაბამისი მტკიცებულებები იარსებებს, პირველ ეტაპზე, ზედაპირზე რაც იდო და რა მტკიცებულებებიც მომზადდა, ეს იყო. ეს არაა დახურული საქმე, გამოძიება მიმდინარეობს, რა ბრალიც ახალაიას წარედგინა, ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ფაქტობრივად ორ დღეში მოხდა, ის 5-ში ჩამოვიდა და 6-ში უკვე ბრალი წარედგინა. გამოძიება გრძელდება და თემები, რომლებიც ეკონომიკური ხასიათის პრობლემატიკას ეხება, ახლაც შესწავლის პროცესშია, თუ ბრალი გამოიკვეთება, წარედგინება კიდევ.

მე, როგორც მთავარი პროკურორი, ამ ოფისში 30 ოქტომბერს შემოვედი, პირველი, რაც გავაკეთე, მაღალ პოზიციებზე ადამიანური რესურსის ცვლა იყო. გამოძიების წარსამართად დრო ფიზიკურად არ გვექონდა.

ერთ-ერთი დაკავება, რომელსაც ფართო გამოხმაურება მოჰყვა, იყო შსს გენინსპექციის ყოფილი უფროსის, თენგიზ გუნავას დაპატიმრება. მას ბრალად ნარკოტიკის შექმნა-შენახვა და იარაღის უკანონო ტარება ედება. როგორ ფიქრობთ, ყოფილი მაღალჩინოსანი, რომელიც, სავარაუდოდ, დაკავებას ელის, ჯიბეში ნარკოტიკს და გაუფორმებელ იარაღს რატომ ჩაიდებს?

ის, რომ გუნავა პასუხისგებაში ამ ბრალდებითაა მიცემული, ფაქტია. ამ ფაქტს პოლიციის თანამშრომლები ადასტურებენ. ბატონი გუნავას ადვოკატმა წერილობით მომმართა, რომ ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს განცხადება გამოსაძიებლად იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას გადავეცი. ანუ, არა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ეს ოპერაცია ჩაატარა, არა, პროკურატურის რომელიმე დანაყოფს, არამედ მესამე პირს, ერთადერთი მოთხოვნით: აგერ ბურთი, აგერ მოედანი, აგერ საქმე, რომელიც პოლიციელებმა დადეს, აგერ გუნავას ადვოკატის განცხადება და ჩვენება მონმის სახით, გამოიკვლიეთ, შეისწავლეთ და რა შედეგიც დაიდება, იმ შედეგს დავემორჩილები.

ვინაიდან საქმე უამრავია და რესურსები – შეზღუდული, საქმეებს რა პრინციპით ალაგებთ? ანუ, რა კრიტერიუმებით წამოსწევთ წინ ამა თუ იმ საქმეს?

ლოტოს გათამაშებაში რომაა, ბურთი რომ მოდის და არ იცი, რომელი ნომერი ჩამოვარდება. ასეთი პრინციპი გვაქვს: ძალიან ბევრი განცხადებაა შემოსული, ძალიან ბევრი დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შინაარსით, ეს განცხადებები პროკურორებსა და გამომძიებლებზეა განაწილებული, და წინა პლანზე ის საქმე წამოიწევს, რომელი საქმეც სწრაფად მომზადდება.

როგორ ფიქრობთ, ხომ არ აჩენს ეჭვის საფუძველს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც თქვენ წამოსწიეთ, ივანიშვილის დაცვის ყოფილ წევრს, სურმავას ეხება, თქვენი ოპონენტი რომ იყოს აქ, დასავამდა კითხვას, ნუთუ პროკურატურას უფრო მნიშვნელოვანი საქმე არ აქვს? და ამ საქმეებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას პოლიტიკური ელფერი ხომ არ დაჰკრავს?

ამ საქმეზე გამოძიება იმ სტადიამდე მივიდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ძალიან მაღალი თანამდებობის მქონე პირები გვემხილებინა, ეს უბრალო და რიგითი საქმე არაა. როდესაც შესაძლოა პასუხისგებაში შს მინისტრის ყოფილი

მოადგილე, კუდ-ის დირექტორი, მოადგილე და სამმართველოების უფროსები მიეცნენ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ძალიან მძიმე დანაშაულის ჩადენაში ვამხილეთ. ძალიან მძიმე დანაშაული, როდესაც ინფორმაციას გპარავენ, შემოდინ თქვენს სახლებში, კომპიუტერში, გისმენენ, აგროვებენ კომპრომატებს, რათა მერე ლაგამამოდებული იყოთ.

ნლების განმავლობაში პოლიტიკოსები, და თქვენი კოალიციის წარმომადგენლებიც, სასამართლოზე პროკურატურის ზენოლაზე საუბრობდნენ. და ამბობდნენ რომ ამ ზენოლას და „საქმეების კერვას“ მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ანუ, პროკურორები რომლებიც თქვენ დამნაშავეებს უწოდებდით, ახლა მუშაობას გააგრძელებენ და სხვა საქმეებს გამოიძიებენ?

საქართველოში ზუსტად 333 პროკურორია, ამ 333 ადამიანის შეცვლა ახალი 333-ით რომ შეიძლებოდეს, ამას მხარს დაუჭერდი. ოღონდ ის 333 უნდა იყოს მომზადებული, პროფესიონალი, კეთილსინდისიერი და უკანონოებში შემჩნეული არ უნდა იყოს. ხომ გასაგებია, რომ ეს თეორიის სფეროა. ჩვენ ასეთი მიდგომა შევიმუშავეთ: შევცვალეთ ის დონეები, სადაც იღებენ გენერირება ხდებოდა. შეიცვალა მთავარი პროკურორი და მოადგილეები, დეპარტამენტების თავმჯდომარეები, ოლქის პროკურორები. ქვედა დონის პროკურორებს რაც შეეხება, მერნმუნეთ, ისინი გადანყვეტილებებს თავად არ იღებდნენ. უბრალო შემსრულებლები იყვნენ. ოლქის პროკურორები და დეპარტამენტის თავმჯდომარეებიც კი, რომლებიც ჩვენ შევცვალეთ, დამოუკიდებელ გადანყვეტილებებს ვერ იღებდნენ. პრაქტიკულად მთელ პროკურატურაში გადანყვეტილებას ერთი, ორი, ან, ყველაზე ბევრი, 3 კაცი იღებდა. ეს ამ სისტემის უბედურება იყო. ჩაკეტილობაც აქედან გამომდინარეობდა. პროკურორებს მედიასთან ურთიერთობა აკრძალული ამიტომ ჰქონდათ. გინახავთ თქვენ რომელიმე პროკურორი, რომელიც მედიას ინტერვიუს აძლევდეს? ან სასამართლო პროცესის მერე რამე კომენტარი

გაეკეთებინოს? ეს იმის ბრალი იყო, რომ მას კონკრეტული მოცემულობა ჰქონდა და საკუთარი აზრის დაფიქსირება არ შეეძლო.

თუმცა, დაფიქსირდეთ იმას, საიდანაც დავიწყეთ. ჩვენ შევცვალეთ რა გენერატორები, ტოლერანტულები ვართ შემსრულებლების მიმართ. რა თქმა უნდა, თუ რომელიმე პროკურორის წინააღმდეგ კონკრეტული კომპრომატი გამოჩნდება, ჩვენ მას შევცვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზემდგომთა დავალებების შესრულების გამო არ დაესჯით. თუმცა,

■ ბრალი იმ დროს უნდა წარედგინოს, როდესაც შესაბამისი მტკიცებულებები იარსებებს, პირველ ეტაპზე, ზედაპირზე რაც იდო და რა მტკიცებულებებიც მომზადდა, ეს იყო. ეს არაა დახურული საქმე, გამოძიება მიმდინარეობს.

თანდათანობით განახლებას მაინც ვგეგმავთ. მაგალითად, ძალიან გვინდა, რომ ახალი კადრები მაინცდამაინც პროკურატურის მხრიდან არ შემოვიდეს.

ადვოკატებს გულისხმობთ?

დიახ, ძალიან ბევრ ადვოკატს პროკურორობა სურს, სიმართლე გითხრათ, თან მესმის მათი, და თან არ მესმის. მესმის იმიტომ, რომ ის ადვოკატები, რომლებიც სისხლის სამართლის სფეროში მუშაობდნენ, პრაქტიკულად საქმის წასაგებად იყვნენ განწირულნი, ყველაფერს პროკურორი წყვეტდა. მათ ადვოკატობაზე გული აქვთ აცრუებული, მათი სურვილია გახდნენ კეთილსინდისიერი პროკურორები და ისე აღარ მოიქცნენ, როგორც პროკურორები ადრე იქცეოდნენ. მეორე მხრივ, მე მათ ვეუბნები და ვპირდები, რომ ის აღარ

გაგრძელებდა, რასაც წინა პროკურატურა აკეთებდა, და თავიანთი პროფესიონალიზმის გამომჟღავნების საშუალება მიეცემათ, შეძლებენ დაიცვან და გაამართლონ კლიენტი.

მთელ რიგ საქმეებზე არასწორად წაყენებული ბრალდებები მოვხსენით და ხალხი გავათავისუფლეთ. ასეთები უკვე ათეულობითაა. დავალება, რომელიც მივეცი პროკურორებს, რომ გადაეხედათ დაუსაბუთებელი საქმეებისთვის, მუშაობს. ვინ მკვლელობის, ვინ ქურდობის, ვინ ფულის გათეთრების ბრალდებით გავათავისუფლეთ. აი, მაგალითად, გუმინ ასეთი უნიკალური შემთხვევა მოხდა. მიღება მქონდა და სამი ქალბატონი მოვიდა. ერთი მეუბნება, რომ ადვოკატია, და მიყვება, რომ მისმა კლიენტმა ქორწინების მიზნით ქალი მოიტაცა. თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ბრალდებით 7-დან 10 წლამდე მუხლი წაუყენეს, ციხეში ზის, ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. არ ჩაუდენია ეს დანაშაული და იქნებ დაგვეხმაროთო. მერე მეორეს ვკითხე ვინაობა, მე მომიტაცაო, მითხრა გოგონამ, მიყვარს და დამნაშავე არ არის, ჩემი საქმროა და გთხოვთ დამეხმარეთ, ციხიდან გამოუშვით, ქორწილი უნდა გადავიხადოთო. მერე მესამე ქალბატონს მივუბრუნდი, მე ამ გოგოს დედა ვარ და დაგვეხმარეთ, გამოუშვით ეს ბიჭიო. არადა, არ უშვებს პროკურატურა! მოკლედ, სასიდედრო აქებს სასიძოს და ამბობს, როგორი წესიერია. გოგო თავს იკლავს, ცრემლებს ღვრის, ამ დროს კი პროკურატურა იძახის, არა, უნდა დავიჭიროთო. შევპირდი დახმარებას, შემდეგი პროცესი 4 დეკემბერსაა, 17 სექტემბრიდან ზის. როგორც გოგონა ჰყვება, ამ დღეს თბილისიდან ხაშურში წაიყვანა, საპატარძლო ცოტა გაინაზა, დედას მესიჯი მისწერა, მან კი პოლიციაში დარეკა და დანაშაული შეიკრა. ეს ყველაზე მსუბუქი შემთხვევაა, არის ბრალდებები, 10-15 წლიანი ბრალი აქვთ წარდგენილი – დანაშაული ჩადენილი არ არის. ასეთ ადამიანებს ვეხმარებით, უფრო სწორად, კი არ ვეხმარებით, რაც არ არის, იმაში ბრალს არ ვდებთ.

თქვენი ნებისმიერი გეგმის და სურვილისთვის

13,95%



განსაჯირობათ თანხს საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესაძენად, რემონტისთვის, ავეჯის ან გარდერობის განსაახლებლად, სამოგზაუროდ ან ნებისმიერი სხვა მიზნისთვის? რასაც არ უნდა გეგმავდეთ და რაც არ უნდა ისურვოთ, ბანკ "რესპუბლიკის" ახალი შეთავაზება საუკეთესო არჩევანია!



SOCIETE GENERALE GROUP

290 90 90

* 90 90

BR.GE

ხალხს უკვირს, ფულზე რომ არ ველაპარაკებით. ქრთამზე არ ვსაუბრობ, საპროცესო გარიგებას ვგულისხმობ, ეს ძალიან მავნე პრაქტიკა იყო. მგონია, რომ როდესაც არჩევნების შედეგად ხალხმა არსებულ რეჟიმს უარი უთხრა, ეს იმდენად სოციალური გაჭირვების გამო კი არ მოხდა, და სოციალური ფონი მართლაც მძიმეა, არამედ მეტწილად უსამართლობის განცდის გამო. ეს უსამართლობის განცდა მნიშვნელოვნად იმან განაპირობა, რომ მართლმსაჯულება და პროკურატურა, რომელიც ხელისუფლებას ემსახურებოდა, ფულის შოვნის საშუალებად გადაიქცა. ხალხი ყიდდა ბინებს, საცხოვრებელს, უკანასკნელ სარჩო-საბადებელს, რათა ოჯახის წევრი ციხიდან გამოეყვანათ. შარშან ამ გზით 108 მილიონი ლარი ამოიღეს. ეს იყო ცრემლიანი ფული.

თქვენ ახსენეთ, რომ 333 პროკურორი გყავთ, როგორც ვიცით, ამ ფონზე პროკურატურაში სულ 43 გამომძიებელი დაგვხვდათ, რამდენად რელევანტურია პროკურორთა და გამომძიებელთა რაოდენობების ასეთი შეფარდება და რაზე მიუთითებს ეს ფაქტი?

გამომძიებლის დანიშნულება დანაშაულის გამომძიებაა. როცა გამომძიებელი ცოტაა, ეს იმას მიაჩნებდა, რომ ან დანაშაული არ ხდება, ან მისი გამომძიების საჭიროება არ არსებობს. როდესაც პროკურორი მიიჩნევდა, რომ ამა თუ იმ პირმა დანაშაული ჩაიდინა, საქმე დამთავრებული იყო. მას ათასი ადვოკატიც რომ აეყვანა და სასამართლოსთვის მტკიცებულებები წარედგინა, მოსამართლე მაინც პროკურორის მხარეს იჭერდა. ფაქტობრივად, გამოსაძიებელი არაფერი იყო. ამან პროკურორის და გამომძიებლის გაზარმაცებაც გამოიწვია. ბრალდებულს თავის მართლებაზე რომ ეზრუნა, ამით პროკურორს აღიზიანებდა, და გაცილებით მკაცრად ისჯებოდა. ამიტომ ბრალდებული თავზე ნაცარს იყრიდა და ჩაუდენელ დანაშაულს აღიარებდა, გამომძიებლები ტყუილად იყვნენ. ამან ის გამოიწვია, რომ მათი რიცხვი ნელ-ნელა მცირდებოდა.

მაგალითად, კახეთის ოლქში სულ სამი გამომძიებელია და საქმე არ აქვთ.

ლაშა ლეთოდიანი, შოთა რეხვიაშვილი, ზაქარია დარჩიაშვილი, დავით კოჭლამაზაშვილი... ეს პირები თქვენი კურსელები არიან, ისინი თქვენ მალალ თანამდებობებზე გაანაწილეთ, შესაძლოა თუ არა, რომ ამას ნეპოტიზმი ვუნოღოთ?

იმ ადამიანებს, რომლებიც თქვენ ჩამოთვალეთ, 1988 წლიდან ვიცნობ. ეს ხალხი მუშაობდა პროკურატურაში, სახელმწიფო სამსახურში, მე კი არასოდეს

■ ამ საქმეზე გამომძიება იმ სტადიამდე მივიდა, რომ დანაშაულის ჩადენაში ძალიან მალალი თანამდებობის მქონე პირები გვემხილებინა, ეს უბრალოდ რიგითი საქმე არაა. როდესაც შესაძლოა პასუხისგებაში შს მინისტრის ყოფილი მოადგილე, კუდ-ის დირექტორი, მოადგილე და სამმართველოების უფროსები მიეცნენ.

მიმუშავია. მაგრამ ამ 24 წლის განმავლობაში უურსის გარკვეულ ღონისძიებებზე, ექსკურსიებზე და ა.შ. ძალიან ხშირად ვურთიერთობდით, ვიცოდი მათი სხვადასხვა მოვლენისა და ფასეულობისდამი დამოკიდებულება. ისინი პატიოსნებისა და პროფესიონალიზმის ნიშნით შევარჩიე. როდესაც საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ადამიანს ნიშნავ, ცდილობ, ისეთი შეარჩიო, რომელსაც კარგად იცნობ, ეს ნორმალურად მიმაჩნია. მე 120 კურსელი მყავდა და ძალიან ბევრი, რომელსაც ამის სურვილი ჰქონდა არსად არ დამინიშნავს.

ძალიან შევწუხდები, თუ დამიდებენ ფაქტს, რომ ჩემმა შერჩეულმა ხალხმა

უმსგავსობა ჩაიდინა. თუმცა ამას ნაკლებად მოველი.

თუმცა, მაგალითად, დავით კოჭლამაზაშვილი, რომელიც თბილისის მთავარ პროკურორად დანიშნეთ, აქამდე სილნალის პროკურორად მუშაობდა, სადაც წინასაარჩევნოდ უამრავი კანონდარღვევა დაფიქსირდა, რამდენად კმაყოფილი ხართ მის მიერ სილნალში ჩატარებული გამომძიებებით?

დავით კოჭლამაზაშვილმა მითხრა, რომ მან სილნალის პროკურორობის დროს, დატოვა გამომძიებელი საქმეები, რომელსაც მხოლოდ გადაწყვეტილების მიღება სჭირდება. სილნალის პროკურორი ისეთ გადაწყვეტილებას რომ ვერ მიიღებდა, რომელიც პროკურატურის კურსს ეწინააღმდეგებოდა, ამაში ალბათ დამეთანხმებით. მაგრამ, თუ მან საქმეები შეისწავლა, მოამზადა და იმ კონდიციამდე მიიყვანა, რომ მხოლოდ გადაწყვეტილებების მიღება სჭირდება, ეს ნორმალურად მეჩვენება. მე დათოს შესახებ სილნალის მაჟორიტარ დეპუტატსაც ვესაუბრე. პარლამენტის წევრთა უფლებამოსილება 21-ში ცნეს. მთავარ პროკურორად კი 26-ში დავინიშნე, ანუ, ის ხუთი დღე ქუთაისში ვიყავი, იქ გავიცანი სილნალის მაჟორიტარი, და რადგან დათო კოჭლამაზაშვილის თბილისში გადმოყვანა მხედველობაში მქონდა, დეპუტატს მასზე საუბარი გავუბი. საკმაოდ მძიმე ამბებს მიყვებოდა, რაც წინასაარჩევნოდ სილნალში ხდებოდა, როდესაც ვკითხე, თუ რა შეეძლო პროკურორზე ეთქვა, მითხრა, რომ პროკურორი ასპარეზზე არ ჩანდა და ცუდი არაფერი გაუკეთებია. გმირს არ ვეძებ, ვიცნობ, წესიერი კაცია, ვიცი მისი შეხედულებები და ეს ჩემთვის საკმარისია. კოჭლამაზაშვილთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნდა, თითქოს ის რომელიღაც მეპაიეს ქონების დათმობას აიძულებდა. მაშინვე იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციას გადავუგზავნე, მისი საწინააღმდეგო შედეგი თუ დაიდო, შევწუხდები, მაგრამ დავემორჩილები, ასეთია ჩემი ხედვა. **■**

ესაუბრა ზურაბ ვარდიანი.



საპ
306

THE 13th
TBILISI INTERNATIONAL
FILM FESTIVAL

თბილისის
საერთაშორისო
კინოფესტივალი

03 - 09. 12. 2012

www.tbilisifilmfestival.ge





ფოტო: სანა ფოსტაძე

სამოზნა – თბილისის მახია

არჩევნებამდე მკვეთრად პოლარიზებულ ორ ძალას შორის დაპირისპირება ახალ ფაზაში შედის. მთავარი ბრძოლა მერიის გარშემო გაიშალა.

გიორგი გოგუა, სოფო ბუკია

თბილისის მერის, გიგი უგულავას გარშემო წრე სულ უფრო ვიწროვდება. მისი მოადგილის, შოთა ხიზანიშვილის დაკავების შემდეგ, გასულ კვირას უკანონოდ მოპოვებული შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდებით სამშენებლო კომპანია NCC-ს ხელმძღვანელი გიორგი ქელბაქიანი დააკავეს. ქელბაქიანი უგულავას ახლო მეგობარია.

ახალი ხელისუფლება „ფულის გათეთრებაში“ ეჭვმიტანილი ქელბაქიანის დაკავებას დანაშაულთან ბრძოლას უწოდებს, უმცირესობა კი ამ ფაქტს პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს.

კომპანია „ენ-სი-სი“ რიყეზე მიმდინარე „თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ დაფინანსებული სამშენებლო პროექტის მთავარი შემსრულებელია. სწორედ ეს კომპანია აშენებს რიყეზე მუსიკალურ თეატრსა და საგამოფენო ცენტრს, რომლის პროექტმა არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია და რომლის მთავარი კრიტიკოსი თავად პრემიერი ივანიშვილია. ქელბაქიანს ეკუთვნის ასევე რიყეზე მდებარე „ბუდა-ბარი“, რომლის საკუთრების კანონიერებას სამართალდამცავები ასევე სწავლობენ.

ქელბაქიანთან ერთად, იმავე ბრალდებით დააკავეს კომპანია „ენ-სი-სი“-ს ფინანსური დირექტორი არჩილ ჩოგოვაძეც. ქელბაქიანი ამ ეტაპზე გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, ჩოგოვაძე წინასწარ პატიმრობაში დატოვეს, თუმცა გამოძიება გრძელდება.

როგორც შსს-ს განცხადებაშია ნა-

თქვამი, მათ „სახელმწიფო სახსრების დიდი ოდენობით მითვისების მიზნით, ერთ-ერთ ფიზიკურ პირს კონტრაქტის გარეშე ჩაურიცხეს 6 მილიონ 310 ათასი ლარი, საიდანაც აღნიშნულმა პირმა 3 მილიონი ლარი ნაღდი ფული უკან დაუბრუნა გიორგი ქელბაქიანს და არჩილ ჩოგოვაძეს“.

შსს-ს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ დაკავებულების მიმართ პრეტენზიები კიდევ ორ ეპიზოდში არსებობს. თუმცა, ეს ეპიზოდები საკმარისია იმისთვის, რომ ქელბაქიანსა და ჩოგოვაძეს 11-წლიანი პატიმრობა მიესაჯოთ.

დაკავებულთა ადვოკატი ირაკლი ჟორჟოლიანი აღნიშნულ ბრალდებას აბსურდს უწოდებს.

„კომპანიის ანგარიშზე, ასე ვთქვათ, თეთრად არსებული თანხის კონტრაქტორისთვის გადარიცხვას და შემდეგ ქეშად უკან მიღებას ედავებიან, რასაც, ჩვენი აზრით, ფულის გათეთრება არანაირად არ ჰქვია, უფრო გაშავება ჰქვია. ცალსახად შემიძლია გითხრათ, არც დღეს და არც ხვალ, დარწმუნებული ვარ, ამ ფულის წარმომავლობაზე კითხვები არ დაისმება, ვინაიდან ეს ცნობილია და ღიაა. შესაბამისად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზება ვერანაირად ვერ მოხდებოდა – ეს არის მთავარი ამ შემთხვევაში“.

რიყეზე წამოწყებული საკონცერტო დარბაზის მშენებლობა ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ 24 ოქტომბერს, პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, გა-

აკრიტიკა: „თქვენ ნახეთ, იმ ორ შენობას რომ აშენებს რიყეზე, ზარბაზნის ტუჩს რომ ჰგავს, რამდენად მოგწონთ თქვენ, არ ვიცი... სხვათა შორის, ამ პროექტის გაკეთება ოდესღაც მე მინდოდა და როცა ვნახე, რომ პროპორციებში იყო ცდომილება, არქიტექტორი იტყუებოდა, იგივე შენათვალი გავუგზავნე, რომ არ შეიძლებოდა გაკეთება... გრაფინებია თითქოს ნაქცეული, ქვიშაზე დაყრილი. მე ეს ნახაზები ნანახი მაქვს. მე მინდოდა მანდ მუსკომედიის თეატრის აშენება“, – განაცხადა მან.

პრემიერმა მაშინ დაარწმუნა საზოგადოება, რომ განსხვავებით სააკაშვილისგან, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს და საზოგადოების აზრს გაითვალისწინებს.

თუმცა, საკონცერტო დარბაზის არქიტექტურული მხარის აკადრგანობაზე დისკუსიამდე საქმე არ მისულა.

ივანიშვილის ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში ფინანსთა ახალმა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ საკონცერტო დარბაზის მშენებლობისთვის „თბილისის განვითარების ფონდში“ თანხას აღარ გადარიცხავს.

ყოფილი მმართველი გუნდი დარწმუნებულია, რომ აქ საქმე არც არქიტექტურულ გემოვნებაშია და არც ფულის გათეთრებაში.

გიგი უგულავამ თავის ოფიციალურ განცხადებაში ამ დაპატიმრებებს „პოლიტიკური დევნა“ უწოდა: „რადგან თქვენს კონტროლს მიღმა დარჩენილი

ინსტიტუტები ნერვებს გიშლით, გირჩევთ, მე დამაკავით შეითხნელი ბრალდებებით“, – დანერა მან თავის „ფეისბუქის“ გვერდზე.

უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი დავით დარჩიაშვილი დარწმუნებულია, რომ ქელბაქიანისა და ჩოგოვადის საქმეებს პოლიტიკური სარჩული აქვს და პირადად თბილისის მერის, გიგი უგულავას წინააღმდეგ არის მიმართული.

„ეს არის თავდასხმა თვითმმართველობაზე, პირდაპირი წესით არჩეულ მერზე. ამ ყველაფრის მიზანია დასუსტოს და, საბოლოო ჯამში, განდევნოს უგულავას ადმინისტრაცია“.

უგულავას განცხადების კომენტარებისას ივანიშვილმა აღნიშნა, რომ აღარ არის ის დრო, როდესაც პრემიერმა შეიძლება უკარნახოს პროკურორს, ვინ დაიჭიროს და ვინ – არა. „მე ვკარნახობ პროკურორს, ვინ უნდა დაიჭიროს და ვინ არა?! არის რიგები, მოსახლეობა წერს საჩივრებს. ეს რიგები რომ შემცირდეს, მე მოვუნოდებ ჩვენს ოპონენტებს, რომ ძალადობრივი და სიცრუის რიტორიკა შეცვალონ“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ეს მერიისა და აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი დაპირისპირება არ არის, რომელსაც საზოგადოება თვალს ადევნებს ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

ოქტომბრის ბოლოს, ახლად არჩეული პარლამენტის მიერ მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, საქართველოში ხელისუფლება ორ ნაწილად გაიყო: ერთი მხრივ, უმრავლესობაში მყოფი კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრებით დაკომპლექტებული მინისტრთა კაბინეტი და პარლამენტი; ხოლო მეორე მხრივ, პრეზიდენტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სადაც მმართველი ძალა ჯერ კიდევ არჩევნებში დამარცხებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ახალ ხელისუფლებასა და ოპოზიციის შიშით თვითმმართველობას თანაარსებობა რომ გაუჭირდებოდათ, თვალსაჩინოდ გამოჩნდა 9 ნოემბერს, როდესაც მთავრობის სხდომაზე მისულ გიგი უგულავასა და პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შორის მწვავე კამათი

გაიმართა. უგულავას მთავრობის სხდომაზე დასწრების უფლება არ მისცეს და სუბორდინაციის დაცვისკენ მოუწოდეს.

9 ნოემბერს უგულავა მთავრობის სხდომის დღის წესრიგში თბილისის ბიუჯეტის საკითხის დამატებას ითხოვდა.

გაუგებრობა თბილისის ბიუჯეტის გარშემო რამდენიმე დღით ადრე დაიწყო, როდესაც ახლად დანიშნულმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი წინამორბედის – ვანო მერაბიშვილის მიერ 19 ოქტომბერს გაცემული 3 განკარგულება გააუქმა. ამ განკარგულებების მიხედვით, მერიის სამი სო-

■ თუ ბოლო დროს გაკეთებულ განცხადებებს გავითვალისწინებთ, ახალი ხელისუფლებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ კონტროლქვეშ დარჩენილი ინსტიტუტების თანამშრომლობა საკმაოდ რთულად მისაღწევი იქნება.

ციალური პროგრამის – სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ფასდაკლებების დაფინანსების ვალდებულება მერიას მოეხსნა და ჯანდაცვის სამინისტროზე გადავიდა.

საინტერესოა, რომ ამ განკარგულებებს მერაბიშვილმა 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ახალი პარლამენტის დამტკიცებამდე ერთი კვირით ადრე მოაწერა ხელი.

ამის შემდგომ, უკვე ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა პრემიერმა ივანიშვილმა 31 ოქტომბერს მერაბიშვილის განკარგულებები გააუქმა და კვლავ თბილისის მერიას დაავალა ამ პროგრამების დაფინანსება.

თუმცა, აღმოჩნდა, რომ მერიის ბიუჯეტში ამისთვის თანხა აღარ იყო გავთვალისწინებული. თბილისის საფინანსო

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, თამაზ შოშიაშვილის თქმით, მას შემდეგ, რაც მერაბიშვილის 19 ოქტომბრის განკარგულებით სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა გამოთავისუფლდა, მერიამ ამ თანხის სხვა პროგრამებზე გადანაწილება მოასწრო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძე ამბობს, რომ ვანო მერაბიშვილმა საბიუჯეტო კოდექსის მე-40 მუხლი დაარღვია. ეს მუხლი გულისხმობს, რომ მთავრობის მიერ ბიუჯეტში ცვლილებები ან დამატებები პარლამენტის მიერ მისი განხილვის შემდეგ უნდა შევიდეს. ამ შემთხვევაში კი, ძველ პარლამენტს უფლებამოსილების ვადა გასული ჰქონდა, ხოლო ახალი ჯერ კიდევ არ იყო დამტკიცებული, შესაბამისად, პროექტი არ განხილულა.

ურუშაძის თქმით, ასევე უკანონოდ მოიქცა თბილისის საკრებულო, რომელმაც მერაბიშვილის უკანონო გადაწყვეტილება გაითვალისწინა და ქალაქის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამების დაფინანსება ამოიღო.

„უცნაურია, როდესაც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი თანამდებობის დატოვებამდე რამდენიმე დღით ადრე ასეთ რადიკალურ გადაწყვეტილებებს იღებს. უარეს შემთხვევაში ეს თბილისის მერიის მხრიდან სიტუაციის ხელოვნურად გამწვავების მცდელობაა“, – ამბობს ერეკლე ურუშაძე.

ამ კონკრეტულმა შემთხვევამ ორივე მხარეს – მთავრობასაც და ოპოზიციურ მერიასაც – ერთმანეთის წინააღმდეგ ურთიერთბრალდებებით ბრძოლის საშუალება მისცა.

თბილისის მერია აცხადებს, რომ ამ განკარგულებების გაუქმებით, ახალმა მთავრობამ სოციალურად დაუცველებზე პასუხისმგებლობა აირიდა, ხოლო ხელისუფლება, თავის მხრივ, მერიას საბოტაჟში ადანაშაულებს.

იმ 600 ათასი სოციალურად დაუცველის ბედი კი, რომლებსაც ეს პროგრამა ეხება, ისევ გაურკვეველია.

თუ ბოლო დროს გაკეთებულ გან-

ცხადებებს გავითვალისწინებთ, ახალი ხელისუფლებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ კონტროლქვეშ დარჩენილი ინსტიტუტების თანამშრომლობა საკმაოდ რთულად მისაღწევი იქნება.

გასულ კვირას გამართულ პრესკონფერენციაზე პრემიერმა ივანიშვილმა ხელისუფლებასთან, მათ შორის, პრეზიდენტთან თანამშრომლობის თაობაზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომ „ყველამ უნდა მიიღოს ის, რაც სამართლიანად ეკუთვნის, მათ შორის, ციხეც“.

მან აღნიშნა, რომ არ აპირებს დაეთანხმოს თანამშრომლობის იმ პირობებს, რომლებსაც ყოფილი მმართველი გუნდის წევრები სთავაზობენ. „ჩვენი თანამშრომლობის ძირითადი მექანიზმი ის ჯგუფი ვერ იქნება, რომელიც შეიქმნა ჩვენსა და მათ შორის. ამ ჯგუფის ხელმძღვანელი გიგა ბოკერია სულ იძახის, რომ წითელი ხაზები უნდა გაივლოს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხებთ, რომ დავსხდეთ და ბოკერიასთან ვავლოთ წითელი ხაზები იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ვის როგორ მოექცევა. ჩვენი თანამშრომლობისთვის განმსაზღვრელი კანონმდებლობა იქნება“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

მეტიც, ქვეყნის პრემიერი დარწმუნებულია, რომ „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში მალე საკონსტიტუციო უმრავლესობა ეყოლება, რაც უმრავლესობას საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების საშუალებას მისცემს. ასეთ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ მხრიდან დაპირისპირებულ გუნდთან თანამშრომლობის აუცილებლობა მინიმუმამდე დავა.

„ნაციონალურ მოძრაობას“, როგორც პარტიას, არავითარი პერსპექტივა არ აქვს. ხალხს აღიზიანებს მათი რიტორიკა“, – განაცხადა ივანიშვილმა.

უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ივანიშვილის ამ განცხადებებს ოპონენტების წინააღმდეგ პირდაპირ მუქარად აღიქვამს.

„ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ძალიან გამჭვირვალედ, პირდაპირ და მკაფიოდ ითქვა, რომ პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრების, „ნაციო-

ნალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებული ხალხის დაჭერების მოტივი არის არა სამართლიანობისთვის ბრძოლა, არა კონკრეტული დანაშაულებების გამოძიება, არამედ გაღიზიანება იმ ფაქტით, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური ოპოზიცია, არსებობს, რომ ხმას იღებს და აკრიტიკებს ახალ ხელისუფლებას. პირდაპირ ითქვა, რომ რიტორიკა აღიზიანებს ხალხს“, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

მმართველი გუნდი რომ თბილისის მეორიაზე კონტროლის მოპოვებას ცდილობს, ამაზე მხოლოდ „ქართული ოცნების“

„მე ვკარნახობ პროკურორს ვინ უნდა დაიჭიროს?! არის რიგები, მოსახლეობა წერს საჩივრებს. ეს რიგები რომ შემცირდეს, მოვუნოდებ ოპონენტებს, რომ ძალადობრივი და სიცრუის რიტორიკა შეცვალონ“, – აღნიშნა ივანიშვილმა.

პოლიტიკური ოპონენტები არ საუბრობენ. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ახალმა ხელისუფლებამ კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა იმ სტრუქტურებიდან დაიწყო, რომლებსაც თავად ვერ აკონტროლებს.

„როდესაც პირველ რიგში იჭერ ადამიანებს, რომლებიც წარმოადგენენ ინსტიტუტებს, რომელსაც ვერ აკონტროლებ, მაშინ ეს საქართველოშიც და საქართველოს ფარგლებს გარეთაც აღიქმება არა როგორც კანონის უზენაესობისათვის ბრძოლა, არამედ ამ ინსტიტუტებზე კონტროლის დამყარების მართლმსაჯულებით შენიღბული სურვილი. ახალ ხელისუფლებას უნდა ავუხსნათ, რომ ეს არ არის პოლიტიკური პლურალიზმისაკენ გადადგმული ნაბიჯი და მიმართულია ისევ ერთპარტიული მმართველობისაკენ, რომელსაც დიდი წვალებით დავაღწიეთ თავი.

ქვეყნის, მისი განვითარების და რეკონსტრუქციის გამო, უნდა შეწყდეს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც პოლიტიკური დევნის ექვსსაც კი აღძრავს. საქართველოს მთავრობა უნდა შეეგუოს იმ აზრს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არის სრულიად ლეგიტიმური ოპოზიცია და რომ ოპოზიცია შეიძლება აკონტროლებდეს ამა თუ იმ ინსტიტუტს“. – აცხადებს ზაალ ანდრონიკაშვილი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი და ბერლინის ლიტერატურისა და კულტურის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

გიგი უგულავა თბილისის მერად 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე ოთხნობიანი ვადით იქნა არჩეული. არჩეული მერის იმპიჩმენტი კიდევ უფრო რთული პროცედურაა, ვიდრე პრეზიდენტის და მისი გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მის ქმედებებში დანაშაულის ელემენტები გამოიკვეთება.

მთავრობის სხდომაზე მისული უგულავა ერთ რამეში მართალი იყო – სუბორდინაცია აღმასრულებელ ხელისუფლებასა და თვითმმართველ ორგანოებს შორის, კანონის თანახმად, არ არსებობს. ამდენად, თუ ახალ ხელისუფლებას ექნება ცდუნება თბილისის მერია გააკონტროლოს, ოპოზიციური მერის პირობებში ამას ვერ მოახერხებს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენელი ერეკლე ურუშაძე აცხადებს, რომ წინა ხელისუფლების ერთპიროვნული მმართველობის პირობებში მერიის საქმიანობა დახურული და გაუმჭვირვალე იყო. მისი თქმით, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული არაერთი კვლევიდანაც ჩანს, რომ მერიაში უფლებამოსილების გადაჭარბების, მათ შორის კორუფციის ნიშნები იყო, რომლებზეც შესაბამისი სტრუქტურები არ რეაგირებდნენ.

„თუმცა, – ამბობს იგი, – ამავე დროს, როდესაც საქართველოში ორხელისუფლებიანობის ტრადიცია არ გვაქვს, შესაძლოა, ცენტრალურ მთავრობას ცდუნება ჰქონდეს, იმ სტრუქტურებზე მოიპოვოს გავლენა, რომლებსაც ოპოზიცია მართავს, რაც დაუშვებელია“. □

პოლიტპატიმხები – სამახთიანირობის აღბენა თუ პოლიტიკური სვანა?

5 დეკემბერს პარლამენტის მომდევნო სესიაზე ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხს განიხილავს. პარლამენტი, სავარაუდოდ, სპეციალურ დადგენილებას მიიღებს, რომელზე დაყრდნობითაც საგანგებო ამნისტიის აქტი გამოიცემა და პოლიტპატიმრებად მიჩნეული პირები ციხიდან გათავისუფლდებიან.

ზურაბ ვარდიაშვილი



20 ნოემბერს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და დევნილი პირების საკითხების შემსწავლელმა კომისიამ პოლიტპატიმართა სრული სია წარმოადგინა.

სიაში არიან: „ენვერის“ საქმის, მუხროვანის ამბოხის, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა „ყინვისის“ ეპიზოდის, „კოჭიას“ საქმის, და 26 მაისის საპროტესტო გამოსვლების დროს დაკავებული პირები. აგრეთვე, „მოდრაობა საქართველოსთვის“, სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობა „სინდისის პატიმრების“, და „სამოქალაქო ფრონტი – ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის“ წევრები.

კომისიის სამუშაო ჯგუფი 1 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შეიქმნა. კომისიის წევრები იყვნენ „თბილისის ჰელსინკის ჯგუფი“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, „საზოგადოებრივი დამცველი“, ფონდი „ქომაგი“, მოძრაობა „არა“, იურისტები – ნინო გვენეტაძე და მერაბ ტურავა...

კომისია თბილისის ჰელსინკის ჯგუფის მიერ კომიტეტში გაგზავნილი პოლიტიკური მოტივით დაკავებული თუ ძებნილი პირების სიას დაეყრდნო.

პარლამენტის მიერ სიაში მყოფი ადამიანებისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების შემდეგ ეს უკანასკნელნი სასჯელალსრულების დაწესებულებას დატოვებენ.

ვინ არიან პოლიტპატიმრები? საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით პოლიტპატიმრის დეფინიცია დადგენილი არ არის, თუმცა იგი 2012 წლის 3 ოქტომბერს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ განსაზღვრა და მიიღო რეზოლუცია N1900. რეზოლუციაში შეტანილი კრიტერიუმები 1989 წელს ნამიბიაში სამოქალაქო ომის დროს დაფიქსირებულ სპეციფიკურ შემთხვევებზე დაყრდნობით ჩამოაყალიბეს.

პირი პოლიტპატიმარია თუ: დაკავებულია სიტყვის, სინდისის, რელიგიის, გამოხატვის, ინფორმაციის გავრცელების, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებით სარგებლობისთვის. დაპატიმრება აშკარად პოლიტიკური

მოტივითაა განპირობებული და საფუძვლად რეალური კანონდარღვევა არ უდევს.

პოლიტიკური მოტივების გამო პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები აშკარად შეუსაბამოა კანონდარღვევასთან, რაშიც პირი დამნაშავედაა ცნობილი.

პოლიტიკური მოტივის გამო პირს დისკრიმინაციულად ეპყრობოდნენ.

თავისუფლების აღკვეთა პოლიტიკურად მოტივირებული, მკვეთრად არასამართლიანი პროცედურების გამოყენების შედეგია.

■ ვინ არიან პოლიტპატიმრები?

საქართველოს ეროვნული

კანონმდებლობით, ან სხვა რაიმე

ოფიციალური დოკუმენტით

პოლიტპატიმრის დეფინიცია

დადგენილი არ არის, თუმცა

იგი 2012 წლის 3 ოქტომბერს

ევროსაბჭოს საპარლამენტო

ასამბლეამ განსაზღვრა და მიიღო

რეზოლუცია N1900.

ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე გადაწყდა, რომ სტატუსის განსაზღვრა სწორედ ევროპის საბჭოს სტანდარტის შესაბამისად მოხდებოდა.

ივან ჩილკინაძის საძმე

პოლიტპატიმრების სიაში მყოფ ერთ-ერთ ასეთ პატიმარზე „ლიბერალი“ ადრეც წერდა.

გლდანის საპყრობილის პატიმარი ივა ჩილკინაძე ათწლიან სასჯელს იხდის. ის ერთი წლის წინ, 26 მაისს, ღამით გამართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა.

როდესაც დარბევა დაიწყო, ივა და მისი მეგობარი კობა გოცირიძე (რომელიც ასევე სიაშია მოხვედრილი) ჩილკინაძის მანქანაში, თეთრი ფერის ტოიოტას

ჯიპში ჩასხდნენ და რუსთაველის მეტროს მიმართულებით გაიქცნენ, თუმცა იქ გზა გადაკეტილი დაუხვდათ. მათ მანქანა მოატრიალეს და თავისუფლების მოედნისკენ წამოვიდნენ. აქ სიტუაციას უკვე სპეცრაზმი აკონტროლებდა. ხელ-ფეხ შეკრული ადამიანები მიწაზე იწვნენ და მათ ხელკეტებით უსწორდებოდნენ. ისროდნენ რეზინის ტყვიებს, ჰაერში სპეციალური გაზი იყო გაშვებული...

პარლამენტთან მანქანაში რამდენიმე უცნობი ადამიანი ჩაუჯდათ. მათ სახიფათო ადგილიდან თავის გარიდებაში დახმარება ითხოვეს. ტოიოტას ჯიპი თავისუფლების მოედნის გავლით, ბართაშვილის ხიდისკენ დაეშვა. სწორედ ამ დროს ჩილკინაძემ საპატრულო მანქანას გვერდი გაჰკრა. რამდენიმე წამში პოლიციელები გამოეკიდნენ. დევნა დაიწყო.

ივა ჩილკინაძემ მარჯვენა სანაპირო პოლიციის ცეცხლის ქვეშ გაიარა. „ისინი გაჩერებას ითხოვდნენ, მაგრამ ივამ სიკვდილის შიშით არ გააჩერა, რადგან ხან ჰაერში და ხანაც დამიზნებით, განუწყვეტილად ესროდნენ“, – ამბობს ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი. გაქცევის დეტალები პატიმარმა მას თავად უამბო.

როგორც ნიკოლეიშვილი გვიყვება, ჩილკინაძე ვარაზის ხევით ვაკეში, პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ ოფისისკენ გაიქცა, თუმცა საჭმე უმტყუნა და ოფისის წინ მდებარე ჩეხეთის საელჩოს ლობეს შეეჯახა. ივა ჩილკინაძე საელჩოს ტერიტორიაზე შევიდა და ხეს ამოფარა. დანარჩენი მგზავრებიც აქეთ-იქით გაიქცნენ, მაგრამ „პოლიციელებმა ყველა სათითაოდ დაიჭირეს, დააჩოქეს, ურტყამდნენ, ყველაზე ბოლოს ივა დააკავეს, საელჩოს ტერიტორია დაარღვიეს, შევიდნენ და გამოიყვანეს“.

ივა ჩილკინაძეს ათი წელი შეუფარდეს. ოთხი – პოლიციელის დაშავებისთვის. ექვსწლიანი სასჯელი, თავის მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: ორი წელი პოლიციის მანქანასთან შეჯახებისთვის, ოთხი კი – პოლიციისთვის წინააღმდეგობის განვისთვის.

ჩილკინაძემ სააპელაციო სასამართლოში იჩივლა, მაგრამ სარჩელი არ დაკმაყოფილებულა.

კომისია

კომისიის მუშაობა რამდენიმე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა, ის „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ მალევე დატოვეს. არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ გადანყვეტილების გამო განმარტებების მიცემა რამდენჯერმე მოუწიათ.

„ამ ფაქტს არასწორი გამომხაურებები და ინტერპრეტაციები მოჰყვა“, – ამბობს საია-ს თავმჯდომარე თამარ ჩუგოშვილი და აღნიშნავს, რომ კომისია პატიმართა საქმეებს არ განიხილავს და მას, ფაქტობრივად, ფორმალური დატვირთვა აქვს.

„პოლიტიკური პატიმრების თემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და მტკივნეულია. და გადანყვეტილების მიღება სწრაფად სჭირდება, თუმცა ამავდროულად სათუთი და სენსიტიური თემაა და ზედაპირული მიდგომები პირველ რიგში სწორედ პოლიტიკურ პატიმრებს დააზარალებს“, – ამბობს ჩუგოშვილი.

იურისტი მიიჩნევს, რომ თუკი პოლიტპატიმრების სიაში ერთი ადამიანიც აღმოჩნდება, რომლის დაკავებაშიც პოლიტიკური მოტივი არ იკვეთება და ის ჩვეულებრივი კრიმინალია, ეს ფაქტი ყველა პოლიტპატიმრის დისკრედიტაციის საბაბი გახდება.

ჩუგოშვილი უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მათ წარმომადგენელს კომისიის სხდომაზე კითხვების დასმის საშუალება-საც არ აძლევდნენ და „საქმეებში ფაქტობრივად არ ახედებდნენ“.

კომისიაში „ახალგაზრდა იურისტების“ ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი ეკა ფოფხაძე წარმოადგენდა. მისი თქმით, „ახალგაზრდა იურისტების“ პოზიცია ყველა საქმის სამართლებრივად შეფასება სულაც არ იყო, „ჩვენ რეალობას რაციონალურად ვუდგებით, ჩვენ ვამბობდით, რომ საქმეები იმ დოზით უნდა გადაიხედოს, რა დოზითაც პოლიტიკური მოტივაცია დადგინდებოდა. ეს ცხადია საქმეთა ტომების შესწავლას და მონეტა ხელახლა დაკითხვას არ ითვალისწინებდა.“

კომისიის სხდომაზე ჩვენ შევთანხმდით, რომ იმ საქმეებზე, რომლებზეც ავტორიტეტული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნა არსებობდა,

მათ არ გადავხედავდით, და დავეყრდნობოდით“, – ამბობს ფოფხაძე.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ პოლიტიკური პატიმრების საქმეებზე წლების განმავლობაში მუშაობს და მათ იურიდიულ დახმარებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ევროპულ სასამართლოში უწევს, მათ შესწავლილი აქვთ არაერთი პოლიტიკური პატიმრის საქმე, გამოცემული აქვთ ანგარიშები და კვლევები.

ფოფხაძის თქმით, კომისიის დატოვების მიუხედავად, მათ თანამშრომლობა არ გაუწყვეტიათ და ამა თუ იმ საქმეზე თავიანთ დასკვნებს ეტაპობრივად აწვდიან.

■ იურისტი მიიჩნევს, რომ თუკი პოლიტპატიმრების სიაში ერთი ადამიანიც აღმოჩნდება, რომლის დაკავებაშიც პოლიტიკური მოტივი არ იკვეთება და ის ჩვეულებრივი კრიმინალია, ეს ფაქტი ყველა პოლიტპატიმრის დისკრედიტაციის საბაბი გახდება.

„ახალგაზრდა იურისტების“ აზრს „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ გამგეობის თავმჯდომარე თამარ გაბისონიაც იზიარებს, ის პასუხისმგებლობას იმ საქმეებზე იღებს, რომლებიც შესწავლილი აქვთ. ის პარლამენტისგან „დასაბუთებულ და მოტივირებულ გადანყვეტილებებს ელის“. მისი აზრით, „მნიშვნელოვანია, რომ არცერთ იმ პატიმარს, რომელიც იმ 180-კაციან ჯგუფში არ მოხვდა, და შესაძლოა ასევე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდეს, უსამართლობის გრძნობა არ გაუჩნდეს“.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, ჩიორა თავთაქიშვილი პოლიტპატიმრების თემას „ქართული ოცნების“ მიერ წინასაარჩევნო დაპირების ასრულებას უწოდებს, მას იმ

მექანიზმის ეფექტიანობაში შეაქვს ეჭვი, რომლითაც ამა თუ იმ პირს პოლიტპატიმრის სტატუსი უნდა მიენიჭოს.

„კომისიის მუშაობა ეფექტიანი მაშინ იქნებოდა, თუ კომისია თითოეული პატიმრის საქმეს გამონვლილვით შეისწავლიდა, მე ვეთანხმები იმ არასამთავრობოთა მოსაზრებებს, რომლებმაც სამუშაო ჯგუფი დატოვეს“, – ამბობს თავთაქიშვილი.


დეპუტატის გაკვირვებას ის ფაქტიც ინვესს, რომ „კომისიის მიერ პოლიტპატიმრებად აღიარებულ სიაში არიან ადამიანები, რომლებიც ჯაშუშობაში და ტერორისტულ აქტებში არიან ბრალდებულნი, მათთან ერთად არიან რელიგიური ექსტრემისტული ჯგუფის წევრები, რომლებიც ტელეკომპანია „კავკასიაში“ შეიჭრნენ“.

მისი აზრით, პოლიტპატიმართა სიის ამ ფორმით დამტკიცება ქვეყნის რეპუტაციაზე დადებითად არ აისახება. თავთაქიშვილი პროცესს აბსოლუტურად გაუმჭვირვალეს უწოდებს:

„არ ვიცი, რა მოჰყვება ამ სიის დამტკიცებას, იქნება თუ არა კომპენსაციები ან რეაბილიტაციის რაიმე ღონისძიებები. ამასთან, საქართველოს არცერთი საკანონმდებლო ნორმა პარლამენტის მიერ დადგენილი სიის საფუძველზე სისხლის სამართლებრივი განაჩენის არსებობის პირობებში, სასჯელალსრულების დაწესებულებაში მყოფი პირის გამოშვებას არ ითვალისწინებს“, – ამბობს ოპოზიციონერი დეპუტატი.

რა სამართლებრივი მექანიზმებით გათავისუფლდებიან პოლიტპატიმრებად აღიარებული ადამიანები? „ჰელსინკის ჯგუფის“ წარმომადგენელ, უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის თქმით, პარლამენტის მიერ დადგენილების დამტკიცების შემდეგ ამნისტიის სპეციალური აქტი გამოიცემა, რომელიც პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე პირებს შეეხება.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მომზადებული დადგენილების პროექტის განხილვა 22 ნოემბერს იგეგმებოდა, თუმცა მისი დამტკიცება კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას მოთხოვნით, მომდევნო სესიისთვის გადაიდო, რომელიც 5 დეკემბერს გაიმართება. **□**



ქართული დოკუმენტური ფილმები 'მეცხრე არხზე'

ნანა მარტიაშვილი

თქვენ გიყვართ დოკუმენტური კინო? გიყვართ პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის ეს სინთეზი, რომელიც ანშეოს აკვირდება, აღნუსხავს და აანალიზებს? ყველაზე წარმავალი, ყველაზე მოუხელთებელი და ეფემერული დრო, ანშეო ხშირად სწორედ დოკუმენტურ კინოს აფარებს თავს, რათა თავი მომავალი თაობებისთვის გადაირჩინოს.

ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ხელშეწყობა "მეცხრე არხზე" თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. არხი საინფორმაციო და, ბუნებრივია, მის პროგრამაში პუბლიცისტური და საინფორმაციო გადაცემები ჭარბობს. დოკუმენტური კინო კი, როგორც უკვე ვთქვით, პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის სინთეზს წარმოადგენს. ის ამ ორი პირობითობის ზღვარზე არსებობს და ამიტომ ზუსტად შეესაბამება არხის ზოგად კონცეფციას.

"მეცხრე არხი" თავის მაცურებელს პარტნიორად მიიჩნევს, თანამოსაუბრედ, რომელთანაც პარიტეტული ურთიერთობა აქვს და რომელთანაც ერთად ცდილობს გაერკვას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში, დაადგინოს, რა არის უკეთესი ქვეყნის და თითოეული მისი მოქალაქის მომავლისათვის. ზუსტად ამ ინტონაციით მიმართავენ - მაცურებელს მეცხრე არხის დაკვეთით დამზადებული დოკუმენტური ფილმებიც, განსხვავებით იმ ტელემაუნუებლებისგან, რომლებიც თავს ინფანტილური მასის მენტორად მიიჩნევენ, ცდილობენ ჭკუა ასწავლონ აუდიტორიას, შეუცვალონ მსოფლხედვა და პროპაგანდის მსხვერპლად აქციონ.

აუცილებლად უყურეთ "მეცხრე არხის" ქართულ დოკუმენტურ ფილმებს ყოველ შაბათ-კვირას, გადადეთ ყველა საქმე და ხანგრძლივი, ყურადღებიანი მწერა მიაპყარით თქვენს თანამოქალაქეებს, ჩვენი მძიმე ყოველდღიურობის ამ ნამდვილ გმირებს; ისინი თავისებურად ებრძვიან და არ ეპუებებიან სილატაკებს, რომელიც უცხო მხარეში მიერეკება; გიგანტური პესების მშენებლობას, რომელიც ჩვეულ გარემოს თავდაყირა უყენებს; ომის სისასტიკებს, ულმოებელ ბანკებს, დე ფაქტო საზღვრის ხაზზე ცხოვრების მძიმე პირობებს და მარტოობას დადარიელებულ სოფლებში.

**უყურეთ
დოკუმენტურ
ფილმებს
შაბათ-კვირას
მეცხრე არხის
ეთერში**

www.tv9.ge



ილუსტრაციის ავტორი: ლევან დავითაშვილი

კომენტარი

თაშილას პნაზანი

ახალი ხელისუფლება თავდაჯერებულად გვპირდება, რომ მხოლოდ სასამართლოების მაღალი თანამდებობის პირებისა და პოლიტიკური გავლენისაგან გათავისუფლებით გამოასწორებს იმ შემაძრწუნებელ მდგომარეობას, რომელმაც მთლიანად იმსხვერპლა ჩვენი მართლმსაჯულება.

ლევან ტატიშვილი

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ ვარდების თუ ბრუმერის¹ ხელისუფლება და მისი აღვირახსნილი პოლიტიკური მადა მართლმსაჯულების გაუქმდმარების ერთადერთი მიზეზი. იმ აზრისაგან კი, რომ მოძალადე ხელისუფლებისგან გათავისუფლებით სასამართლოები უმალ განიწმინდებიან, კიდევ უფრო შორს ვდგავარ. ამგვარი სასწაულებრივი კატარზის იმედი იმიტომ არ მაქვს, რომ მოსამართლეების ზნედაკარგულობის და უმეცრების უკუნი არაფრით არ არის ცოტათი უფრო ნათელიც კი ძველი ხელისუფლების ბნელ წარსულზე.

გასაგებია, რომ გაუქმდმარებული მართლმსაჯულებით წარყვნილი სასამართლოს გამოყენება პოლიტიკური მიზნებისა ან პირადი ინტერესებისთვის ნებისმიერი ხელისუფლებისთვის დაუძლეველი ცდუნებაცაა და ძალიან იოლიცაა. მეტიც, ხელისუფლება, მეტადრე ყოველგვარი ეთიკურ-მორალური კონოტაციისგანაც კი დაცლილი realpolitik-ის ეპოქაში, ეცდება კიდევ, რომ მართლმსაჯულება გააუქმდმართოს და სამსახურში ჩაიყენოს. შეუძლებელია realpolitik-ს იზიარებდე და იმავდროულად ხელისუფლებას მორალს და სამართლიანობას სთხოვდე.

პრინციპულობა, მორალურობა და სამართლიანობა მოსამართლეს უნდა

მოვთხოვოთ. მაგრამ, რატომღაც, მოსამართლეს რაც მოეთხოვება, იმას ხელისუფლებას ვთხოვთ. რამდენიმე დღის წინ ეთერით მოვისმინე, რომ, თურმე, ზოგი მოსამართლე და პროკურორი ძალიანაც პატიოსანი ყოფილა მხოლოდ იმიტომ, რომ უსამართლო გადაწყვეტილებას როცა ხელს აწერდა, ამას შინაგანი რწმენის საწინააღმდეგოდ ჩადიოდა! მაპატიეთ, მაგრამ რა არის უსინდისობა, უკეთუ შინაგანი რწმენის საწინააღმდეგოდ მოქმედება?!

კიდევ უფრო შორს წავიდოდი და სასამართლო ხელისუფლების რეპრესირებას და უზურპირებას ხელისუფლებასთან ერთად არა მარტო მოსამართლეებს, არამედ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ადვოკატებსა და იურისტებსაც დავაბრალებდი. მართლაც, ხომ წარმოუდგენელია, ხელისუფლებას უკიდურესად მოკლე ხანში მოექმენა ამდენი „ყურმოჭრილი“ მოსამართლე, თანაც, ნუ დაგავინწყდებათ, საკვალიფიკაციოგამოცდაჩაბარებულ, ანუ ყველაზე კვალიფიციურ იურისტებს შორის, ამ ყურმოჭრილი მოსამართლეებისთვის წლების მანძილზე, მიეღებინებინა სათავისო გადაწყვეტილებები, თუკი ამ ადვოკატთა და იურისტთა, სულ მცირე, სულმდაბლობა არ მისცემდა ამის შესაძლებლობას? რამდენი დისციპლინური ბრალდება

წავუყენეთ მოსამართლეებს საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგიაში? ან ადვოკატებს და იურისტებს კოლექტიური პროტესტი მაინც გაგვეცხადებინა, ან ის მაინც გაგვებედა, რომ კოლექტიურად, საჯაროდ გამოგვექვეყნებინა სასამართლოების უმსგავსობა, ან ის მცირედი მაინც გაგვეკეთებინა, რომ მოსამართლეებისთვის გვეგრძნობებინა უპატივცემულობა, მაგალითად, სალამი არ მიგვეცა, ან, თუნდაც, ირონიული ზედმეტსახელები ან ეპითეტები შეგვერქმია.

არა, იმის გამო ვერ აღვუდექით ამ უმსგავსობას ადვოკატები, რომ არაფერი შეგვწევდა (პირიქით, ძალიანაც ბევრი შეგვწევდა), არამედ იმიტომ, რომ არც ჩვენ ვართ მაინცდამაინც აღმატებულები არც მოსამართლეების უპრინციპობაზე და არც მათ არაკომპეტენტურობაზე.

მართალია, თითო-ოროლა იურისტი აქა-იქ ლაღადებდა მოსამართლეების უმსგავსობაზე, მაგრამ პატივცემულ ადვოკატთა უშველებელი კორპუსი უდრტივინელობით ამ უმსგავსობის მონაწილეები გავხდით.

რამდენიმე დღის წინ ეთერით კვლავ მოვისმინე ერთ-ერთი ადვოკატის საყვედური, ადვოკატები... (მეგონა, სამართლიანი თვითკრიტიკით შეპყრო-

ბილი, ადვოკატებსაც საყვედურობდა ეს ბატონი) ხელისუფლებამ სასამართლო რეფორმიდან განზე რომ დააყენაო, ესეც იყო მართლმსაჯულების გაუკუღმართების მიზეზიო. არა, ბატონო! ეს უგვანო რეფორმა ჩვენი შემწეობითაც გამოვიდა! ხელისუფლებამ ერთი ხის ორი ტოტიდან – მოსამართლიდან და ადვოკატიდან „გამოთალა“ თავისი „რეფორმა“.

მოვიყვან ერთ მაგალითს ჩემი მწირი საადვოკატო პრაქტიკიდან – როგორ ისხამს ხე ორ მსგავს ტოტს.

ამა წლის 11 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილებოდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „აბესაძის ჩიხის“ სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილობა ამხანაგობის 9 წევრის მიმართ. ეს 9 წევრი, ვისაც მე წარმოვადგენდი, მოსარჩელები იყვნენ, ხოლო ამხანაგობის დანარჩენი წევრები, ვინც ხელშეკრულების ბათილობის წინააღმდეგნი იყვნენ – მოპასუხეები. ამხანაგობას ჰყავდა სხვა ადვოკატიც, რომელსაც, საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად, ჩემმა მარწმუნებლმა 2011 წლის 10 იანვარს მიანიჭეს ამ მუხლში ჩამოთვლილი ყველა საპროცესო მოქმედების განხორციელების უფლებამოსილება, ზოგმა – 3 წლის ვადით და ზოგმაც – 2 წლის ვადით, და ამ ადვოკატის ჰონორარში ზუსტად იმდენივე გადაიხადეს, რამდენიც გადაიხადეს ამხანაგობის სხვა წევრებმა. მიუხედავად ამისა, ეს ადვოკატი, როგორც მოპასუხეების წარმომადგენელი, პროცესზე გამოვიდა თავის მარწმუნებულის წინააღმდეგ!

ასეთი რამ კომედიებშიც კი არ შეხვედრია: – ადვოკატი თავისი კლიენტების წინააღმდეგ! აი, ჩემი გაადვოკატების ამბავი ნამდვილი კომედიაა. ჩვენი მოსამართლეების შემხედვარეს, არასდროს არ გამჩენია სურვილი, რომ ხელი მომეკიდა საადვოკატო პრაქტიკისთვის, მაგრამ როცა ჩემს მეგობრებს, ზემოხსენებული ამხანაგობის „წყალობით“, მოუწიათ სასამართლოებში დავა და გავეცანი ადვოკატების „პრაქტიკას“, ადვოკატების უპრინციპობის,

სიზარმაცისა და არაკომპეტენტურობის წინაშე ძრწოლამ მოსამართლეების ზნედაკარგულობის და უმეცრების წინაშე შიში დაჯაბნა! ამ ძრწოლამ სასწრაფოდ ჩამაბარებინა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდები და მოკლედ, „ნაძალადევად ვეჭილი“ გავხდი მოლიერის ერთ-ერთი კომედიის – „ნაძალადევად ექიმის“ არ იყოს. თუმცა, რეალობას კომიკურის უფრო მეტი ნიჭი აღმოაჩნდა, ვიდრე დიდი კომედიოგრაფების წარმოსახვას! ვეჭილი – თავისი კლიენტების წინააღმდეგ, ასეთი რამ მოლიერსაც კი არ მოსვლია თავში!

თუმცა, ჩემი მწირი გამოცდილების ფარგლებშიც კეთილსინდისიერი ვეჭილიც და ერთი-ორი ჩინებული ადვოკატიც შემხვედრია, რომლის დასახელებაც არ მომერიდება – ქეთევან კრანაშვილი და მიხეილ ლოლაძე, ვისგანაც, მათი სიყმაწვილის მიუხედავად, არაერთი რჩევა-დარიგებაც მიმიღია და ბევრი რამეც მისწავლია. მაგრამ ეს გამონაკლისი შემთხვევები მხოლოდ პრივილეგიაა და არა ნორმა და იმის დასტურია, რომ „ადვოკატი კლიენტის წინააღმდეგ“ ნორმაა, რასაც სასამართლო პრაქტიკაც და მოსამართლისა და ადვოკატის ერთსულოვნებაც ადასტურებს. ჩემი შუამდგომლობა ამ ადვოკატის აცილებაზე, რომელიც პროცესზე თავისი კლიენტების წინააღმდეგ გამოვიდა, მოსამართლე მაკა ჭედიამ არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ადვოკატი მოსარჩელების რწმუნებული იყო სხვა და არა ამ კონკრეტულ საქმეზე! შევეცადე რწმუნების ტექსტით ქალბატონი ჭედიასთვის დამესაბუთებინა, რომ პროცესზე ვის წინააღმდეგაც გამოდიოდა ადვოკატი, კიდევ ორი წელი უნდა ყოფილიყვნენ მისი კლიენტები, რაც კანონით დაუშვებელი იყო.

კანონი ადვოკატთა შესახებ:

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა.

1. ადვოკატი ვალდებულია არ განხორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა [არა თუ პროცესზე გამოვიდეს], რომელიც

საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესს.

ან ადვოკატთა ეთიკის კოდექსი:

მუხლი 6. ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

1. ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

მაგრამ მოსამართლემაც და ადვოკატმაც, როგორც ერთი ხიდან, ჩვენში „სასამართლო პრაქტიკა“ რომ ჰქვია, ამოზრდილმა ორმა სიმეტრიულმა ტოტმა, ერთსულოვნების ჰარმონიაში, ურყევი სიმტკიცით და უდრტინველად კანონზე თვალები დახუჭეს.

მცირე ხანში, იმედი ვიქონიოთ, რომ ვარდების ხელისუფლებაც წავა პოლიტიკიდან და კუბლაშვილიც მოუხელთებელი ფანტომასი არ აღმოჩნდება და როგორმე მოხერხდება მისი მართლმსაჯულებიდან ჩამოშორება. მაგრამ მერე და, რა? კუბლაშვილი ხომ არ არის ის ერთადერთი ლაქა მოსამართლისა და იურისტის სულში, რომლის მოცილებითაც კათარზისს განვიცდით ერთ იდილიურ დილას ან ელეგიურ საღამოს?

11 მაისის პროცესზე, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და რომელზეც ადვოკატი თავისი კლიენტების წინააღმდეგ გამოვიდა, მოსამართლე მაკა ჭედიამ იხილავდა ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების ბათილობას მოსარჩელების (ამხანაგობის 9 წევრის) მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელშეკრულების ბათილობის უამრავი საფუძველი არსებობდა, როგორც ფაქტობრივი, ისე – სამართლებრივი, მოსამართლე მაკა ჭედიამ არ ცნო ბათილად ეს ხელშეკრულება.

თავისთავად, გარიგების ბათილად არცნობა, ცხადია, არ უნდა იყოს მოსამართლის გაკიცხვის მიზეზი. ადგილის სიმცირის გამო, მოვიყვან ბათილობის მხოლოდ ერთ-ერთ საფუძველს და შევეცდები თქვენთან ერთად გავიგო, თუ როგორ მოახერხა ქალბატონმა ჭედიამ, რომ არარა, უცილოდ ბათილი გარიგე-

ბა ნამდვილად ცნო!

ამხანაგობის ხელშეკრულების თანახმად, ამხანაგობა დააფუძნა ორმა მხარემ. მშენებლობის ერთი მხარე – მშენებლობის ოთხი დამფინანსებელი და ორგანიზატორი, ვინც ამხანაგობაში განვერიანდნენ ამ ვალდებულებებით. ამ ოთხი დამფინანსებელიდან ერთ-ერთი – მიხეილ ხუციშვილი, აგრეთვე ამხანაგობის თავმჯდომარეც გახლდათ, რომელმაც ამხანაგობის წევრები დაარწმუნა, რომ მასთან ერთად, ის სამი წევრიც მშენებლობის დამფინანსებლები და ორგანიზატორები იყვნენ. ამხანაგობის მეორე მხარე – დანარჩენი დამფუძნებლები, ამხანაგობაში განვერიანდნენ მხოლოდ ქონებრივი შენატანებით (ეზოებით და საცხოვრებელი სახლებით).

სასამართლო სხდომაზე ამხანაგობის თავმჯდომარე ხუციშვილის ჩვენებებითაც და სისხლის სამართლის საქმეზე დანარჩენი სამი დამფინანსებლის ჩვენებებითაც გაირკვა, რომ ოთხი დამფინანსებელიდან არცერთი არ იყო არაფრის დამფინანსებელი და მხოლოდ ტყუილი ეწერა ხელშეკრულებაში. ერთ-ერთი დამფინანსებელი, ხუციშვილის პირადი მევალე გახლდათ და თავმჯდომარემ იგი ხელშეკრულებაში გააფორმა „დამფინანსებლად“ პირადი ვალების გამო ფართის გადაცემის დაპირებით. მეორე ვითომ-დამფინანსებელი, ვინმე ნოტარიუსის თანაშემწე, ხუციშვილს დამფინანსებლად იმიტომ გაეფორმებინა ხელშეკრულებაში, რომ რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია მოემზადებინა, რადგან ვითომ-დამფინანსებლებს საბუთების მომზადებისთვის თანხაც კი არ ჰქონიათ (!). ხოლო მესამე ინვესტორს კი ხელშეკრულებაზე ხელი, თურმე, საერთოდ არ ჰქონია მონერილი: ხელშეკრულების 59 გვერდიდან არცერთ გვერდზე არ არის ამ ვითომ-დამფინანსებლის ხელმოწერა, რაც ამ ხელშეკრულების უცილოდ ბათილობის პირობაა. ცხადია, ამხანაგობის დანარჩენმა წევრებმა არც იცოდნენ და არც შეეძლოთ სცოდნოდათ რაიმე ამ აფიორის შესახებ და იმ იმედით, რომ

მშენებლობას ეს ოთხი დამფინანსებელი დაფინანსებდა, ამხანაგობა დააფუძნეს და ხელშეკრულებასაც ამიტომ მოეწერა ხელი.

მაგრამ, მოსამართლე ქალბატონი ჭედიასთვის ეს ყველაფერი იმდენად უმანკო ტყუილია, რომ ამ მოსამართლის წარმოდგენებით, ნორმალურ ადამიანს რომ შეეტყო ეს ტყუილი, გარიგებას მაინც დადებდა! ძნელი დასაჯერებელია? ვნახოთ, რას წერს ქალბატონი ჭედია თავის „დასაბუთებულ“ გადანყვეტილებაში:

„განსახილველ შემთხვევაში, მოსარ-

■ მცირე ხანში, იმედი ვიქონიოთ, რომ ვარდების ხელისუფლებაც წავა პოლიტიკიდან და კუბლაშვილიც მოუხელთებელი ფანტომასი არ აღმოჩნდება და როგორმე მოხერხდება მისი მართლმსაჯულეზიდან ჩამოშორება. მაგრამ მერე და, რა? კუბლაშვილი ხომ არ არის ის ერთადერთი ლაქა მოსამართლისა და იურისტის სულში, რომლის მოცილებითაც კათარზისს განვიცდით ერთ იდილიურ დილას ან ელეგიურ საღამოს?

ჩელეებმა მიუთითეს გარემოებებზე, რომლებიც არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მოტყუებად, რადგან ბათილობას ინვეს [ის] მოტყუება, რომელიც წარმოშობს ხელშეკრულებას“.

ხელი ჩამიქნევია იმაზე, რომ მოსამართლეს მარტივი განსხვავება არ ესმის „მოტყუებას, რომელიც წარმოშობს ხელშეკრულებას“ და „მოტყუებას, რომლის გარეშე ხელშეკრულება არ დაიდებოდა“, შორის, როგორც ეს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლის პირველ ნაწილშია ჩამოყალიბებული: მაგალითად, გარიგება შეიძლება წარმოეშა შენობის მშენებლობის სურვილს, განზრახვას (და არა მოტყუებას), მაგრამ უკეთეს ესა თუ ის ტყუილი, ეს გარიგება არ შედგებოდა.

თუმცა, რა ვიცი, შეიძლება, ქალბატონი ჭედია ბათილობის პირობად მიიჩნევს უფრო მეტს, ვიდრე ამას კანონი და თეორია მოითხოვს: თუ ოდენ

მოტყუებამ არ წარმოშვა გარიგება, არამც და არამც არ ცნობს ქალბატონი ჭედია ბათილად ასეთ გარიგებას, მაშინაც კი, როცა მოტყუებამ მხარე შეცდომაში შეიყვანა და რომ არა ტყუილი, შეუძლებელი იქნებოდა იმის ვარაუდიც კი, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა. ლათინური ფორმულა კი გვასწავლის – *dolus dans locum contractui* – კონტრაქტისთვის ადგილის მიმცემი ტყუილი (და არა, რომელიც დასაბამს უდებს, წარმოშობს კონტრაქტს, როგორც ეს ქალბატონ ჭედიას ჰგონია), მაგრამ არ გამიკვირდება, თუ

ქალბატონმა ჭედიამ თეორიაში რევიზიითაც გამოიჩინა თავი.

თუმცა, ლათინებსაც და სამოქალაქო კოდექსსაც რომ დავანებოთ თავი და ქალბატონ ჭედიას რევიზიონიზმსაც კი რომ დავუჯეროთ [უკვე აღარ ვიცი, რა სისულელე დავუშვა], ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ჭედიას რევიზიითაც არაფერი არ იცვლება. სწორედაც რომ ხუციშვილის მხრიდან მხოლოდ დამფინანსების დაპირებამ, ანუ თავიდან ბოლომდე ტყუილმა, წარმოშვა ეს ხელშეკრულება, რადგან ამხანაგობის წევრებმა მხოლოდ დამფინანსებლების გამო და მშენებლობის დაფინანსების დაპირების მიზეზით დააფუძნეს ეს ამხანაგობა. სხვა მიზანი და შინაარსი ამ ამხანაგობას არ ჰქონია.

მოკლედ, ქალბატონმა ჭედიამ მიიჩნია, რომ ამხანაგობის დამფუძნებლები იმდენად სულელები იყვნენ, რომც სცოდნოდათ, რომ ოთხი დამფინანსე-

ბლიდან არცერთი არ იყო არაფრის დამფინანსებელი, ხელშეკრულებას მაინც დადებდნენ ამ ცრუ-დამფინანსებლებთან! წარმოიდგინეთ, გსურთ, გარიგება დადოთ დამფინანსებელთან, იცით, რომ არაფრის დამფინანსებელი არ არის, მაგრამ მასთან მაინც დებთ გარიგებას!

მაგრამ ქალბატონი ჭედიას „ვირტუოზობა“ კიდევ უფრო შორს მიდის. თავის „დასაბუთებულ“ გადაწყვეტილებაში იგი კრინტსაც კი არ ძრავს, რომ ოთხი ინვესტორიდან ერთ-ერთს ხელიც კი არ აქვს მონერილი ხელ-

ლებაში? ის, რომ მხარეს, მართალია, გარიგებაზე ხელი არა აქვს მონერილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს გარიგება მაინც ნამდვილია?! მაგრამ ამას მამა ზეციერიც კი ვერ შეძლებდა! მართალია, ქალბატონმა ჭედიამ ეს ვერ შეძლო, მაგრამ ის მაინც შეძლო, რაც მამა ზეციერსაც კი არ შესწევდა! ადგა, და თავის „დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში“ საერთოდ არაფერი არ ბრძანა, კრინტიც კი არ დაძრა იმაზე, რომ მხარეს ხელი არა აქვს მონერილი ხელშეკრულებაზე, ვითომ ყველა მონაწილეს რიხიანად და პატიოსნად

ყოვლისშემძლეობით შობილ თვითტკბობას.

დიდი ხანი ვიფიქრე, თუ რას წარმოადგენდა ეს ტრანსცენდენტური და ეზოთერიკული „პრაქტიკა“. აღწერა დემონსტრირებს, რომ გონებისმიერი ამ პრაქტიკაში თითქმის არაფერია. როგორც ჩანს, ეს ქედმაღლობა შემოქმედების თანამედროვე წარმოდგენებში ან არქაულ მაგიურ-მისტიკურ განცდებში იმალება.

ადამიანის ცნობიერების არქაულ შრეში ჯადოქრის ზებუნებრივ ძალებთან ზიარებით ყოვლისშემძლეობისკენ დაუოკებელი ლტოლვაცაა, რისი ერთ-ერთი თავისებურებაა გონებით გაგების შეუძლებლობა. საგულისხმოა, რომ იურისტებზე დაკვირვებისას შევამჩნიე, რომ ძალიან ხშირად ისინი ხაზს უსვამენ ამ ირაციონალურ მხარეს, თანაც აღმატებულობის სულისკვეთებით და მისტიკურ-პერმეტული ქვეტექსტით: „ეს მხოლოდ ინიცირებულთათვისაა და არა თქვენაირ პროფანთათვის“. პროფანთათვისაც გასაგები რომ იყოს პერმეტული „პრაქტიკა“, მოსამართლე-ადვოკატ ქურუმთა ამ კასტას საფრთხე შეექმნებოდა: ვინმე ინტრიგანი მათემატიკოსი მიხვდებოდა „პრაქტიკის“ მუშაობის ალგორითმს და მთელ ამ მისტიკურ-რელიგიურ განზომილებას უმალ განაჯადოებდა. იურისტებს კი გვჭირდება, რომ ეს ყველაფერი პერმეტული და მონუსხული იყოს და მხოლოდ ჩვენთვის – ვინც მაგიური ფორმულები და რიტუალები ირაციონალურად იცის. ამიტომ, როცა გვეკითხებიან, თუ რატომაა ასე ან ისე, ვპასუხობთ – „პრაქტიკაა“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამას გონებისმიერად (სხვათა შორის, ვერც არაგონებისმიერად) ვერ შეწვდები და მხოლოდ მისტერიებში ინიცირებულებმა ვიცით!

პრაქტიკის ირაციონალობაში არის მეორე, უფრო მინიერი და ნაკლებ იდუმალი ასპექტიც – თანამედროვე წარმოდგენები მხატვრულ შემოქმედებაზე, რომლის თანახმადაც, ჭეშმარიტი ხელოვანი ისაა, ვინც შემოქმედებით თავისუფლებით რაც შეიძლება მეტ ჩარჩოს დაამსხვრევს და რაც შეი-

■ ამიტომ, არ მგონია, რომ უსამართლობით დაბრმავებულ და ყოვლისშემძლე მოლოხის ორ ქურუმს, ვექილსა და მოსამართლეს თვალბახვეული თემიდასადმი მონივნება და რიდი დაუბრუნდეს მხოლოდ თავისუფლების ბოძებით. კვლავ გაგრძელდება ეს დემონური რიტუალი: მოსამართლე მსხვერპლად – კანონს, ვექილი კი, კლიენტს შესწირავს ამ უმსგავსო ბომონს და ამ მაგიურ მსახურებას რელიგიური მონივნებით კვლავ „პრაქტიკას“ უწოდებენ.

შეკრულებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გარიგება არ შემდგარა და იგი არარა გარიგებაა! მით უფრო, რომ ეს გარემოება მან თავად აღმოაჩინა სასამართლო სხდომაზე. გამოგიტყდებით, ყურადღებაც კი არ მივაქციე ერთ-ერთი დამფინანსებლის განცხადებას, რომ მას ხელი არ ჰქონდა მონერილი ამხანაგობის ხელშეკრულებაზე. რას ვიფიქრებდი, რომ ნოტარიუსის მიერ დამონებულ და რეესტრში რეგისტრირებულ საბუთზე მხარეს ხელი არ მოეწერა! ეს გარემოება თავად ქალბატონმა ჭედიამ გადაამონმა და დაამონმა, რისთვისაც მადლიერების გარდა ვერაფერს ვეტყვი, მაგრამ მის მიერ აღმოჩენილი გარემოების სრული უგულებელყოფის გამო აღშფოთების გარდა, მისთვის ვერაფერს ვავიმეტებ! ან კი რა უნდა ეთქვა ქალბატონ ჭედიას თავის „დასაბუთებულ“ გადაწყვეტი-

ხელი მოეწეროს ხელშეკრულების 59-ვე გვერდზე როგორც წესი და რიგია!

საქმე ისაა, რომ ქალბატონმა ჭედიამ ის გააკეთა, რაც ნორმა ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში – კანონის თავისებურად გადაკეთება და მტკიცებულებების გაუკუღმართება, ხოლო, როცა ეს შეუძლებელია, მტკიცებულებების და კანონის სრული უგულებელყოფა! ანუ, სასამართლო პრაქტიკა ყველა საშუალებით ეწევა ლეგეციდს [კანონის მკვლელობა].

მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მხოლოდ ქალბატონი ჭედიას პრივილეგია არ გახლავთ. იურისტები „პრაქტიკას“ ისეთი სიამაყით და შეუვალობით ამბობენ ხოლმე, რომ „პრაქტიკის“ გაგონებაზე საზარელი ჟრუანტელი მივლის და სრულიად უმწეო და ენაჩავარდნილი ვჭვრეტ შემოქმედებითი მგზნებარებით, ამპარტავნებით თუ მისტიკური

ძლება მტკიცე კანონებს დაარღვევს.

არ გამიკვირდება, თუ ქალბატონ ჭყედიას და მისნაირ მოსამართლეებს, „სასამართლოს თავისუფლება“ ასე შემოქმედებითად ესმით: „რაც უფრო მეტ კანონს დავარღვევთ და გავცდებით სამართლის ჩარჩოებს, შემოქმედის, ხელოვანისა არ იყოს, მით უფრო ვაზიარებთ სასამართლოს თავისუფლებას“. ეს ეგზოთერულად, არაინიცირებული პროფანებისთვის ასე ითარგმნება: „რაც უფრო არ იქნება ჩემი შინაგანი რწმენა შეზღუდული კანონის ახსნა-განმარტებაში და რაც უფრო თავისუფალია შეფასებებში მოსამართლე, მით უფრო თავისუფალია მოსამართლე და სასამართლო“.

როცა სასამართლოში ამხანაგობის ხელშეკრულების ბათილობაზე სარჩელი შემქონდა, რამდენიმე გამოცდილ ადვოკატს ჭკუას დავეკითხე. უკლებლივ ყველამ, ერთი იურისტის გარდა, უმაღლეს, დაუფიქრებლად მომახალა, რომ სასა-

მართლო ხელშეკრულებას ბათილად არ ცნობდა. შეკითხვაზე „რატომ“, როცა ბათილობის უამრავი საფუძველი არსებობდა, პასუხად ვღებულობდი ჯადოსნურ შელოცვას – „პრაქტიკაა ასეთი!“ უკლებლივ ყველა არგუმენტი შეელენა ამ მაგიურ სიტყვას, ხოლო ადვოკატები კი, ე.ი. ინიცირებულები, შუშის გაყინული თვალებით არც კი უსმენდნენ ჩემს, როგორც პროფანის, მოსაზრებებს. გამოგიტყდებით და, მოვიწოდებ კიდევ ამ ჯადოსნური სიტყვის ყოვლისშემძლეობით, ადვოკატ-ქურუმების ბრმა მორჩილებით და ადვოკატებსა და მოსამართლეებს შორის მისტიკურ-რიტუალური ერთსულოვნებით. წარმოიდგინეთ და, შუშის გაყინული თვალებითაც კი მოვიხიბლეთ. ალბათ, რელიგიური მონინებით მიშტერებოდნენ რომელიმე ღვთაებას, ცხადია, თემიდას გარდა, და ელოდებოდნენ შთაგონებას ან ნიშანს მაინც.

ამიტომ, არ მგონია, რომ უსამართლობით დაბრმავებულ და ყოვლისშე-

მძლე მოლოხის ორ ქურუმს, ვეჭილსა და მოსამართლეს თვალებახვეული თემიდასადმი მონინება და რიდი დაუბრუნდეს მხოლოდ თავისუფლების ბოძებით. კვლავ გაგრძელდება ეს დემონური რიტუალი: მოსამართლე მსხვერპლად – კანონს, ვეჭილი კი, კლიენტს შესწირავს ამ უმსგავსო ბომონს და ამ მაგიურ მსახურებას რელიგიური მონინებით კვლავ „პრაქტიკას“ უწოდებენ. ხელისუფლება კი ამ რელიგიურ სექტას პრაქტიკითურთ თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ■

1 პრუმერი (ფრ.პრუმერი - ნისლი) - საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის თვე - 21, 22, ან 23 ოქტომბერი - 21, 22, ან 23 ნოემბერი. ალუზია: მე-8 წლის 18 პრუმერს [1799 წლის 9 ნოემბერს] ნაპოლეონმა სახელმწიფო გადატრიალების გზით ფაქტობრივად ხელში ჩაიგდო ძალაუფლება.


RadioCommerciant

marketing@commerciant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commerciant.ge



ახანდებულნი სანჯალები – ნაწილიანი ტოტალიტარული მართვის შედეგები

ნაწილიანი ტოტალიტარული მართვის პოლიტიკას, რომელიც 2006 წელს საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში სიცივეთი გამოვლისას გამოაცხადა, არაადეკვატური სასჯელების ტალღა მოჰყვა. 5000 ლარის ზიანისთვის – 30-წლიანი პატიმრობა, 36 ლარიანი ზარალისათვის – 5-წლიანი პირობითი სასჯელი და 6000 ლარის გირაო. ასეთი და მსგავსი სხვა პრეცედენტები ქართული მართლმსაჯულებისათვის უცხო არ არის.

ნანა ბიგანიშვილი, სტუდია „მონიტორი“

დმანისის შემთხვევა

ტარას ცინდელიანის ოჯახი დმანისში 20 წლის წინ, მას შემდეგ ჩამოსახლდა, რაც სვანეთში, მის მშობლიურ სოფელში დაძრულმა მეწყერმა მისი და მისი თანასოფლელების სახლ-კარი იმსხვერპლა. როგორც თავად იხსენებს, ზემო სვანეთის და ყაბარდო-ბალყარეთის ტურისტული ბილიკები დღესაც ზეპირად ახსოვს. რითაც ყველზე მეტად ამაყობს, იალბუზის 3-ჯერ დალაშქრვაა. ტარას

ცინდელიანმა სამთო ტურიზმის ინსტრუქტორ-მეთოდისტად 22 წელი იმუშავა.

2011 წლის 5 დეკემბერს, დილით, ტარას ცინდელიანი მეულღესთან, ლუბა ცინდელიანთან ერთად ტყეში ფიჩხის შესაგროვებლად წავიდა. ღამით მოსული თოვლის გამო ცოლ-ქმარმა ტყეში შესვლა გადაიფიქრა და გზისპირა ფიჭვების ზოლში გირჩების და წვრილი ტოტების შეგროვება გადაწყვიტა. გზაზე მათ სიმინდის ყანა შენიშნეს, სადაც მოსული

თოვლის მიუხედავად, სიმინდის ტარო მოტეხილი არ იყო და დარჩენილ მოსავალს სოფლის ნახირი ანადგურებდა.

„გზა გადიოდა ყანაზე, სადაც ნაწილი სიმინდისა იყო აღებული, ხოლო ნაწილი იყო დატოვებული. ყანას ღობე მთლიანად მორღვეული ჰქონდა და მთელი სოფლის ნახირი იქ იყო. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ პატრონს სიმინდი უკვე აღებული ჰქონდა, რადგან, როგორც ვთქვი, ღობე გაღებული იყო, იქ მანქანებიც შედიოდა



და ვირებითაც დადიოდნენ და გამოჰქონდათ სიმინდის ჩალა“, – იხსენებს ლუბა ცინდელიანი.

„10-15 კილოგრამი სიმინდი გვექნეოდა მოგროვებული, როდესაც გამოჩნდა მანქანა. პატრონი მოვიდა. გამეხარადა, ვიფიქრე, დავეხმარები მეუღლესთან ერთად-მეთქი“, – ამბობს ტარას ცინდელიანი. თუმცა, მანქანით მოსულ მე-პატრონეებს დახმარება არ უთხოვიათ, მათ საპატრულო პოლიცია გამოიძახეს,

რომელმაც ტარას ცინდელიანი ადგილზე დააკავა.

„დილის 11 საათიდან საღამოს 5 საათამდე იქ მინდორში ვყავდით დაკავებული. მერე მოვიდა ექსპერტი, კომისია. მე არც გაქცევა მიცდია, პირიქით, დახმარება შევთავაზე. ყანის პატრონებმა კიდევ ხელი ჩაიქნიეს და წავიდნენ, პირუტყვიც არ გაუჩეკიათ. პირუტყვი სხვებმა გარეკეს“, – აღნიშნა „მონიტორთან“ საუბრისას ტარას ცინდელიანმა.

ტარას ცინდელიანს პოლიციის გამოჩენისას, როგორც თავად იხსენებს, 15 კილომდე სიმინდი ჰქონდა შეგროვებული ორ ჩანთაში. პოლიციას მან დეტალურად აღუწერა როგორ გადანყვიტეს მეუღლესთან ერთად იმ სიმინდის შეგროვება, რომელსაც საქონელი ანადგურებდა. მას შემდეგ, რაც ტარასმა მეუღლე ახსენა, პოლიციამ ლუბა ცინდელიანიც დაკითხა და მათმა ქმედებამ ჯგუფური დანაშაულის სტატუსიც შეიძინა.

ბოლნისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორმა პროკურორმა, თეა კუტალაძემ ცოლ-ქმარი ცინდელიანების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლით აღძრა. მათ ბრალად დაედოთ „ქურდობის მცდელობა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ“. როგორც გამოძიება ამტკიცებდა, სიმინდის მეპატრონემ 36 ლარის მატერიალური ზიანი განიცადა.

7 დეკემბერს ტარას და ლუბა ცინდელიანები დააპატიმრეს. დაპატიმრებული ცოლ-ქმარი ბოლნისის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, სადაც მათ ორი დღე გაატარეს. ლუბა ცინდელიანის თქმით, სამართალდამცავებმა მას მეზობლებთან დაკავშირების უფლებაც არ მისცეს. არადა, მას სურდა მეზობლებისთვის სახლში უპატრონოდ დარჩენილი პირუტყვის გამოკვება ეთხოვა.

„ძალიან ციოდა, მინუს 10 გრადუსი იყო და ვნერვიულობდი, რომ საქონელი დაიხოცებოდა. გამოძიებული კი არ გვიშვებდა. ვუბნებოდი, სად გავიქცევი, რუსეთში ხომ არ გავიქცევი, სახლს მოვუვლი და დავბრუნდები, არსად არ გავიქცევი-მეთქი. იმან გვითხრა, აქ რომ იზოლატორი გქონდეს, იქ მოგათავსებდით. თუმცა, რადგან არ გვაქვს, იძულებული ვართ, ბოლნისში გადავიყვანოთ, იზოლატორში“, – იხსენებს ლუბა ცინდელიანი.

ბული ვართ, ბოლნისში გადავიყვანოთ, იზოლატორში“, – იხსენებს ლუბა ცინდელიანი.

ტარას და ლუბა ცინდელიანების სასამართლო პროცესი ბოლნისის რაიონულ სასამართლოში შედგა. ცოლ-ქმარს აღმკვეთ ღონისძიებად გირაო 6 ათასი ლარი შეუფარდეს. გამოძიების დასრულების შემდეგ კი, როგორც მათ აუხსნეს, 4-იდან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდათ.

„არაპროფესიონალურად, არაზუსტად ჩატარდა გამოძიებაც და სასამართლო პროცესიც. არც მონმე, არც მომჩივანი და არავინ არ იყო. ვცადე გაპროტესტება და ვინ დამაცალა. განზრახ მძიმე, ჯგუფური დანაშაული, გამოძიებულმა ასე გამიფორმა“, – ამბობს ტარას ცინდელიანი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი არჩილ ჩოფიკაშვილი ამბობს, რომ კანონი მოსამართლეს უფლებას აძლევდა ცინდელიანების ქმედება დანაშაულად არ ჩათვალოს და ისინი დარბაზიდან გაეთავისუფლებინა.

„ქმედების შედეგი, შესაძლოა, აბსოლუტურ თანხმობაში მოდიოდეს სისხლის სამართლის კოდექსისეულ გაგებასთან, რომ ეს არის დანაშაული. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ქმედებით მიყენებული ზიანი არ არის მნიშვნელოვანი, პირი არ წარმოადგენს საზოგადოებისათვის საფრთხეს, მაშინ შესაძლებელია, რომ არ აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ანუ, გარდა იმისა, რომ უნდა აკმაყოფილებდეს ფორმალურ სტანდარტს ქმედება, რომ ჩათვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად, ამასთან ერთად, აუცილებელია, რომ საზოგადოებრივი საქმიანობა, საზოგადოებრივი დაკვეთა და აუცილებლობა იყოს გათვალისწინებული“, – მიაჩნია არჩილ ჩოფიკაშვილს.

ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ არ გაიზიარა ცოლ-ქმარ ცინდელიანების ასსნა-განმარტებები, რომ სიმინდი, რომელსაც საქონელი ანადგურებდა და თოვლში ფუჭდებოდა, პატრონისგან მიტოვებული ეგონათ. ასევე, არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მათი ერთადერთი შემოსავალი

მხოლოდ 100-ლარიანი პენსია იყო. თავისუფლების სანაცვლოდ თითოეულს 3-3 ათასის, ჯამში 6 ათასი ლარის გადახდა შეეფარდათ.

დედ-მამის დაპატიმრების ამბავი შეილება მოგვიანებით შეიტყვეს. როგორც ლუბა ცინდელიანი იხსენებს, თავს დატყუებულ უბედურებას შეილებს სირცხვილის გამო ვერ უმხელდნენ. ცინდელიანების ოჯახში 6 ათასი ლარის შეგროვება გაუჭირდათ. ამასობაში ტარას ცინდელიანი გლდანის მე-8 საპრობილეში, ხოლო ლუბა ცინდელიანი რუსთავის ქალთა კოლონიაში გადაიყვანეს. ასაკო-

პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივ ორგანოს აკითხავენ და ხელს აწერენ. გარდა ამისა, ისინი პენსიის გარეშეც დარჩნენ, რადგან ცდილობენ ციხიდან თავის დასაღწევად აღებული კრედიტი პენსიით დაფარონ. თუმცა, ეს თანხა არ ჰყოფნით და ბანკში გადასახდელ ფულს შვილები უმატებენ. ბოლოს საპროცესო გარიგებისთვის აღებული ვალის გადახდა იმდენად გაუჭირდათ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს თხოვნითაც მიმართეს და მათზე დაკისრებული ჯარიმის, 6 ათასი ლარის, განახევრება ითხოვეს.

„6000 ლარს, ალბათ, სიკვდილამდე

„განრიდება ეს არის პროკურორის დისკრეცია, რომ მან ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არ გამოიყენოს სისხლის სამართლებრივი პროცედურები, ან უკვე დანყული პროცედურები შეწყვიტოს და პირის მიმართ გამოიყენოს სხვა ალტერნატიული მეთოდები“, – ამბობს ნინო გვენეტაძე, ექსპერტი იურისტი.

განრიდების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებას იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადგიშვილის მიერ 2010 წლის 8 ოქტომბერს გამოცემული ბრძანება მოჰყვა. ბრძანებით პროკურატურის მისია, მიზნები და ზოგადი პოლიტიკა განისაზღვრა. დადგინდა ორი ტესტი, რომლითაც ყველა პროკურორმა უნდა იხელმძღვანელოს, ვიდრე საქმეს სასამართლოში წაიღებს. პირველი ტესტი ფორმალურ მტკიცებულებებს ეხება, მეორე – საჯარო ინტერესს. ბრძანება პროკურორს ავალდებულებს სისხლის სამართლებრივი დევნა მხოლოდ ორივე ტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში ანარმოს. ნინალმდეგ შემთხვევაში, პროკურორს კანონი დისკრეციის უფლებას ანიჭებს, ანუ, პროკურორს უფლება აქვს დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, პირის სისხლის სამართლებრივი დევნა არ დაიწყოს, თუ ამის საჯარო ინტერესში არ დარწმუნდება.

„მხოლოდ პროფესიონალებმა იციან კანონში არსებული ალტერნატივების შესახებ, ეს არ უგრძნიათ თვითონ საზოგადოებას, თვით დაზარალებულებმაც არ იციან, რომ აქვთ მორიგების შანსი“, – ამბობს ნინო გვენეტაძე.

განრიდების პროგრამა ითვალისწინებს მხარეებს შორის მორიგების შემდეგ დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდას, რომელიც 500 ლარზე ნაკლები არ შეიძლება იყოს, აგრეთვე, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. სწორედ ეს ღონისძიებები შეიძლება გამოიყენოს პროკურორმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ნაცვლად.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რატომ არ გამოიყენა ცოლ-ქმარ ტარას და ლუბა ცინდელიანების შემთხვევაში პროკურორ-

■ ბოლნისის რაიონული პროკურატურის სტაჟიორმა პროკურორმა, თეა კუტალაძემ ცოლ-ქმარი ცინდელიანების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 177-ე მუხლით აღძრა. მათ ბრალად დაედოთ „ქურდობის მცდელობა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ“. როგორც გამოძიება ამტკიცებდა, სიმინდის მეპატრონემ 36 ლარის მატერიალური ზიანი განიცადა.

ვანი მშობლების დასახსნელად ცინდელიანის შვილები იძულებული გახდნენ ბანკიდან კრედიტი აეღოთ.

6 000 ლარის გადახდის შემდეგ პროკურორმა, თეა კუტალაძემ ცინდელიანებს საპროცესო გარიგება გაუფორმა. ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, გიორგი ებანოიძემ ცინდელიანების მიმართ დამდგარი სასჯელი სამართლიანად ცნო: „სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ აღნიშნული საპროცესო გარიგება შეთანხმების საფუძველზე, პროკურატურის მხრიდან შეთავაზებული სასჯელის ზომა სამართლიანია, რადგან იგი შეესაბამება ბრალდებულების პიროვნებას, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“, – წერია გამოტანილ განაჩენში.

საპროცესო შეთანხმებით, თანხის გადახდის შემდეგ ტარას და ლუბა ცინდელიანებს 4-4 წელი პირობითი სასჯელი შეეფარდათ. ცოლ-ქმარი დღეს პრობაციონერები არიან. ისინი კვირაში ერთხელ

ვერ გადავიხდით. 230 ლარი უნდა ვიხადოთ ყოველთვე სამი წლის განმავლობაში. სულ ეს ამბავი მიდგას თვალწინ და დაძინება არ შემიძლია. განუწყვეტილ ვფიქრობ, რატომ მოხდა ეს“.

ტარას ცინდელიანი ვერც სვანეთში მიდის, რადგან დმანისის ერთი კვირით დატოვებისთვის 400 ლარი უნდა გადაიხადოს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ ისინი დიდხანს ავადმყოფობდნენ. თუმცა, მათი თქმით, ფიზიკურ და მატერიალურ ზარალზე უფრო მეტად მათ მორალური ზარალი განიცადეს.

განრიდება

2010 წლის ბოლოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განრიდების ინსტიტუტის ამუშავებასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებამ პროკურორს მიანიჭა სრული დისკრეცია, ანუ უფლებამოსილება, რომ, საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გადაეწყვიტა აღძვრა, თუ არა სისხლის სამართლის საქმე.

მა, კუტალაძემ თავისი დისკრეციული უფლება და არ განარიდა ისინი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას? ანდა, რატომ ჩათვალა მან საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებისათვის უფრო მნიშვნელოვნად ცოლ-ქმრის დასჯა, ვიდრე მათი განრიდება? თუ კუტალაძეს ტელეფონით დაუუკავშირდით. „მე ბოლნისში არ ვმუშაობ, ბოლნისში, არ ვმუშაობ ამ ეტაპისთვის პროკურატურის სისტემაში, არ მაქვს უფლება გავაკეთო კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით“, – გვითხრა მან. ჩვენ მიერ დასმული მომდევნო შეკითხვის მერე კი, კუტალაძემ სატელეფონო საუბარი განწყვიტა.

არასამართავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტის არჩილ ჩოფიკაშვილის შეფასებით განრიდების პროგრამა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის საქმეში, თუმცა, მკაცრი ცენტრალიზებული სისტემისა და თავისუფლების დაბალი ხარისხის გამო პროკურორების უმრავლესობა არ გამოთქვამს ინიციატივას, რომ პირი, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ჩართულ იქნას განრიდების პროგრამაში. არადა, ამ ინიციატივის გამოთქმის პრეროგატივა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხოლოდ პროკურორს აქვს.

„არ არის გამორიცხული, რომ განრიდების დამატება კანონმდებლობაში იყო კეთილი ნება და შეიძლება ამოქმედებულიყო ეს ინსტიტუტი. თუმცა, თვითონ ეს სისტემა იმდენად სხვა განზომილებაში იმყოფებოდა, რომ ამ ინსტიტუტის ამოქმედებისა და დანერგვისათვის მზადაც არ აღმოჩნდა. კანონის დონეზე ეს არსებობს, თუმცა, ამის სტატისტიკაც შეიძლება ინახოს, რომ ძალიან ერთეულ შემთხვევებში არის გამოყენებული განრიდება“, – ამბობს არჩილ ჩოფიკაშვილი.

კაპალისას საქმე

2012 წლის 9 მარტს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ზვიად ესებუამ სასამართლო განაჩენი გამოიტანა. ამ განაჩენის თანახმად, 27 წლის ირაკლი კაკალიას შეკრებილობის პრინციპის გათვალისწინებით თავისუფლების აღკვეთის 72-წლიანი ვადა განესაზღვრა. საბოლოოდ, კანონის შესაბამისად, მას სასჯელის ზომად 30-წლიანი პატიმრობა მიესაჯა.

სისხლის სამართლის პოლიტიკა 2004 წლიდან დღემდე

სისხლის სამართლის პოლიტიკის რეფორმა, რომელიც 2006 წელს ნულოვანი ტოლერანტობის ფაზაში შევიდა, 2004 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება. ხელისუფლების მიერ გატარებულ სისხლის სამართლის რეპრესიულ პოლიტიკას შედეგად პატიმართა რეკორდული რიცხვის დაფიქსირება მოჰყვა. დამნაშავეთა მიმართ გამოიყენებოდა ძალიან მკაცრი სასჯელები. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ის საკანონმდებლო ცვლილებაც, რომელიც 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო და დანაშაულის შეკრებილობის წესი დააკანონა, რითაც გაუქმდა ნაწილობრივი შეკრებისა და შთანთქმის პრინციპი.

„თუ რაღაც ქმედებისათვის მინიმალური სასჯელის ზომა იყო 5 წელი და პირმა ჩაიდინა 5 ასეთი ფაქტი, ავტომატურად იკრებოდა ეს სასჯელები და გამოდის 25 წელი. პარლამენტი ზედმეტ კითხვებს არ სვამდა, ყოველთვის ხდებოდა შემოთავაზებული ცვლილებების დამტკიცება, სწორედ იმის გამო გვაქვს ის შედეგები, რაც გვაქვს“, – ამბობს არჩილ ჩოფიკაშვილი, არასამართავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ იურისტი.

ირაკლი კაკალია 2011 წლის 14 ნოემბერს წერეთლის გამზირზე პოლიციამ ერთ-ერთ სადარბაზოში ელექტრო სადენის ქურდობაზე დააკავა. დაკავებული იმ დღესვე დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციაში გადაიყვანეს. ირაკლის ბიძამ, დავით მელაძემ მისი დაპატიმრების ამბავი მეორე დღეს შეიტყო და პოლიციაში მისულს, როგორც თავად იხსენებს, დისშვილი ფიზიკური დაზიანებით დახვდა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქურდობის რამდენიმე ეპიზოდი ქალაქის ცენტრალურ ადგილას დაფიქსირდა. გამოძიებამ დანაშაულის ადგილას გარე პერიმეტრის სათვალთავლო კამერებიდან ფირებიც ამოიღო. აღნიშნული კამერები კომერციულ ბანკებს და სხვა

„რომ მივედი და ვნახე, უკვე არ მემონა, ხელზე სისხლიანი ჭრილობა ჰქონდა და მეთქი, ნაცემი ხარ. თავი დამანებე, საქმეს ნუ მიფუჭებთო, ასე მითხრა პოლიციის შენობაში. ადვოკატმა გვითხრა, შეგვიძლია ექსპერტიზა დავინიშნოთ, მაგრამ გალიზიანდებიანო და საქმე არ გავაფუჭოთო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ საპროცესო შეთანხმება შედგებოდა, რაღაც თანხას გადავიხდიდით და ან საერთოდ არ მოხვდებოდა ციხეში თუ მოხვდებოდა – ცოტა ხნით“, – ამბობს ირაკლის ბიძა დავით მელაძე.

იმ იმედით, რომ პროკურატურა საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებდა, ირაკლი კაკალიამ ელექტროსადენების ქურდობის 25 ფაქტი აღიარა. „ჩაერთო მთელი სახელმწიფო მანქანა. საქმეები გაუსხნელიაო, აგერო 4-დან 7 წლამდე მუხლი გემუქრება, და 6 წელს მაინც მოგცემენო. თუ აღიარებ და სხვა დანაშაულებებსაც შენ თავზე აიღებ, მაშინ საპროცესო გარიგებით 2 წლამდე გაგიკეთებო“, – ამბობს კაკალიას ადვოკატი ზურაბ როსტიაშვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარემ კაკალიას წინააღმდეგ 292 მტკიცებულება წარმოადგინა. ნიშანდობლივია, რომ საპროცესო გარიგების მოლოდინში დაცვის მხარეს არცერთი მტკიცებულება სადავო არ გაუხდია. ირაკლი კაკალიას, საბოლოოდ, დაპირებული საპროცესო გარიგება არ გაუფორმეს. მოსამართლე ზვიად ესებუამ ირაკლი კაკალიას 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, „თელასისათვის“ მიყენებული ზარალი სულ 5300 ლარს შეადგენდა. მოსამართლე ესებუა განაჩენის გამოტანისას ძირითადად ბრალდებულის აღიარებით ჩვენებას დაეყრდნო, სისხლის სამართლის საქმეში კი მრავალი პასუხგაუცემელი შეკითხვა დარჩა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქურდობის რამდენიმე ეპიზოდი ქალაქის ცენტრალურ ადგილას დაფიქსირდა. გამოძიებამ დანაშაულის ადგილას გარე პერიმეტრის სათვალთავლო კამერებიდან ფირებიც ამოიღო. აღნიშნული კამერები კომერციულ ბანკებს და სხვა

ფინანსურ დაწესებულებებს ეკუთვნოდა. ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის შედეგები საქმეში არ დევს, რაც ეჭვს აჩენს, რომ სათვალთვალო ვიდეო კადრებში ირაკლი კაკალია არ დაფიქსირდა.

„ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებში, როგორც ჩანს, არ გამოჩნდა ირაკლია კაკალია და ეს დასკვნები დამალეს. წესით, ვალდებული არიან, რომ ეს გამამართლებელი სამხილებიც (ეს ხომ გამამართლებელია, რომ 5 ქურდობის ეპიზოდზე ამოღებულ კადრებში არ დაფიქსირდა ირაკლი კაკალია) გამოექვეყნებინათ. დამალეს და არ მოგვეჩვენეს“, – ამბობს ადვოკატი როსტიაშვილი.

30-წლიანი პატიმრობის მისჯის შემდეგ ირაკლი კაკალიამ გლდანის ციხიდან სააპელაციო სასამართლოს მიმართა და დანაშაულის აღიარების მიზეზი დაასახელა, როგორც კაკალია აცხადებდა, ის პოლიციაში აიძულეს დანაშაული თავის თავზე აეღო: „ოთახში შემოვიდა პოლიციელი, როგორც კი გაიგო, რომ არ ვაღიარებდი, მან კისერში დამარტყა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შემდეგაც დაძაბული საუბარი შედგა ჩვენს შორის. შემდგომ გაირკვა, რომ გამომძიებელი იყო ჩემი ახლობელი. მან მირჩია ჩემს თავზე ამეღო, მეღიარებინა ის დანაშაულები, რაც არ იყო ჩემი ჩადენილი, მან მითხრა, რომ დანაშაულზე, რომლის გამოც დამაკავეს (ქურდობის მცდელობაზე), სასჯელის ზომა ითვალისწინებდა 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ვინაიდან ნასამართლევი არ ვიყავი, მომისჯიდნენ 4 წელს. თუ ჩემს თავზე ავიღებდი იმ დანაშაულს, რომელიც მე არ მქონდა ჩადენილი, მაშინ მომცემდნენ 2 წელს და გამიფორმებდნენ საპროცესო შეთანხმებას“.

სააპელაციო სასამართლოში ირაკლი კაკალიას პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გაუფორმა და 30 წელი 10-წლიანი პატიმრობით შეუცვალა. პატიმარმა ირაკლი კაკალიამ გლდანის ციხე ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2012 წლის 12 ნოემბერს დატოვა. ერთწლიანი პატიმრობის შემდეგ კაკალია პრეზიდენტმა სააკაშვილმა პატრიარქის თხოვნით შეიწყალა.

ბახილაძის ჰიობიხაბა

„2009 წლიდან ნელ-ნელა წამოვიდა ტენდენცია, როდესაც „რეფორმატორებს“ დასჭირდათ და, ნებით თუ უნებლიეთ, ლიბერალიზაციის გზას დაადგა სისხლის სამართლის რეფორმა და, მათ შორის, კანონმდებლობა“, ამბობს ნინო გვენეტაძე, ექსპერტი იურიდიულ საკითხებში. განრიდების პროგრამის შესახებ იუსტიციის სამინისტრომ სტუდია „მონიტორს“ ასეთი სტატისტიკური მონაცემები მიაწოდა: განრიდების ამოქმედებიდან დღემდე, ანუ 2 წლის განმავლობაში, განრიდებულია დანაშაულის ჩამდენი 1322 პირი. მათ შორის, 197 არასრულწლოვანი და 1125 სრულწლოვანი.

სოფელ ტინისხიდის შიმშისკვება

25 წლის მამუკა ბასილიძე გლდანის ციხის ბინადარია. უკვე მეათე თვეა, რაც ის სასჯელს იხდის. გლდანის ციხის პატიმარ ბასილიძის ისტორია არაფრით იქნებოდა გამორჩეული სხვა პატიმრებისაგან, რომ არა დაპატიმრების მიზეზი. მისი დაპატიმრების მიზეზი კი, დედის საჩივარი გახდა.

ეს ამბავი სოფელ ტინისხიდში 2012 წლის 4 იანვარს მოხდა. მცირე ხნით სახლიდან გასულ ასმათ ბასილიძეს სახლში დაბრუნებისას შვილი მამუკა აღარ დახვდა. ასმათმა ისიც ნახა, რომ მისი დანაშაული 200 დოლარი აღებული იყო. ეჭვი თავიდანვე მამუკაზე მიიტანა, რადგან, როგორც თავად იხსენებს, ბოლო დროს ის სათამაშო კლუბების ხშირი სტუმარი გახლდათ და მთელ გამოძიებაზე თანხას პოკერის სათამაშო აპარატებზე ხარჯავდა...

„მივიხედე, მოვიხედე და ვნახე, რომ ფანჯარა გაუღია და გადასულა იქიდან, საჭმელი უჭამია, აულია ეს 200 დოლარი და 20 ლარი და წასულა, ოქროულობაც არ წაიღო, ხელი არ უხლია. მე კაპიკ-კაპიკ ვზოგავდი, უცებ საავადმყოფოში წასულა რომ დამჭირდეს, ჩემი პატრონი

არავინ არის. მე არავინ მყავს, იმასაც არავინ ჰყავს. ბინა რომ გაგყიდე, იქიდან დამრჩა და რამდენჯერ მოვატანინე სავაჭროდ საქონელი, და არაფერი არ გამოუვდა. „პოკერებში“ ხარჯავდა“, – ამბობს ასმათ ბასილიძე.

გარდა აზარტული თამაშებით გატაცებისა, დედის თქმით, მამუკა ბოლო დროს ხშირად ნასვამიც ბრუნდებოდა სახლში. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა პატრულის გამოძახება: „პატრულს დავურეკე იმიტომ, რომ უკვე ყოველდღე სვამდა. იქნებ, როგორმე გადაეჩვიოს, იქნებ, საგარეჯოში წაიყვანონ და უმკურნალონ-მეთქი“. პატრულმა ასმათ ბასილიძე პოლიციაში წაიყვანა, სადაც ჩვენება ჩამოართვეს.

„როგორც საქმის გარემოებიდან ირკვევა, დედა ითხოვდა დანაშაულის აღკვეთას. ანუ, შვილის შეჩერებას. შვილი, მართალია, დაეუფლა მის ფულს, მაგრამ, თუ კიდევ შესაძლებელი იყო, ნივთი უკან დაბრუნებულიყო. ანუ, დედას სურდა, რომ შვილს ვერ განეკარგა მისი ფული, აი, ეს უნდოდა დედას და არამც და არამც დედის გადაწყვეტილება და მიზანი არ იყო შვილის დასჯა“, – ამბობს ნინო გვენეტაძე.

მამუკა ბასილიძე იმ დღეს პატრულმა ვერ იპოვა. ის არც მეორე დღეს გამოჩენილა. პოლიციამ მასზე ძებნა გამოაცხადა. სახლში მამუკა მხოლოდ 12 იანვარს დაბრუნდა და დედას პატიება სთხოვა. აღმოჩნდა, რომ სახლიდან წაღებული 200 დოლარი პოკერ კლუბში მართლაც წააგო. ასმათ ბასილიძემ რადგან იცოდა, რომ მამუკას პოლიცია ეძებდა, დილით თავად დაურეკა გამომძიებელს და აცნობა, რომ მამუკა დაბრუნდა და ძებნა აღარ იყო საჭირო. პოლიცია დარეკვიდან რამდენიმე წუთში მოვიდა და მამუკა ბასილიძე სახლიდან წაიყვანა.

„ვთხოვე პოლიციას, რომ, იქნებ, საგარეჯოში წაიყვანო გამოსაფხიზლებელში და სასმლის გადასაჩვენებლად, საგარეჯოში გააგზავნიან სამკურნალოდ-მეთქი და ამოაყოფინეს თავი თბილისში. აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი ერთია. გინდა სახლიდან მოუპარია და გინდა სხვაგან, ეგაო სულ ერთიაო“, – იხსენებს ასმათ ბასილიძე.



■ 6 000 ლარის გადახდის შემდეგ პროკურორმა, თვა კუტალაძემ ცინდელიანებს საპროცესო გარიგება გაუფორმა. ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, გიორგი ებანოიძემ ცინდელიანების მიმართ დამდგარი სასჯელი სამართლიანად ცნო: „სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ აღნიშნული საპროცესო გარიგება შეთანხმების საფუძველზე, პროკურატურის მხრიდან შეთავაზებული სასჯელის ზომა სამართლიანია, რადგან იგი შეესაბამება ბრალდებულების პიროვნებას, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს“, – წერია გამოტანილ განაჩენში.

გორის რაიონულ სასამართლოში მამუკა ბასილიძის სასამართლო პროცესი ისე ჩატარდა, რომ დედა არ დასწრებია, რადგან მას არ შეატყობინეს. წარსულში ნასამართლევ ბასილიძეს ორი წლით სასჯელის მოხდა და 5 წელი პირობითი პატიმრობა მიუსაჯეს.

იურისტი ნინო გვენეტაძე თვლის, რომ ბასილიძის საქმეზე პროკურატურას დისკრეციის უფლება ჰქონდა, რაც არ გამოიყენა და მამუკა გლდანის საპრობილემში გაამწესა.

„ამ შემთხვევაში პროკურატურას ჰქონდა სრული შანსი, რომ განრიდება გამოეყენებინა, ანუ დევნა შეეწყვიტა შვილის მიმართ და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომაში ჩაება, რაც დამნაშავეს რესოციალიზაციისთვისაც იქნებოდა ბრწყინვალე და, ასევე, დედას დარჩებოდა შვილი სახლში. შვილს მიეცემოდა საშუალება ლოგინად ჩავარდნილი დედისათვის მოეწყო და დამატებით კიდევ სადმე დასაქმებულიყო და ის ზიანიც აენახლაურებინა, რაც ფულის მითვისებით მიაყენა დედას“, – ამბობს გვენეტაძე.

მძიმედ დაავადებულ ასმათ ბასილიძეს მომვლელი ამჟამად სახლში არავინ ჰყავს. როგორც თავად ჰყვება, ხშირად პურის საყიდლადაც ვერ ახერხებს გარეთ გასვლას. მამუკა ბასილიძე გლდანის მე-8 საპრობილემში იხდის სასჯელს, დედა მის სანახავადაც ვერ ახერხებს ჩასვლას. როგორც ასმათი აცხადებს, მის შვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა. ასმათი შვილის გათავისუფლების იმედს დღემდე არ კარგავს და პრეზიდენტ სააკაშვილის სახელზე დაწერილ შეწყალების მოთხოვნის დაკმაყოფილებას ელოდება.

ქართულ სასამართლოებში დანერგილი პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმცირესი ზიანისთვის ადამიანებს აპატიმრებდნენ, ან დიდ ჯარიმას და პირობით სასჯელს უსჯიდნენ. შეძლებს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება მართლმსაჯულების პოლიტიკური ნწყვისგან გათავისუფლებას, მომავალში მოსამართლეთა გადაწყვეტილებებში გამოჩნდება. ■

ჩაქანა მოქალაქეებზე ნაქონი

ოპოზიციურ მედიად მიჩნეულ ტელევიზიებში არჩევნების შემდეგ რეკლამების რაოდენობა თანდათან იზრდება. „მაესტროში“, „კავკასიასა“ და „მეცხრე არხში“ აცხადებენ, რომ პოლიტიკური ზენოლის მოხსნის შემდეგ მათ ეთერში ბევრი ახალი რეკლამა გამოჩნდა, თუმცა, სარეკლამო ბაზარზე სიტუაცია კვლავ დაურეგულირებელი და გაურკვეველია.

ეკა მალალდაძე



ილუსტრაცია: სურვილი / თეატრი

კონკურენციის ნაკლებობა, სარეკლამო სექტორის გაუმჭირვალეობა, ბაზრის მძლავრი კონცენტრაცია, არარეალური ფასები, ბიზნესზე პოლიტიკური ზეწოლა და თვითცენზურა – ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომლებიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გასულ წელს სარეკლამო სექტორის კვლევისას გამოყო. „საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციის ნაკლებობითა და ბაზრის მძლავრი კონცენტრაციით ხასიათდება, ნაციონალური სატელევიზიო არხების სა-რეკლამო დროზე დე-ფაქტო მონოპოლიას სატელევიზიო რეკლამების გაყიდვების სა-ხლი „ჯენერალ მედია“ ფლობს, მთავრობის მიერ კონტროლირებადი კომპანიები რეკლამების განთავსების მეშვეობით, კონკრეტულ მედია-საშუალებებს მიზნობრივ ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ“, – ასკვნის არასამთავრობო ორგანიზაცია.

ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორი ბაჩო კიკაბიძე ამბობს, რომ ყოფილი ხელისუფლების პირობებში არსებული პოლიტიკით, რეკლამა „მაესტროზე“ საერთოდ არ უნდა გასულიყო. „ყველამ ისე-დაც იცოდა, თუ მათი კომპანიის რეკლამა ჩვენთან გამოჩნდებოდა, მათთან დაუყოვნებლივ შევიდოდა საგადასახადო, პროკურატურა და ა.შ., მოკლედ, პრობლემებს ვერ ასცდებოდნენ. არჩევნების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა და ახლა ვცდილობთ, ეს ყველაფერი სისტემაში მოვიყვანოთ“. სარეკლამო შემოსავლები გაეზარდა ტელეკომპანია „კავკასიასაც“ და „მეცხრე არხსაც“, რომლის თანამფლობელიც ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძეა და რომელმაც მაუწყებლობა ახალი ფორმატით წელს მისში დაიწყო. გარდა პოლიტიკური ზეწოლისა თუ თვითცენზურისა, მედიასაშუალებების წარმომადგენლები სარეკლამო ბიზნესის მონოპოლიზებაზეც საუბრობდნენ. არსებული პრაქტიკით, მედიასაშუალება ან თვითონ თანამშრომლობს სარეკლამო სააგენტოებთან და უშუალოდ ბიზნესკომპანიებთან (რეკლამის დამკვეთებთან) ან რეკლამას სარეკლამო სააგენტოებისგან გაყიდვების სახლი იღებს და ის ათავსებს მედიასაშუალებაში. ქართულ ბაზარზე ყველაზე მსხვილი სარეკლამო სახლები, ფაქტობრივად, „იმედისა“ და „რუსთავი 2-ის“ მფლობელების განკარგულებაშია.

„სატელევიზიო რეკლამების გაყიდვების კომპანია „ჯენერალ მედია“ „იმედზე“, „რუსთავი 2“-ზე, „საქართველოზე“, „მზეზე“, „რეალტივიზე“, „პირველ სტერეოზე“ რეკლამის გაყიდვის ექსკლუზიური უფლებით სარგებლობს. ნებისმიერი კომპანია, რომელსაც ნაციონალურ არხებზე რეკლამის განთავსება სურს, იძულებულია მასთან ითანამშრომლოს“, – ვკითხულობთ „გამჭვირვალობის“ ანგარიშში.

„ჯენერალ მედია“ 2010 წლის თებერვალში დარეგისტრირდა. მის 100 %-იან წილს

■ ზოგადად, სარეკლამო დანახარჯების 78 % ორ ნაციონალურ არხზე, „იმედსა“ და „რუსთავი 2-ზე“, მოდის. ეს არხები ერთობლივად აუდიტორიის ბაზრის 60 %-იან წილს აკონტროლებენ.

მერაბ წულუკიანი ფლობს, დირექტორი კი ირაკლი ბურძღალაა. ეს უკანასკნელი მეორე სარეკლამო კომპანია „უნიმედიას“ დირექტორიცაა, რომლის 50-50 %-ს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“ და „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპი“ ფლობენ. თავის მხრივ, „ჯორჯიან მედია პროდაქშენ ჯგუფი“ „იმედისა“ (სანამ ის პატარკაციშვილის მეუღლის, ინა გუდავაძის ხელში გადავიდოდა) და სარეკლამო კომპანია „თარ მედიას“ 100 %-ს ფლობდა.

ზოგადად, სარეკლამო დანახარჯების 78 % ორ ნაციონალურ არხზე, „იმედსა“ და „რუსთავი 2-ზე“, მოდის. ეს არხები ერთობლივად აუდიტორიის ბაზრის 60 %-იან წილს აკონტროლებენ.

„მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორი კახა ბექაური ამბობს, რომ რეკლამის გაყიდვების მონოპოლისტი კომპანიები ცდილობდნენ ბაზარზე არსებული ყველა რეკლამა იმ ორი ნაციონალური არხისთვის მოეზიდათ, რომლებშიც პირადი ინტერესი ჰქონდათ. ამის გამო კი ბიზნესკომპანიებს მთელ რიგ საშუალებათა პირობებს სთავა-

ზობდნენ. ფასების დანევა მთლიანად ბაზარზე უარყოფითად აისახა და მოგებული მხოლოდ რეკლამის დამკვეთები დარჩნენ.

თავად „ჯენერალ მედიას“ აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ გუმბარიძე უარყოფს გამოთქმულ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ მისი კომპანია სააგენტოების დისკრიმინაციას ახდენდა და პირდაპირ რეკლამის დამკვეთს იმაზე უკეთესი ფასების შეთავაზებით მიმართავდა, ვიდრე სარეკლამო სააგენტოებს შეუძლიათ შესთავაზონ: „ჩვენთან ყველა სააგენტო თანაბარი პირობებით სარგებლობს და საერთოდაც, მხოლოდ იმ სააგენტოებთან ვთანამშრომლობთ, რომლებსაც ბრენდებთან პირდაპირი კავშირი არ აქვთ, ერთ-ერთი მიზანი რისთვისაც ჯენერალ მედია შეიქმნა, ფასებისა და ბაზრის მოცულობის ზრდა იყო“, – ამბობს გუმბარიძე.


ბექაური კი მიიჩნევს, რომ ეს არასწორი საფასო პოლიტიკა, ერთი შეხედვით, პრივილეგირებულ მედიასაშუალებებსაც უმცირებს მოგებას.

„გაყიდვების სახლი ფასებს ამცირებდა, თუმცა, ფაქტობრივად, მათ მიჰქონდათ დიდი წილი შემცირებული ბაზრიდან. სწორი საფასო პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში, დიდი ბაზრიდან მცირე პროცენტზე რომ წაეღოთ, მნიშვნელობით ეს მაინც მეტი აღმოჩნდებოდა, ვიდრე რეალურად ამ ორ არხს გამოსდიოდა“.

საქართველოში სატელევიზიო რეკლამის ღირებულება, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, დაბალია. ნაციონალურ არხებზე რეკლამის დაბალი ღირებულების გამო, რეკლამის დამკვეთებს ნაკლები სტიმული აქვთ, რომ მათი სარეკლამო კამპანიის ნაწილი „რუსთავი 2“-დან და „იმედისა“ უფრო პატარა ტელეარხებზე, ბექაური და ინტერნეტ გამოცემებზე ან რადიო სადგურებზე გადაიტანონ და სარეკლამო დანახარჯების დივერსიფიცირება მოახდინონ. შესაბამისად, სარეკლამო შემოსავლების დიდ ნაწილს კვლავ ეს ორი ნაციონალური არხი იღებს. თუმცა, არსებული მონაცემებით, უკანასკნელ წლებში სარეკლამო შემოსავლები შემცირდა.

2011 წლის იანვარ-აპრილთან შედარებით, 2012 წლის ამავე პერიოდში სარეკლამო შემოსავლები თითქმის მილიონ 170 ათასით ნაკლებია.

ჩქაბამის მსხვილი ბაჟყიფიფიფი და მათი მფლობალები



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ერთ-ერთ პრობლემად მფლობელების მიერ მედიასაშუალებების სუბსიდირებასაც ასახელებდა. „გამჭვირვალობის“ მედიანალიტიკოსი მამუკა ანდლულაძე ამბობს, რომ ამ დროს, რეკლამაზე დამოკიდებულ მედიაში რეკლამის ფასი უფრო მაღალი გამოდის, ვიდრე იქ, სადაც დამატებითი რესურსები არსებობს. შესაბამისად, დიდ ნაციონალურ არხებს შეუძლიათ დამკვეთს გაცილებით დაბალი ფასი და უკეთესი პირობები შესთავაზონ, ვიდრე სხვა მედიასაშუალებამ.

2012 წლიდან ძალაში შევიდა ცვლილებები მაუწყებლობის შესახებ კანონში, რომელთა მიხედვითაც, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებს მოეთხოვებათ, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ანგარიშის სახით წარუდგინონ ინფორმაცია რეკლამიდან, სპონსორობიდან, ტელეშოპინგიდან, შემონიშნულობიდან თუ სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ. 2011 წელს ტელე და რადიოსადგურებმა 88 მილიონლარიანი შემოსავალი აჩვენეს. აქედან „სხვა შემოსავალი“ მთლიანი თანხის 16.7%-ს შეადგენდა. ეს შეიძლება იყოს ტექნიკური მომსახურებიდან, პროგრამების გაქირავებიდან მიღებული თუ მფლობელებისგან ჩარიცხული ფული. კანონი არ იძლევა საშუალებას, ამ „სხვა შემოსავლების“ წარმომავლობა და განაწილება დაზუსტებით ვიცოდეთ.

2011 წელს „რუსთავი 2“-ის „სხვა შემოსავალი“ 8 მილიონ ლარს გადააჭარბა. „კავკასიისა“ კი 38 032 ლარს შეადგენდა. დაუზუსტებელი შემოსავლის შესახებ ინფორმაცია „იმედის“ ანგარიშში არ არის.

„როდესაც არა მხოლოდ დასაწყისში, არამედ ფუნქციონირების მთელი პერიოდის განმავლობაში მფლობელები გამუდმებით ურიცხვან მედიასაშუალებებს თანხებს, მათთვის რეკლამა ძირითადი კი არა, დამატებითი შემოსავალი ხდება, ეს კი მთლიანად სარეკლამო ბიზნესს აზარალებს“, – ფიქრობს ბექაური. მისივე თქმით, არხების „სხვა თანხებით“ სუბსიდირება რეკლამაზე არასწორი და არათანაბარი ფასების არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მედიაკვლევების ერთ-ერთი თანაავტორი მათიას ჭუტერი ამბობს, რომ ეს ყველაფერი მედიის ბიზნესად ჩამოყალიბებას უშლის ხელს: „ფაქტია, რომ ტელევიზიები არ ფუნქციონირებს და არ აღიქმება ბიზნესად, არაა მოგებაზე ორიენტირებული, პირიქით, მფლობელები მედიაში ფულს დებენ და პოლიტიკურ იარაღად იყენებენ“.

ელექტრონული კომუნიკაციების მონიტორინგი კომუნიკაციების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას ევალება. ეს ფუნქცია სატელევიზიო რეკლამის წესების დაცვის უზრუნველყოფასაც მოიცავს. თუმცა, კომისიის თავმჯდომარე სარეკლამო

ბიზნესში თავადაც არის ჩართული. მას შემდეგ, რაც ირაკლი ჩიქოვანი კომისიის თავმჯდომარე გახდა, ერთი წლის განმავლობაში ის კვლავ რჩებოდა „მედია ჰაუსის“ თანამფლობელად. „მედია ჰაუსი“ რეკლამების გაყიდვების ორი დიდი სახლიდან ერთ-ერთი იყო და სარეკლამო დროს „რუსთავზე“, „მზეზე“ და კიდევ რამდენიმე არხზე ყიდდა. „მედია ჰაუსიდან“ ჩიქოვანმა თითქმის მილიონი ლარის შემოსავალი მიიღო სწორედ იმ სექტორში, რომლის ზედამხედველობაც მისი პრეროგატივაა. 2010 წელს ჩიქოვანმა „მედია ჰაუსი“ გაყიდა და „გამჭვირვალობის“ ცნობით, მისი კლიენტი კომპანიები ახლა „ჯენერალ მედიასთან“ თანამშრომლობენ. ირაკლი ჩიქოვანის ბიზნესინტერესები კიდევ რამდენიმე კომპანიაში ჩანს. ის გიორგი გეგეშიძესთან ერთად („რუსთავი 2“-ის დირექტორი და „მზის“ თანამფლობელი) „მაგი სტილი მედიას“ ფლობს, რომელიც კლიენტებს სხვა სერვისთან ერთად გარე რეკლამის, სამაუწყებლო დიზაინისა და სატელევიზიო რეკლამის შექმნა-განთავსებასაც სთავაზობს.

„კავკასიის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნინო ჯანგირაშვილი ამბობს, რომ მანკიერი სისტემა თანდათან იშლება, თუმცა, დღემდე ყველაფერი გარკვეული ინერციით მიდის და მდგომარეობა დაახლოებით 2-3 თვის განმავლობაში დალაგდება. ის არ გამოიციხავს, რომ სამომავლოდ რომელიმე გაყიდვების სახლთან ითანამშრომლოს. მისი თქმით, გაყიდვების სახლი ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობს და რეკლამის დამკვეთსაც და განმთავსებელსაც ერთ სუბიექტთან უხდებათ ურთიერთობა, რაც პროცესს ამარტივებს. „ცუდი არაფერია იმაში, თუ ერთი ან რამდენიმე მედიასაშუალება გაყიდვების სახლს შექმნიან, ოღონდ არა იმ პირობებში, როცა თითის განძრევაც არ სჭირდება და ყველა კონკურენტი განადგურებულია, ყველა კლიენტი მისია, რეკლამას რომელ არხზეც უნდა, იმაზე განათავსებს და პოლიტიკური ნიშნით არჩევს კლიენტსაც და განმთავსებელსაც“, – ამბობს ჯანგირაშვილი.

მისივე განმარტებით, ეს ყველაფერი ბაზარმა და რეიტინგებმა უნდა დაარეგულიროს. „გვირჩევნია რეიტინგებისთვის ბრძოლაში ჩავერთოთ, ვიდრე იქ, სადაც ამდენ ხანს არაფერს აზრი არ ჰქონდა“. **□**



სხალი
შოკოლადი
98.5 FM

☎ 2 985 985
✉ radio@shokoladi.ge
🌐 radio.shokoladi.ge



	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
07:50	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიკენდი	ღვინის გზამკვლევი
12:00					უიკენდი	ტეჩუუ	ნიგნები
13:00	ღვინის გზამკვლევი	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	არტ ვაუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუნდტრაკი	უიკენდი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
19:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
21:00						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
02:30	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		



ფოტო: ლევან სერცხელიძე

სამხატვრო ახალეივის უსვდელი ნახუი მოხიბი

სამხატვრო აკადემიის რექტორი აკადემიურმა საბჭომ 15 ნოემბერს მოულოდნელად გადაირჩია. საბჭოს წევრები ამბობენ, რომ რექტორის გადარჩევით სამართლიანობა აღადგინეს. სტუდენტების ნაწილისთვის კი, თავად აკადემიური საბჭოს შემადგენლობა არალეგიტიმური. ისინი აკადემიაში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და საჯაროობას ითხოვენ.

ანი ჭანკოტაძე



ფართო ვესტიბულიდან საგამოფენო დარბაზში ასზე მეტი სტუდენტი ირინა პოპიაშვილის რექტორობიდან გადარჩევასთან დაკავშირებით შეიკრიბა. დარბაზში შეთეთრებულ კედლებზე ათეულობით ნამუშევარი კიდა. მათი უმრავლესობა შიშველი ნატურაა და სტუდენტების ნამუშევრებს ჰგავს, თუმცა, იმავე წარმატებით ტილოები შეიძლება 50 წლის წინანდელად მიიჩნით.

„ჩვენ, სტუდენტებიც და თანამშრომლებიც, დავდებით ფაქტის წინაშე, რომ რექტორი შეიცვალა. აკადემიაში ეს პირველად არ ხდება... რატომ არავინ არაფერი იცოდა, რატომ არავინ არაფერი იკითხა და ზოგადად, სტუდენტების ლექტორებისა და საზოგადოების დაინტერესებული წევრების ჩართულობა რატომ არის ასეთი დაბალი მიმდინარე პროცესებში?“ – ამ სიტყვებით დაიწყო შეხვედრა პირველმა გამომსვლელმა, არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტმა დალი დარჯანიამ.

სტუდენტების აზრით, აკადემიის ლექტორები არაკვალიფიციურები არიან და პერსონალის შერჩევისას პროფესიონალიზმზე წინ პირად კავშირებს აყენებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი აკადემიური პერსონალის მიერ რექტორის არჩევა ან გადარჩევა არალეგიტიმურია.

13 ნოემბერს ირინა პოპიაშვილი სამხატვრო აკადემიის რექტორობიდან საგანგებოდ შეკრებილმა აკადემიურმა საბჭომ გადაირჩია და რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ტექსტილის დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი, თინათინ კლდიაშვილი დანიშნა. საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ პოპიაშვილმა მოგვიანებით შეიტყო. საბჭოს ერთ-ერთი წევრი, თამაზ ვარვარიძე „ლიბერალთან“ საუბრისას ჰყვება, რომ გადაწყვეტილება პროცედურული დარღვევებით მიიღეს და როცა ის სხდომაზე მიიწვიეს, საბჭოს 3 წევრს გადაწყვეტილება ოქმის სახით გაფორმებული ჰქონდა.

სამხატვრო აკადემიის აკადემიური საბჭო, რომელიც უფლებამოსილია აირჩიოს და არგუმენტების არსებობის შემთხვევაში გადარჩიოს რექტორი, 5 კაცისგან შედგება – აკადემიის 5 ფაკულტეტიდან საბჭოში თითოეულს თავისი წარმომადგენელი ჰყავს. პოპიაშვილის გადარჩევის გადაწყვეტილება სამმა წევრმა – ქეთი ქავთარაძემ, გია ჩლაიძემ და თამაზ ბარათაიამ მიიღო. მოგვიანებით,

მათ გადაწყვეტილებას დაეთანხმა დიმიტრი თუმანიშვილი, რომელიც ავადმყოფობის გამო სახლში იმყოფებოდა. თამაზ ვარვარიძემ კი გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა.

აკადემიურმა საბჭომ რექტორის გადარჩევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი ოქმით გააფორმა. აკადემიის საბჭოს წევრები ოქმში წერენ, რომ ირინა პოპიაშვილი აკადემიას ერთპიროვნულად მართავდა და ფინანსებს არამიზნობრივად ხარჯავდა. მათივე აზრით, ერთპიროვნულად და გაუმჭვირვალედ მოხდა აკადემიური პერსონალის შერჩევა, რამაც, საბჭოს წევრების აზრით, სასწავლო პროცესის შეფერხება, პედაგოგიური კოლექტივის უკმაყოფილება და მზარდი დაძაბულობა გამოიწვია.

საბჭოს ბრალდებებს ირინა პოპიაშვილმა სატელევიზიო გადაცემა „პოლიტიკურში“ ცილისწამება უწოდა და განაცხადა, რომ სიმართლის დასადგენად სასამართლოს მიმართავს.

მედიასთან საუბრისას, საბჭოს წევრებიც და რექტორის მოვალეობის შემსრულებელიც ოქმში მოტანილ საფუძვლებზე არ საუბრობენ და ამბობენ, რომ ირინა პოპიაშვილის არჩევა უსამართლოდ მოხდა, რადგან ის კულტურის ყოფილი მინისტრის, ნიკა რურუას კადრი იყო, მისი გადარჩევით კი – სამართლიანობა აღდგა.

სამხატვრო აკადემიაში რექტორის არჩევნები გია ბუღაძის რექტორობის ვადის გასვლის შემდეგ, 2012 წლის თებერვალში დაინიშნა. არჩევნებში მონაწილეობას რამდენიმე კანდიდატი იღებდა, მათ შორის, ამერიკაში მოღვაწე გალერისტი ირინა პოპიაშვილი და სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ლალანიძე.

2012 წლის თებერვალში აკადემიურმა საბჭომ 5-კაციანი შემადგენლობით მხარი ნინო ლალანიძის კანდიდატურას დაუჭირა, თუმცა, რამდენიმე დღეში არჩევნების დოკუმენტაცია კულტურის სამინისტრომ აკადემიიდან გამოითხოვა და პროცედურული დარღვევების აღმოჩენის გამო შედეგები ბათილად ცნო.

ხელახალი არჩევნების დანიშნამდე აკადემიურმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად თამაზ ვარვარიძე აირჩია.

სამხატვრო აკადემიაში შესვლა ამჟამად მხოლოდ ცენტრალური შესასვლელიდან შეიძლება. ტალახით, ნანგრევებითა და ძველი სკულპტურებით მოფენილ ეზოში სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს. შენობა, რომელიც მე-19 საუკუნის შუა წლებშია აშენებული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს, ავარიულ მდგომარეობაშია და გამაგრებას საჭიროებს.

აღმოსავლურ სტილში გადაწყვეტილი

ამავე დროს, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შესული ცვლილებებით, აკადემიის იურიდიული სტატუსი შეიცვალა და ის საჯარო სამართლის იურიდიული პირიდან არასამეწარმეო არაკომერციულ იურიდიული პირად გადაკეთდა. უმაღლესი განათლების კანონის მიხედვით, უნივერსიტეტში რეორგანიზაციის დროს რექტორს სამინისტრო ნიშნავს. „ამის საფუძველზე მთავრობა ვალდებული იყო თავად დაენიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებელი და 5 მარტს დაინიშნა ირინა პოპიაშვილი“, – ჰყვება აკადემიური საბჭოს წევრი, ქეთი ქავთარაძე.

9 აგვისტოს რექტორის არჩევნები ხელახლა ჩატარდა. ირინა პოპიაშვილი რექტორად აკადემიური საბჭოს იმ წევრებმა აირჩიეს, რომლებიც რამდენიმე თვის წინ მხარს ნინო ლალანიძის კანდიდატურას უჭერდნენ.

აკადემიური საბჭოს წევრის, ქეთი ქავთარაძის თქმით, პოპიაშვილი ერთადერთი კანდიდატი იყო და იძულებული იყვნენ მხარი მისთვის დაეჭირათ. როგორც ქავთარაძე ამბობს, მაშინ წინააღმდეგობის განცხადებას აზრი არ ჰქონდა. პოლიტიკური ვითარების შეცვლის შემდეგ კი თავისუფლად მოქმედება და სამართლიანობის აღდგენა გადანაწილდა.

ლექტორებისა და სტუდენტების ნაწილი პოპიაშვილის ლექტორების დროს დაწყებულ დადებით ცვლილებებზე საუბრობს. მათ მიაჩნიათ, რომ რა გზითაც არ უნდა მომხდარიყო მისი რექტორად არჩევა, ირინა პოპიაშვილმა აკადემიაში დადებითი ცვლილებები განახორციელა.

„პოპიაშვილის მოსვლის შემდეგ, აკადემიის კარი შეიღო. არ ვსაუბრობ აკადემიის შენობის ფუნდამენტის გამაგრებაზე და ა.შ., რაც მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ სტუდენტებისთვის ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო. წელს პირველად პედაგოგების მისაღები კონკურსი განსხვავებულად ჩატარდა და კვალიფიკაციისა და პროფესიულ აქტივობას ყურადღება მიექცა. აქამდე მისაღები კომისიები ამით არც ინტერესდებოდნენ და წინასწარ იცოდნენ, ვინ უნდა შეერჩიათ“, – აღნიშნავს სამხატვრო აკადემიის ლექტორი ლუიზა ლაფურაძე.

მხატვარი გიორგი კველიშვილი, რომელიც გია ბულაძის რექტორობის დროს რეფორმების საკითხში მის მრჩეველად მუშაობდა,

შემდეგ კი აკადემიის მიღმა დარჩა, სტრუქტურულ და მასშტაბურ პრობლემებზე საუბრობს: „თვითონ აკადემიური საბჭოც ისეთივე არადემოკრატიულად არის არჩეული თავის დროზე, როგორც რექტორი. ამიტომ, ჩვენ სისტემური პრობლემა გვაქვს და ერთადერთი გამოსავალი, აკადემიის სტრუქტურული განახლებაა. რექტორის საკითხის ცენტრალურ პრობლემად წამოწვევა აკადემიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით შეცდომა მგონია“.

ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ნინო ლალანიძე იმას, რომ სტუდენტებს სასწავლო პროცესი და ლექტორების კვალიფიკაცია არ მოსწონთ, უსაფუძვლო

■ „პოპიაშვილის მოსვლის შემდეგ, აკადემიის კარი შეიღო. არ ვსაუბრობ აკადემიის შენობის ფუნდამენტის გამაგრებაზე და ა.შ., რაც მეორეხარისხოვანია. მთავარია, რომ სტუდენტებისთვის ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყო“.

ბრალდებად მიიჩნევს. „არ ვიცი, ეს ბრალდებები საიდან მოვიდა და რას ემყარება“ – ამბობს ის.

ლალანიძეც და თინა კლდიაშვილიც აღიარებენ, რომ აკადემიის მართვაში ცვლილებები საჭიროა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ისინი საბჭოს მოცულობის 5-დან 15 წევრამდე გაზრდას აპირებენ. აკადემიის მთავარ პრობლემად ლალანიძეც და კლდიაშვილიც ფინანსური რესურსების სიმწირეს ასახელებენ.

თინა კლდიაშვილის თქმით, „შეუძლებელია იმ ტრადიციების უგულვებელყოფა, რომელიც აკადემიაშია, ანუ იმ ფესვებისა, რომელზეც ვდგავართ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თანამედროვეობას არ ავუბათ ფეხი. ეს, რა თქმა უნდა, აუცილებელია, ახალი ტექნოლოგი-

ბიც აუცილებელია. მაგრამ ის ახალი ტექნოლოგიები, რომლებსაც ახალგაზრდები ითხოვენ, ძვირადღირებულია და ეს ფინანსები არ იძლევა საშუალებას განავითარო“.

„ფინანსური რესურსების პრობლემა, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ მეორეხარისხოვანია. აკადემიაში არიან ძალიან მყარი პოზიციების მქონე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც პროცესებს ბუნებრივია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე წარმართავენ. ახლა აკადემიის რომ მისცე ძალიან მაგარი შენობა, უძლიერესი კომპიუტერული სისტემები და მთვარეზე რომ დააარსო აკადემია იმავე შემადგენლობით, ზუსტად ისეთივე დარჩება, როგორც ახლან...“ – ამბობს სამხატვრო აკადემიის ლექტორი, არქიტექტორი ლევან ასაბაშვილი.

პედაგოგების კვალიფიკაციის პრობლემის არსებობას ნინო ლალანიძე გარკვეულწილად აღიარებს, თუმცა მის მასშტაბურობას გამოირიცხავს და პრობლემის გადაჭრის გზას სახელფასო ფონდის გაზრდაში ხედავს.

„არის რალაც პრობლემები პედაგოგების კუთხითაც. როდესაც მონვეულ პედაგოგს საათში უხდი 6-7 ლარს და ეს კიდევ იბეგრება მერე, რამდენი ცნობილი ლექტორი მოინდომებს მოსვლას და სწავლებას აქ ამ ფულად? აი, ეს არის პრობლემა“, – ამბობს ლალანიძე.

გიორგი კველიშვილის აზრით, აკადემიიდან პოლიტიკური მოსაზრებებისა და სხვა არაადეკვატური მიზეზების გამო სხვადასხვა დროს არაერთი კვალიფიციური ლექტორი გაუშვეს, რომლებისთვისაც მთავარი მოტივაცია ხელფასი არ ყოფილა: „როცა მე ვმუშაობდი, აკადემიაში მუშაობდნენ ლევან ჭოლოშვილი, ილიკო ზაუტაშვილი, ბევრი კარგი მხატვარი, რომლებიც დღეს იქ აღარ არიან... ვინც ახლა აკადემიაშია და ვინც პოპიაშვილი გადაირჩია, ისინი ამბობენ, რომ ეს ჩვენი შიდა სივრცეა, აქ რალაცა შიდა თუხ-თუხი მიდის და აქ არავის ჩარევის უფლება არა აქვს და ა.შ., მაგრამ როგორ შეიქმნა ეს შიდა სივრცე? – გაყარეს ყველა, ვისი გაგდებაც შეიძლებოდა“.

ლევან ასაბაშვილის აზრით, ყველაზე დიდი პრობლემა აკადემიაში გადანაწილებების მიღების არადემოკრატიულობაა, რექტორის არჩევნებიდან დაწყებული, სტუდენტური თვითმმართველობისა თუ პროფესორ-მასწავლებლების არჩევით დამთავრებული. „გა-

ლიართ, რომ აკადემიაში არის კრიზისი და დაეინყოთ ამის გაადაზრება და კრიზისიდან გამოსვლაზე ფიქრი“, – ამბობს ის.

საკუთარ ჩართულობას ითხოვენ სტუდენტებიც, რომლებიც ამჟამად თავიანთი ინტერესების წარმომადგენელ ორგანოს აკადემიაში ვერ ხედავენ. ისინი თვლიან, რომ აუცილებელია, ყველა სტუდენტი იყოს ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში. მათ სურთ, რომ თვითმმართველობა არ იზღუდებოდეს 45 კაცით და მისი წევრი აკადემიის ყველა სტუდენტი იყოს. სტუდენტები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, გამარჯვებას და წესდების შეცვლას აპირებენ.

სტუდენტები მიიჩნევენ, რომ რექტორობის კანდიდატებმა საჯარო აუდიტორიის წინაშე უნდა წარადგინონ თავიანთი ხედვა და პროგრამები, რის შემდეგაც რექტორად საზოგადოებისათვის ყველაზე მისაღები ხედვების ავტორს შეარჩევენ. პროგრამების საჯარო განხილვის საჭიროებაზე საუბრობენ ირინა პოპიაშვილიც და თინათინ კლდიაშვილიც, თუმცა, ეს უკანასკნელი არჩევნებში სტუდენტების მონაწილეობას კატეგორიულად გამორიცხავს.

რექტორის არჩევასა თუ მართვის სხვა ასპექტებში სტუდენტების მასობრივად ჩართვის ინიციატივა აკადემიის თვითმმართველობასაც აბსურდულად მიაჩნია. თვითმმართველობის წევრები სასწავლებლის წესდებასა თუ უმაღლესი განათლების შესახებ კანონზე უთითებენ და ამბობენ, რომ რექტორის არჩევაში სტუდენტები მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

რექტორის მოვალეობის დღევანდელი შემსრულებელი, თინა კლდიაშვილი მიიჩნევს, რომ სტუდენტების ინტერესებისთვის უმჯობესი იქნება, რაც შეიძლება მალე დაუბრუნდნენ სრულყოფილ სასწავლო პროცესს. მისი თქმით, საპროტესტო აქტივობებში ძირითადად ისეთი სტუდენტები მონაწილეობენ, რომლებიც პროფესიული მუშაობით ნაკლებად არიან დაკავებულნი.

აკადემიური საბჭოს მიერ გადარჩეული ირინა პოპიაშვილი კი სტუდენტების ინიციატივებსა და მოთხოვნებს მნიშვნელოვნად მიიჩნევს და მათ ასე ახასიათებს: „სტუდენტები, რომლებიც აქ სწავლობენ, პოტენციურად 20 წლით უსწრებენ საზოგადოებას განვითარებით“.



გიორგი კვინიკაძე თავის სადიპლომო ნამუშევართან

სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა, გიორგი კვინიკაძემ სადიპლომო ნამუშევრად იგივე ნატურმორტი შეარჩია, რომლითაც აკადემიაში ჩააბარა. სტუდენტმა მხოლოდ ნამუშევრის ზომები შეცვალა და ნაშრომი უფრო დიდ ფორმატზე ზუსტად გადაიტანა, რითაც აკადემიაში მიღებული განათლების ხასიათი გამოხატა. „დიპლომი არის ის საფეხური, სადაც შენ პრეტენზიას აცხადებ, რომ ეს არის ჩემი ხარისხი, მიღებული ცოდნის ეკვივალენტი. 4 წლის განმავლობაში ისე გავიზარდე, რომ ფაქტი სახეზეა. ნიშნავს თუ არა დიდ ფორმატზე ნამუშევარი კარგ მხატვარს?“ – ამბობს გიორგი.

ირინა პოპიაშვილი გიორგი კვინიკაძის სადიპლომო ნამუშევრის დაცვას იხსენებს: „ეს იყო კონცეპტუალურად ძალიან კარგი ნამუშევარი, სადაც ავტორმა აჩვენა, რა განათლება მიიღო აკადემიაში. ხატვის ერთ-ერთმა პედაგოგმა კი იცით რა უთხრა? – კი დაგიხატავს, მაგრამ სფეროს დახატვა მაინც ვერ გისწავლიაო. – აი, ეს არის ფასეულობების აცდენის საუკეთესო მაგალითი. სტუდენტმა ნამუშევარი შექმნა სხვა კონტექსტში, რომელიც პედაგოგმა ვერც კი აღიქვა“, – ამბობს პოპიაშვილი.

თვალსაზრისი

აშშ-ის მომავალი საბაზო პოლიტიკის ხახსი

აშშ სახელმწიფო მდივნის კანდიდატურის მოლოდინშია. ვინ იქნება ადამიანი, რომელიც მომავალი ოთხი წელი თეთრი სახლის საგარეო კურსს უხელმძღვანელებს?

ვასო კუჭუხიძე

აშშ-ის ისტორიაში იშვიათია შემთხვევები, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი ახდენს გავლენას. 2012 წლის არჩევნებზე არ იყო გამორჩეული ამ მხრივ. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ხედვებთან დაკავშირებით პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის გამართულმა დებატებმა ამჯერადაც დიდი ინტერესისა და განხილვების ფონზე ჩაიარა, საბოლოოდ მაინც არჩევანის გაკეთების დროს ამერიკელთა ძალიან მცირე ნაწილმა მიაჩნა არსებითი მნიშვნელობა კანდიდატთა მომავალ საგარეო პოლიტიკურ კურსს.

Fox News-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, საგარეო პოლიტიკის ფაქტორმა მხოლოდ ამომრჩეველთა 6 პროცენტის არჩევანზე მოახდინა გავლენა. მაშინ, როდესაც ეკონომიკურმა ფაქტორებმა 61 პროცენტის არჩევანი განსაზღვრა, ხოლო ჯანდაცვის სისტემასთან დაკავშირებულმა საკითხებმა – 18 პროცენტის.

თუმცა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ არჩევნებში გამარჯვებულის ბედი ელექტორატის სამმა პროცენტმა გადანყვიტა, ხოლო იმ ამომრჩევლის 57 პროცენტმა, რომლისთვისაც საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანია, დემოკრატებს დაუჭირა მხარი, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სწორედ საგარეო პოლიტიკის სწორი ხედვის დახმარებით მოახერხა ობამამ გამარჯვება.

განსხვავებით ამერიკელი ამომრჩევლისგან, ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკური კურსი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ საერთაშორისო საზოგადოების უპრეცედენტო ინტერესის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები უკვე დასრულებულია და ობამას კურსიც მეტ-ნაკლებად ცნობილია, ინტერესი არ ნელდება. ამის მიზეზი აშშ-ის მომავალი სახელმწიფო მდივნის ვინაობასთან

დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობაა. სახელმწიფო მდივანი კი ის ფიგურაა, რომელიც ახალ საგარეო პოლიტიკურ კურსს უნდა ჩაუდგეს სათავეში და დიდწილად განსაზღვროს კიდევ ის. შესაბამისად, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ დაიკავებს ამ მნიშვნელოვან პოსტს.

შეერთებული შტატების ამჟამინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ობამას პრეზიდენტობის პირველი ვადის გასვლის შემდგომ, დაკავებულ პოსტს დატოვებდა. კლინტონმა რამდენიმეჯერ უარყო მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი, თუმცა 2016 წლისთვის დემოკრატთა მთავარ კანდიდატად მაინც ის მოიაზრება. შესაბამისად, შეიძლება სწორედ ეს იყოს მიზეზი მისი საგარეო უწყებიდან წასვლის სურვილისა.

ასეა თუ ისე, მეორე ვადით არჩეულ ობამას მოუწევს საგარეო პოლიტიკის ახალი ხელმძღვანლის შერჩევა. საინტერესოა, როგორ კანდიდატზე შეაჩერებს პრეზიდენტი არჩევანს – შეინარჩუნებს ტენდენციას და ისეთივე დიდი სიმბოლური კაპიტალის მქონე სახელმწიფო მდივანს დანიშნავს, როგორც ჰილარი კლინტონი იყო, თუ ამჯერად არჩევანს პრეზიდენტულ ტექნოკრატზე შეაჩერებს.

ერთი კი ცხადია, უკანასკნელი წლებია, აშშ-ის საგარეო უწყებისთვის აკადემიური წრეების წარმომადგენელს აღარ უხელმძღვანელებია. მომავალი სახელმწიფო მდივნის რაციონალურ მსოფლმხედველობასა და ინტელექტს კი დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია აშშ-ის წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

გამოწვევა უამრავია. ერთ-ერთი მათგანია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი, რომელიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში უკიდურესად გამწვავდა და დამატებითი პრობლემები გააჩინა ვაშინგტონშიც. მართალია, აშშ უშუალო მხარედ არ არის ჩაბმული კონ-

ფლიქტში, მაგრამ ისრაელთან დაკავშირებული საერთაშორისო კრიზისები პირდაპირ ასოცირდება ხოლმე მასთან. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აშშ-ის სხვა რამდენიმე პრეზიდენტისგან განსხვავებით, ობამა ისრაელის მიმართ საკმაოდ პრაგმატული და რაციონალური პოლიტიკით გამოირჩევა. თეთრი სახლი მაქსიმალურად ცდილობს ისრაელის შეიარაღებული კონფლიქტებისა თუ საერთაშორისო კრიზისებისგან შორს დაიჭიროს თავი და ამისთვის კრიტიკასაც არ ერიდება. თეთრი სახლის ეს პოზიცია ისრაელის ამჟამინდელ მმართველ გუნდში უკმაყოფილებას იწვევს.

ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ ისრაელის გეგმამ პრევენციული იერიშის შესახებ ობამას ადმინისტრაციის მხრიდან მხარდაჭერა ვერ მიიღო. სწორედ ამიტომაც, ისრაელის პრემიერი გულმხურვალედ უჭერდა მხარს რესპუბლიკელთა კანდიდატ მით რომნის, რამაც ობამას გამარჯვების შემდეგ გარკვეული უხერხული სიტუაცია შექმნა, თუმცა, ეს ორ ქვეყანას შორის არსებულ მჭიდრო ურთიერთობებზე უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს. გარდა ამისა, არჩევნების დროს ებრაული წარმოშობის ამერიკელთა 70 პროცენტზე მეტმა ობამას დაუჭირა მხარი, რაც პრეზიდენტს ისრაელთან მიმართებაში გარკვეულ მორალურ ვალდებულებასაც აკისრებს.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში აქტუალობას არ კარგავს ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების საკითხიც. მართალია, ობამას საგარეო კურსი რეგიონში დადებითად ფასდება და ერაყიდან ჯარების გამოყვანა თუ რეგიონში ბალანსის შენარჩუნება წარმატებად ითვლება, სირიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თეთრი სახლის უმოქმედობამ ობამას საერთაშორისო იმიჯს მაინც დიდი ჩრდილი მიაცენა. შესაბამისად, მომავალი



საგარეო პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი რეგიონში მშვიდობის დამყარება იქნება. ახალ სახელმწიფო მდივანს ასევე დიდი გამოცდა ელის თეირანთან მიმართებაში. თეთრი სახლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება გამარჯვებულად, თუკი ირანის ბირთვული პროგრამის განეიტრალებას სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე, დიპლომატიური საშუალებებით მიაღწევს.

ვაშინგტონისთვის ასევე მნიშვნელოვანია „არაბული გაზაფხულის“ შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა რეგიონში მის გავლენას საფრთხე არ შეუქმნას. ამ მხრივ თეთრ სახლს ისე მოუწევს მოქმედება, რომ არც საკუთარ გეოსტრატეგიულ ინტერესებზე თქვას უარი და არც რეგიონში მიმდინარე პროგრესულ სოციალურ ცვლილებებს შეუშალოს ხელი. სწორედ ოქროს შუალედის არჩევა შეუნარჩუნებს აშშ-ს მოკავშირეებს ახლო აღმოსავლეთში.

საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა აშშ-სთვის მომავალშიც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად დარჩება. ამ პროცესში კი საგარეო პოლიტიკურ კურსს უდიდესი

დატვირთვა ენიჭება. საკითხი ყველაზე მეტად ორ ქვეყანას, ავღანეთსა და პაკისტანს უკავშირდება. მართალია, ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია ობამას ერთ-ერთ მთავარ წარმატებად მიიჩნევა, მაგრამ ამ წარმატებას ჩრდილავს ტერორიზმის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესი მოკავშირის – პაკისტანის დაკარგვა. მომავალი სახელმწიფო მდივნისთვის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავი იქნება ორ ქვეყანას შორის გართულებული ურთიერთობის გამოსწორება და ნდობის აღდგენა. ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა კი იმ შემთხვევაში ჩაითვლება წარმატებად, თუკი ქვეყანა სტაბილურობას მიაღწევს და დემოკრატიულ კურსს დაადგება.

აშშ-ის ახალი საგარეო პოლიტიკური კურსის ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება ქვეყნის ინტერესების დაცვა აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონშიც. ერთი მხრივ, ჩინეთსა და იაპონიას შორის გამწვავებული ურთიერთობა, ხოლო მეორე მხრივ, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული ამბიციები რეგიონის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. აშშ-ის ეკონომიკური ინტერესებისთვის კი რეგიონში მშვიდობის შენარჩუნება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

რაც შეეხება ევროპასთან და რუსეთთან ურთიერთობას, ვაშინგტონი ეცდება ტრანსატლანტიკურ სივრცეში ლიდერის ფუნქცია შეინარჩუნოს და ამავდროულად, საშუალება არ მისცეს ევროპელ პარტნიორებს თავდაცვის სფეროში ხარჯების შემცირების ტენდენცია გააგრძელონ. მოსკოვთან მიმართებაში კი აშშ დილემის წინაშე დგას და ვაშინგტონის შემდეგი სვლები დამოკიდებული იქნება თავად კრემლის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე. თუკი პუტინი გააგრძელებს საერთაშორისო ასპარეზზე „ცუდი ბიჭის“ როლის თამაშს, ამერიკას საშუალება ექნება მას ანტისარაკეტო სისტემის საკითხი დაუპირისპიროს, ხოლო მოსკოვის კონსტრუქციულობის შემთხვევაში გადატვირთვის პოლიტიკა იქნება ვაშინგტონის საგარეო კურსის ქვაკუთხედი რუსეთთან მიმართებაში.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ობამა არ იქნება თავისუფალი მოქმედებებში, რადგანაც ნებისმიერი საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მის რატიფიცირებას აშშ-ში სენატში ხმების ორი მესამედი სჭირდება, დემოკრატებს კი ამის ფუფუნება არ აქვთ. ■

აფხაზური იზოლაციონიზმი იზოლაციონიზმი

აფხაზური იზოლაციონიზმი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მისი გაგება ძალიან ადვილია.

დემის პოლანდოვი

უცნაური აღმოჩენისკენ მიბიძგა ერთმა აფხაზმა მეგობარმა „ფეისბუქის“ ქსელში. აფხაზეთის ხელისუფლების მიერ ჩრდილოეთ კავკასიისკენ, კოდორის ხეობის გავლით გასაჭრელ გზაზე უარის თქმას (ისევე „პრინციპული აფხაზი ეკოლოგების“ აზრის მომხრებით) რომ განვიხილავდით, ჩემმა მეგობარმა ჩერკესკი-სოხუმის ის მარშრუტი გაგვიზიარა, რომელიც რუსულმა საძიებო სისტემა „იანდექსმა“ ამოუგდო. მისი მცდელობა გავიმეორე – სხვათა შორის, maps.yandex.ru-ზე თქვენც შეგიძლიათ ამის გაკეთება: ამოსავალი პუნქტის გრაფაში Черкесск უნდა ჩანდეს, დანიშნულების პუნქტისაში – Сухум (გაგაფრთხილებთ, ამ სიტყვის ბოლოს ასო и-იანი ვერსია შედეგს არ მოგცემთ). საოცარ რამეს დაინახავთ – რუსული (!) საძიებელი სისტემა აფხაზეთის დედაქალაქში ჩასვლას ვლადიკავკაზის, ზედა ლარსი – ყაზბეგის, შემდეგ კი ქართული სივრცის გავლით შემოგთავაზებთ, რომელიც რუკაზე უსახური რუხი ფერი-თაა გამოსახული.

უკანასკნელი ნამსაყუდელი

ჩერკესკი ერთი პატარა ქალაქია, რომელსაც 100 000-იანი მოსახლეობა ჰყავს და რომელშიც მე ბავშვობა გავატარე. აფხაზეთი ჩემთვის რომელიღაც საზღვაო კურორტი ან საახალწლო მანდარინების სამშობლო არასდროს ყოფილა – ზღაპრებიდან გადმოსული ადგილი იყო, სადაც დედაჩემი დაიბადა, სადაც დედაჩემის ბავშვობის, ბებიჩემის ახალგაზრდობის-დროინდელ, ურიცხვი ნათესავის ფოტოებზე ასახული ულამაზესი პეიზაჟები მეგულებოდა. ეს სამოთხე თითქოს ძალიან ახლოს იყო: „ამ მთების იქით აფხაზეთია“, – მეუბნებოდა ხოლმე ბებია და კავკასიონის დიდ ქედს მაჩვენებდა – მიმართულე-ბას კი არა, თვით ამ მთებს, რომლებიც ჰორიზონტს კედელივით მიუყვებოდა – ის ქედი ზღვის დონიდან 900 მეტრზე

მდებარე სოფლიდანაც კარგად მოჩანდა, რომელშიც ბებიჩემი, პროფესიით სტომატოლოგი, ინსტიტუტიდან განაწილების შემდეგ აღმოჩნდა და იქ დიდხანს იცხოვრა.

ამიტომ კითხვა „როგორ მოხდა, რომ აფხაზეთისკენ მიმავალი გზა არ არსებობს?“ ადრეულ ასაკშივე გამიჩნდა, მასზე პასუხს კი დროდადრო მთელი ცხოვრების განმავლობაში ვიღებდი. მალე მივხვდი, რომ ის კითხვა უფროსებისთვის მტკივნეული იყო, საბჭოთა პერიოდში – ხიფათის შემცველიც კი. თუმცა, სკოლა სსრკ-ს დაისის წლებში დავამთავრე და სიმართლე მაინც შევიტყვე – ნაწილ-ნაწილ, მძიმე ლოდებად. სწორედ აფხაზეთის გამო დასმული ამ კითხვიდან გადამეშალა თანდათანობით რუსეთის იმპერიიდან ჩერქეზების და აბაზების გასახლების სურათი. მაშინ მოვისმინე იმათი დატირება (ჩერქეზულად „ლიბზა“), ვინც შავი ზღვის წყალმა დაანთქა, ვინც თურქეთის ნაპირს მიაღწია და ვინც საკუთარ მიწაზე დარჩა. იმ წლებშივე წავიკითხე რუსი ოფიცრის მოგონებები, რომელსაც გულმა ვეღარ გაუძლო, როცა მშობლიურ ფსხუს ველებთან ჩემი წინაპრების გამომშვიდობების სცენას შეესწრო: ისინი საკუთარი მიწებიდან აყარეს და ზოგს ოსმალეთში უკრეს თავი, ზოგს – ჩრდილოეთ კავკასიაში. მაშინ იყო, რომ ეს გზა, რომელიც ჯერ კიდევ ძველმა რომაელებმა გაიყვანეს, მაგრამ ცარისტულ რუსეთში თუ საბჭოთა წლებში გაუვალად გახდა, ჩემთვის იმ კოლონილისტური რუსული პოლიტიკის სიმბოლოდ იქცა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ არასდროს დასრულებულა.

მერე იყო ქართულ-აფხაზური ომი. მან ორივე მხარისათვის ბევრი სიმართლე გააშინებდა. მაგრამ პატარა ჩერკესკში, ისევე, როგორც ბევრგან ჩრდილოეთ კავკასიაში, სხვა სიმართლე გახდა ხილული. თურმე იქ, მთების მიღმა, დიდი ადიღურ-აფხაზური სამყაროს უკანასკნელი ნაშთები დარჩე-

ნილიყო. თურმე ხსოვნა ამ უკანასკნელი ანკვლავის შესახებ, საზარელი ადიღურ-აფხაზური ტრაგედიის შესახებ არ დაკარგულა, ყველაფრის მიუხედავად, თაობიდან თაობაზე გადადიოდა. ოდესღაც ზღვის ხალხი ახლა უკანასკნელ ნავსაყუდელს კარგავდა.

ჩინური კედლით შემოსაზღვრული

აფხაზური იზოლაციონიზმი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მისი გაგება ძალიან ადვილია. თუკი გაცილებით მრავალრიცხოვანი ქართველი ერის წარმომადგენლისგან შეიძლება გაიგონო ფრაზა „ჩემი საცოდავი, პატარა საქართველო, რა მეზობელი გვერგო!“ (მე ასეთი რამ არაერთხელ მომისმენია), მაშინ გასაგები გახდება, რომ აფხაზების მიდრეკილება იზოლაციონიზმისკენ თითქმის გარდაუვალი იყო. დღეს აფხაზეთი პატარა, ომით კონსოლიდირებული საზოგადოებაა, რომელიც თავს იმის ფუფუნებას ვერ აძლევს, სიტუაციას განზოგადოებული ხედვით ადევნოს თვალი. აფხაზეთის თითქმის ყველა მკვიდრისთვის (ალბათ, გალის რაიონის ქვედა ზონის ქართული მოსახლეობის გარდა) ჯერაც შესაძლო ომი, საქართველოსთან ძალადობრივი რეინტეგრაციის პერსპექტივა მხოლოდ ნაციონალური პროექტის კრახს კი არა, ყოველივე პიროვნულის, ინდივიდუალური-სა თუ მამა-პაპისულის, ცხოვრებისეული გზის კრახს მოასწავებს.

საქართველოს ბევრ მოქალაქეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, აფხაზეთის შესახებ წარმოდგენა თითქმის არ აქვს ან, ალბათ, ხანგრძლივი, ერთობ წინააღმდეგობრივი პროპაგანდით აქვს ჩამოყალიბებული. ყველაზე ხშირად იმის მონმე ვხვდები, რამდენად არ ესმით ქართველებს აფხაზური საზოგადოების კონსოლიდირებულობის ხარისხი საქართველოსთან მიმართებით. ამ განცდას ყველაზე ლაკონური და ხატოვანი განსაზღვრება, მგონი

ერთმა ცნობილმა ქართველმა ბლოგერმა მოუძებნა, რომელიც ინტერნეტში აფხაზეთთან ხშირად ურთიერთობს. როგორც ჩანს, საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, მან ერთხელ დაწერა: ხვალ რომ ანქვაბი ტელევიზიით გამოვიდეს და განაცხადოს, აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ბრუნდებაო, პირველი ის ოპერატორი ესერის, რომელიც კამერის უკან იდგებაო (ციტატა არაზუსტია, ისე ვწერ, როგორც დამამახსოვრდა).

და კიდევ ერთი მცირე ჩანახატი. ომის შემდგომ წლებში აფხაზი ჟურნალისტების ერთ-ერთი პირველი სტუმრობა იყო საქართველოში, როცა პატარა კაზუსი მოხდა. აფხაზები დევნილებთან მიიყვანეს, სადაც უფროსებთან ერთად ბავშვებიც იყვნენ. ერთმა აფხაზმა ჟურნალისტმა პატარა გოგონას ჰკითხა: „აფხაზეთში რომ დაბრუნდე, იმეგობრებ აფხაზ ბავშვებთან?“ ბავშვმა ალაღად გაიკვირვა: „აქ რომ აღარ დაგვხვდებიან? ყველანი გაიქცვიან“. ეს ამბავი საერთო ნაცნობის პირით მაქვს მოსმენილი, მაგრამ აქ ის კი არაა მთავარი, რამდენად შეესაბამება მისი ნაამბობი სიმართლეს – სურათი აფხაზების იმ წარმოდგენას შეესაბამება, რომელიც მათ საქართველოსთან რეინტეგრაციის ჰიპოთეტურ შედეგებზე აქვთ. შენც, ქართველო მკითხველო, ალბათ, იცნობ საქართველოს ისეთ მოქალაქეს, რომლის წარმოდგენებსაც ასახავს ეს ამბავი.

ამიტომ რა გასაკვირია, რომ ენგურის ხაზის გასწვრივ „ჩინური კედლის“ აგება, ჩრდილოეთ კავკასიისკენ (სალაფიტების და ბანდიტების გადმოსვლის ხიფათი) მიმავალ გზაზე უარის თქმა, უცხოელებისთვის – პირველ რიგში, რუსეთისთვის, რომელიც ძალიან მალე „გადაყლაპავს“ პატარა რესპუბლიკას – უძრავი ქონების ბაზრის გაუხსნელობა დღევანდელი აფხაზეთის რიგითი მკვიდრის ჩვეულებრივი სურვილებია.

გლობალური მსოფლიო

მიჭირს ზუსტად თქმა, აფხაზეთის რამდენი მაცხოვრებელი იზიარებს ამგვარ იზოლაციონისტურ განწყობას, თუმცა, სოხუმის მკვიდრთა შორის „ეხო კავკასას“ მიერ მოწყობილი გამოკითხვები მოწმობს, რომ – საკმაოდ ბევრი. ეგრეთ წოდებული მოპაჯვრების (ე.წ. – იმიტომ, რომ „მაჰაჯი-



■ აფხაზური იზოლაციონიზმი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, მისი გაგება ძალიან ადვილია. თუკი გაცილებით მრავალრიცხოვანი ქართველი ერის წარმომადგენლისგან შეიძლება გაიგონო ფრაზა „ჩემი საცოდავი, პატარა საქართველო, რა მეზობელი გვერგო!“ მაშინ გასაგები გახდება, რომ აფხაზების მიდრეკილება იზოლაციონიზმისკენ თითქმის გარდაუვალი იყო.

რი“ საკუთარი ნებით გასახლებულს ნიშნავს) შთამომავალთა დაბრუნების თაობაზეც კი დაიკარგა ადრინდელი ერთსულოვნება – აქ მუსლიმების შიშიცაა გარეული, უცხო კულტურის მიმართ სიფრთხილაც და ა.შ. შესაძლოა, ამგვარი იზოლაციონისტები საზოგადოების უმეტეს ნაწილსაც შეადგენდნენ – ეს თუ გაამართლებს აფხაზეთის ხელისუფლების პოლიტიკას დემოკრატიის ნორმების დაცვის თვალსაზრისით.

სხვა საქმეა, რამდენად შეესაბამება ეს პოლიტიკა რეალობის მოთხოვნებს. აფხაზეთი გლობალური მსოფლიოს ნაწილია, რეგიონის ნაწილი, და იმ გლობალურ მეზობლებს, რომელთაც სამხრეთ

კავკასიაში საკუთარი ინტერესები გააჩნიათ, ვერსად გაექცევა. უკვე დღეს, საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, რუსეთი აშკარა ინტერესით უყურებს ამ ქვეყანასთან ურთიერთობის პერსპექტივებს. მას მერე, რაც რეინტეგრაციის მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა, აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის განახლების საკითხი წამოჭრა, რუსეთის, სომხეთის, და, დაბრუნებული ვარ, თურქეთის ინტერესი მხოლოდ გაძლიერდა. ამ პირობებში გამოგნებელი პოლიტიკური მოუქნელობა იქნება, თუკი აფხაზეთის გავლით თუნდაც სატვირთო გადაზიდვების აღდგენას მთელი პრინციპულობით დაუკავშირებ იმ საკითხს, აღიარებს თუ არა საქართველო აფხაზეთს.

აფხაზეთს გავლენის მნიშვნელოვან რესურსებს სხვა მიმართულებით (ჩრდილოეთ კავკასიის მიმართ, თურქული და ახლოაღმოსავლური დიასპორებისადმი) გამოვლენილი იზოლაციონიზმიც აკარგვინებს. ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება ბოლოს ის მოიტანოს, რომ აფხაზეთის ბედს ისევ მსხვილი მოთამაშეები, მისი მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტენ.

P. S. ამ მასალის გამოგზავნამდე რამდენიმე წუთით ადრე აფხაზეთიდან ჩვენი კორესპონდენტის შეტყობინება მივიღე. რკინიგზის საკითხებისადმი მიძღვნილ მრგვალ მაგიდასთან, რომელიც მეოთხე რუსულ-აფხაზური საქმიანი ფორუმის ფორმატში ტარდებოდა, რუსმა მოხელემ დამსწრეთ შეატყობინა, რომ პროექტი „ჩერკესკი-სოხუმი“ დეტალური განხილვისათვის მზადაა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს, ეკონომიკის ყოფილ მინისტრ კრისტინა ოზგანს მისთვის არ უპასუხია. ■



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

აზერბაიჯანში ჰიოსტესტის ბამოსახვა ბაძვიხდა



აზერბაიჯანული ოპოზიციის მიერ პარლამენტის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები, რომლებიც უნებართვო საპროტესტო აქციებზე ჯარიმების გაზრდას ითვალისწინებს, 17 ნოემბერს პოლიციამ უხეშად დაარბია. 30 ადამიანი დაპატიმრებულია. ბაქოს მერიას არც ამჯერად გაუცია ნებართვა ამ აქციის ჩატარებაზე.

სეიმურ ქაზიმოვი, აზერბაიჯანი, თავისუფალი ჟურნალისტი

საპროტესტო აქციის დროს ჟურნალისტებსა და პოლიციელებს შორის ფიზიკური დაპირსპირება მოხდა. ამის მიზეზი ის შეიქნა, რომ ჟურნალისტს, რომელსაც „PRESS“ წარწერიანი ჟილეთი ეცვა, პოლიციელი თავს უმიზეზოდ დაესხა.

ახალი კანონის თანახმად, ადამიანებს, რომლებიც საპროტესტო გამოსვლაში მონაწილეობენ, ან აქციას ესწრებიან, 500-1000 ევროს ოდენობის ჯარიმა ექნებათ გადასახდელი, ხოლო მათ, ვინც ორგანიზატორებად მიიჩნევა – 1500-3000 ევრო. თუკი ორგანიზატორს რამე ოფიციალური პოსტი უკავია, მაგალითად, პოლიტიკური პარტიის წევრია, მაშინ ჯარიმა კიდევ უფრო იზრდება და 3000-6000 ევროს აღწევს.

2 ნოემბრამდე, ანუ, მანამ, სანამ კანონში ეს ცვლილებები შევიდოდა, მაქსიმალური ჯარიმა ამგვარ აქციებში მონაწილეობისთვის 7-13 ევრო იყო. ბაქოს მერია ოპოზიციას ქალაქის ცენტრში გამოსვლის ნებართვას არასდროს აძლევდა და ამას იმით ასაბუთებდა, რომ აქციები მოქალაქეებს დისკომფორტს უქმნის. ოპოზიცია ამას ყოველთვის საბაზად მიიჩნევდა. მერია ოპოზიციის წარმომადგენლებს ქალაქის გარეუბნებში სთავაზობს ხოლმე პროტესტის გამობატვას. ოპოზიცია, როგორც წესი, ამგვარი შეთავაზებით



უკმაყოფილოა.

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ახალი შესწორებები დაამტკიცა, ახალი კანონი ძალაში 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ შევა. ოპოზიციური

პარტიების და დამოუკიდებელი ექსპერტების აზრით, ეს შესწორებები შეკრების თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული და 2013 წლის 16 ოქტომბერს დაგეგმილი საპრეზიდენ-


ტო არჩევნების წინა პერიოდში ხელისუფლების სიფრთხილით აიხსნება.

ჯარიმების ახალ ოდენობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი მოსახლეობის დაბალი შემოსავალია. ქვეყანაში საშუალო ხელფასად დაახლოებით 95 ევროა მიჩნეული. ხელისუფლების მომხრე დეპუტატების აზრით, მაღალი ჯარიმები უკანონო ქმედებების კარგი საპრევენციო ხერხი იქნება. პირველად ოპოზიციამ კანონში შესატანი ახალი შესწორებები წელს, 2 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ გააპროტესტა, სწორედ იმ დროს, როდესაც 125 პარლამენტარი ამ იდეას კენჭს უყრიდა. მაშინ 105 ხმა შესწორებების მომხრე-

ბისთვისაა დანესებული და სისხლის სამართლის დანაშაულზე დანესებულ ჯარიმებს აღემატება. ყველაზე მაღალი ჯარიმა ამ უკანასკნელზე 1000 ევროა. ეს ერთი პრობლემაა.

მეორე პრობლემა ადმინისტრაციულ დარღვევებზე პასუხისმგებლობის დონის საკითხია. ერთი და იმავე ტიპის ადმინისტრაციული დარღვევისთვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ნაკლებია, ვიდრე რიგითი მოქალაქის, არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ პოლიტიკური პარტიის.

შეკრების თავისუფლებას ორი ასპექტი გააჩნია: უკანონო შეკრებები და კანონგარეშე, უნებართვო შეკრება იმ ადამიანებისა, რომელთაც შეკრების უფლება გააჩნიათ.

ევროპის ქვეყნებში ადმინისტრაციული დარღვევების კოდექსი შეკრების თავისუფლებას თავისთავად გულისხმობს და საამისო ნებართვის ქონა-მოპოვებას არ მოითხოვს. ევროპული კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, მშვიდობიანი თავყრილობის მოწყობის უფლება ყველა ადამიანს აქვს, მათ მხოლოდ შესაბამისი სამსახურების ინფორმირება ევალებათ. დემოკრატიულ საზოგადოებაში ამას ეროვნული და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესები მოითხოვს. ადმინისტრაციულ დარღვევად ამგვარ საზოგადოებაში შეკრების შემდეგ კანონის დარღვევა და ძალადობა მიიჩნევა, ვთქვათ, ადამიანებისთვის ან მათი საკუთრებისთვის რაიმე სახის ზიანის მიყენება და ა.შ. აზერბაიჯანში კი მოქალაქეებს, სამოქალაქო მოსაზრებებით რომ შეიკრებონ, ხელისუფლების ნებართვა ესაჭიროებათ. მეტიც, შეკრების ადგილის არჩევისას მკაცრ შეზღუდვებს აწყდებიან. 



ბისა გამოდგა, ხუთმა დეპუტატმა მათ წინააღმდეგ მისცა ხმა, ერთმა – თავი შეიკავა.

აზერბაიჯანში ყველაზე მაღალი ჯარიმები ადმინისტრაციული დარღვევე-



სტატიკა მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამომხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.



გალაცხა

ლიბერალი



სსიპი
შოქიძის
98.5 FM

ყოველ სამუშაო დღეს

სალამოს 7 საათზე

რადიო „ცხელი შოკოლადის“

ეთერში

www.facebook.com/TalkShowLiberali

ფოტორეპორტაჟი
ბაქო-თბილისი-ყარსი –
ევრაზიის ახალი სარკინიგზო „ხიდი“

თემო ბარძიმაშვილი





ფოტორეპორტაჟი

კითხვაზე, თუ სად გადის საზღვარი ევროპასა და აზიას შორის, აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში, ერთნაირად პასუხობენ: „რა თქმა უნდა, აქ“. თითოეული მათგანი თვლის, რომ სწორედ ისაა ევროპასა და აზიას შორის გეოგრაფიული და კულტურული „ხიდი“. რამდენიმე წლის წინ კი ეს სამი ქვეყანა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კიდევ ერთ პროექტზე სამუშაოდ გაერთიანდა. ახალი სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს გავლით ბაქოსა და ყარსს დააკავშირებს, ბევრი ექსპერტის შეფასებით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია ამ სამი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური


ურთიერთობისთვის. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა 2008 წელს დაიწყო. საქართველოს ტერიტორიაზე იგი ითვალისწინებს მარაბდა-ახალქალაქის არსებული 160-კილომეტრიანი სარკინიგზო ხაზის რეკონსტრუქციას და ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე ახალი 25 კილომეტრის სარკინიგზო ხაზის მშენებლობას. თურქეთის რკინიგზა გვირაბის გავლით დაუკავშირდება. წინასწარი შეფასებით, რკინიგზის გამტარუნარიანობა გაშვებისთანავე წელიწადში 5 მილიონი ტონა იქნება, ხოლო შემდგომში 10 მილიონ ტონამდე გაიზრდება. მოსალოდნელია, რომ სარკინიგზო მაგის-

ტრალი ბევრ ახალ სამუშაო ადგილს შექმნის. მაგალითად, ახალქალაქის მომავალ საერთაშორისო სადგურზე 1600 ადამიანი იქნება დასაქმებული. ამჟამად ბაქო-თბილისი-ყარსის საქართველოს სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობაზე დაახლოებით 4 ათასი ადამიანია დასაქმებული.

თუმცა, ყველა არაა კმაყოფილი რეგიონში რკინიგზის მშენებლობით. მაგალითად, ახალქალაქიდან 15 კილომეტრში მდებარე სოფელ დადემის მოსახლეობამ რამდენჯერმე სცადა სამუშაოებისთვის ხელის შეშლა. მომავალი რკინიგზის მიწაყრილმა, რომელიც სოფლიდან ორიოდე კილომეტრში გადის,



დადემელებს საძოვრებისა და სახნაფ-სათესი მიწებისკენ მიმავალი გზა გადაუღობა. მართალია, რამდენიმე კილომეტრში მიწაყრის ქვეშ გაკეთებულია გადასასვლელი, მაგრამ ადგილობრივების თქმით, ის ძალიან მოუხერხებელ ადგილასაა განლაგებული და ყოველდღიურად სარგებლობა შეუძლებელია.

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალი ოფიციალურად 2014 წელს უნდა გაიხსნას. თუმცა ეს თარიღი უკვე რამდენჯერმე იყო გადატანილი: რკინიგზა ჯერ 2010-ში უნდა გახსნილიყო, შემდეგ კი 2011 და 2012 წლებში. 




ՅՄՈՒՐԱՅՄՐԹԻՄ





ზამთხისპიხის სევდა



ბექა ქურხული მწერალი

თბილისი ძალიან მიყვარს. ჩემი ქალაქია. თითქოს არც არაფერი აქვს საყვარელი. რა აქვს, რო? განოლილა, ეგრე ხეობაში, მიიგრავნება ანაკონდასავით. ჩემი ცხოვრების განმავლობაში, სწორედ იმ ანაკონდასავით, სამჯერ მაინც იცვალა კანი. ჩემს ბავშვობაში სულ სხვანაირი იყო, მერე, აჯანყებული სულ სხვანაირი გახდა, ახლა კი სულ სხვანაირია. ბავშვობისას, იმ უამურ, უჭმურ, ქარხნებისმილებამოჩრილ და გაუხარელ ქვეყანაში, რომელსაც ასევე უაზრო და გაურკვეველი სახელი – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ერქვა, ალბათ ერთი იშვიათი ქალაქი იყო, სადაც სიცილი ისმოდა. სიცილი ისმოდა მიუხედავად ყველაფრისა. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტებს თბილისისთვისაც არ დაუშურებიათ, არც ქარხნის მილები, არც ტყვია და არც უსახური მასივები. მაინც ღიმილიანი, ლალი ქალაქი იყო. დაპყრობილი ხალხის დედაქალაქისთვის გამაღიზიანებლად ლალიც კი.

მერე აჯანყდა. ცაც კი დახვრიტა ამ ქალაქიდან ნასროლმა ტყვიებმა. ყველაფერი ზედ დაიმხო. თავიდან თითქოს იცოდა, რისთვისაც იბრძოდა და რასაც აუჯანყდა, მერე კი აირია.



უაზრო სროლას მოჰყვა. დამარცხდა და ახლა ამ დამარცხების დაცხრილვა დაიწყო. თბილისი მაშინ სიკვდილის ხეობად იქცა. ჩემი თაობისათვის დამახასიათებელი რუსული სლენგის გავლენით – „დალინა სმერტის“ ვეძახდი. თუმცა, ალაღად შემიძლია ვთქვა, რომ არც მაშინ მეშინოდა შეიარაღებული და ჩაბნელებული თბილისის და არც ახლა, აქედან არ განვსჯი მაშინდელ ამბებს. მესმოდა და ახლაც კარგად მესმის, რაც მოხდა და რაც ხდებოდა. ასე კარგად, ალბათ, არც არაფერი მესმის ცხოვრებაში. თბილისი იბრძოდა და როგორც

ნებს ხოშიანად.

ახლანდელი თბილისი სულ სხვანაირია. მეტყველება კი ჩვენს თვალწინ შეიცვალა. თუმცა, ეს სხვაობა და სახეცვლილება მაინც მოჩვენებითი და პირობითია. თბილისი, სინამდვილეში, სულ ერთნაირი იყო. უბრალოდ კანსა და იერსახეს იცვლის, მოდას მიჰყვება, რადგან როგორც ყველა სამხრეთულ ქალაქს, თავისი სწოთური ამბებიც თან ახლავს. ეგ ყველაფერი მაინც გარეგნული ნიშნებია სექტემბრის ბოლოს და 1 ოქტომბრის ჯახანიც ეგ იყო. უცებ იცის, შემოტრიალდება და გაჩვენებს, რაც ბევრისთვის და უბედურისთვის უჩვენებია, თუნდაც დამარცხებულს, რომ ყველაფერი დროებითია, მით უმეტეს, აქ, ამ ხეობაში, რომელსაც თბილისი ჰქვია და თხუთმეტი საუკუნეა, შიგადაშიგ ცეცხლის ალებს აარეკლინებს ხოლმე ზეცას.

ერთადერთი, რაც ამ ქალაქში არ მიყვარს, ზამთარია. არ უხდება. არ არის მისი დრო, ნაცრისფერდება, ცრიატდება და რაც არ უნდა აბრჭყვიალო, სულ ბნელა. მოთოვს, თოვლი არ არი, მზეც წავა, გადიკარგება, ცაც გაგიუცხოვდება.

სევდალა რჩება. ზამთრისპირის სევდა. და კიდევ ის, რასაც ზამთრის გარდა წელიწადის ვერცერთი დრო ვერ გაგრძნობინებს.

ჯიბეში ხელბზაყოფილი, აი, სიგარეტის კვამლს ცხვირით რომ უშვებ, თითები რომ არ წაგყეინოს და საყელოანუული გაზაფხულს რომ ელოდები, ეგა.

გაზაფხულის მოლოდინი.



WWW.LIBERALI.GE

ბავბხნყინდეთ თუ ახ ბავბხნყინდეთ?



კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

გუშინ, უკვე საკმაოდ გვიან იყო, სიონის მიდამოებში ვსეირნობდი და პირველად მოკვარი თვალი ავლარის რეზიდენციას გარე განათების გარეშე.

პირდაპირ ვიტყვი, პირველი რეაქცია ბუნდოვანად უსიამოვნო შეგრძნება იყო. ეს უსინათლობაგამოვლილი მოქალაქისთვის ბუნებრივიცაა, მაგრამ, მეორე მხრივ, დღეს, როდესაც ქალაქებში ელექტროენერჯის მდგრადად გამოყენების თემა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება, საინტერესოა, თუ როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ, თბილისელებს, ისეთ ქალაქთან ურთიერთობა, რომელიც ელექტროენერჯის მოხმარების რეგულაციებსაა დამორჩილებული.

სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენი შემხედვარე, ვერც კი წარმომიდგენია, თუ როდის შეიძლება ყველაფერი ეს მოხდეს, რადგანაც, თუნდაც ავლარის რეზიდენციის შემთხვევაში, თბილისელების კომენტარებს თუ გადაავლებთ თვალს სოციალურ ქსელებში ადვილად შეამჩნევთ, რომ კომენტატორების 99% მხოლოდ იმაზე იწუხებს თავს, უნდა გაეთიშათ თუ არა პრეზიდენტისთვის (ან, თვითონ გაეთიშა) ელექტროენერჯია, პლუს ყველაფერი ის წყალი, რაც ასეთ ლაპარაკს მოჰყვება ხოლმე. ყოველი შემთხვევისათვის პირადად მე სხვას იქ ვერაფერს გადავანყდი, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ თბილისელების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ მუნიციპალური ხელისუფლებისგან ან ზოგადად „მთავრობისაგან“ ველით ქმედებებს და საერთოდ არ ვფიქრობთ საკუთარ ძალისხმევაზე ამ მიმართულებით.

მართლაც, ქალაქის ქუჩებს და სხვადასხვა, სახელმწიფო თუ კერძო საკუთრებაში მყოფ შენობებს დროებით რომ შევეშვათ და თბი-

ლისელების ბინებში შევიხედოთ, თავში არც კი მოგვივა ამ ქალაქის მოსახლეობას დენის ტარიფი უმონწყალოდ გაზრდილი რომ ჰგონია. ვერც იმას მივხვდებით, თბილისელების უმრავლესობა „საარსებო მინიმუმის ზღვარს დაბლა“ რომ იმყოფება. თუ ჩემი არ გჯერათ, გამომყევით სასაქონლო ლამის თბილისში (ან უჩემოდ გაისეირნეთ) და ადვილად დარწმუნდებით ამაში. სასწრაფოდ დავამატებ იმასაც, რომ მათგან, ვისთვისაც საკუთარ ბინებში ელექტროენერჯის ეკონომიის პრაქტიკა უცნობი არაა, შენიშვნებს ვერ მივიღებ, რადგანაც ისინი შემამოფოთებლად უმცირესობაში იმყოფებიან.

მეორე მხრივ, თუ თავს შეინუხებ და მსოფლიოს ქალაქებში ელექტროენერჯის ეკონომიურად მოხმარების დირექტივებს თუნდაც ზერელედ გადაავლებთ თვალს, ისე შეშინდები, რომ ან საერთოდ გათიშავ




ელექტროენერჯიას სახლში, ან კიდევ კიდევ უფრო დაუნდობლად გააგრძელებთ ელექტროენერჯის მოხმარებას. მართლაც, ეს ძალიან რთული და ჩახლართული საკითხია და ყველა ქალაქი საკუთარ კონცეფციაზე დაყრდნობით ცდილობს ამ საკითხის მოგვარებას.

არ მოვიტყუებ, მე ნამდვილად არ ვარ ღრმად ჩახედული იმაში, თუ როგორია ქალაქ თბილისის მუნიციპალური სამსახურის დღევანდელი ან მომავალი ხედვა ქალაქში ელექტროენერჯის ეკონომიურად მოხმარების თაობაზე, მაგრამ ფაქტია ის, რომ თვითონ თბილისელები ამაზე ნაკლებად ვფიქრობთ ან ვმსჯელობთ, არადა, მიამჩნია, რომ სწორედ ესაა ყველაზე მთავარი. მრავალწლიანი ბნელი წლების შემდეგ ჩვენ

თითქოს ავტომატურად დავიმსახურეთ განათებული ქუჩები, ბინები, შენობები, ზოგადად, განათებული ქალაქი, მაგრამ ნათელია ისიც, რომ ეს ბედნიერი „სტოპ კადრი“ სულ ასე ვერ გაგრძელდება. ქალაქს ესაჭიროება ძალიან მკაფიო და მოქნილი კონცეფცია ელექტროენერჯის მდგრადი გამოყენების შესახებ და ამ მიმართულებით ნაბიჯების გადასადგმელად უფრო აქტიური აზრთა გაცვლა-გამოცვლის პირობებია საჭირო. მხოლოდ ასე თუ გახდება შესაძლებელი ჩვენივე ცნობიერების ამაღლება, რაც, თავის მხრივ, ნიშნავს იმასაც, რომ ადრე თუ გვიან მოვახერხებთ სხვადასხვა მოვლენების შეფასებისთვის აუცილებელი რაკურსის გამოდღრებას კონკრეტულად ქალაქთან და ქალაქში თანაარსებობასთან მიმართებაში თუ უფრო ზოგადად.

ვალღარებ, ეს ძალიან მოსაწყენი რეალობა იქნება და ერთადერთი დამამშვიდებელი რამ, რაც შემიძლია ვთქვა ისაა, რომ ასე მხოლოდ ჩვენთან არაა. უკვე დიდი ხანია მსოფლიომ შეაბიჯა მოსაწყენი ქმედებების ველში, რაც თვითგადარჩენის რეჟიმში არსებობას მოაქვს და ამას ვერაფერს წაუყურადებს. დღეს საკითხი ისე კი არ დგას „ჩაუუქროთ მიმას (გრიმას, ბიძინას და ა.შ.) სინათლე თუ არა“, არამედ „ჩავიქროთ თუ არა სინათლე“ ჩვენ. ამაზე მოსაწყენი პირადად მე არაფერი ვიცი, მაგრამ ვალღარებ იმასაც, რომ თვითგადარჩენის პერიოდში შექმნილი უნარები თითოეული ჩვენგანის ზრდის საწინდარია. ზრდა კი, რამდენადაც ვხვდებით, პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ ყველაფერ დანარჩენთან ერთად შენ შეძლებისდაგვარად ობიექტურად (და არა მაინც-ცდამაინც „სამართლიანად“) აფასებ შენივე შესაძლებლობებს და უღრან ტყეში გზის გაკვლევას ასე ცდილობ.

ისე კი, იდეალურ შემთხვევაში, მგონია, რომ პრეზიდენტის სასახლე, თუ ის საერთოდ არსებობს ამა თუ იმ ქვეყანაში და ქალაქში, განათებული უნდა იყოს, მაგრამ იდეალური პირობების დრო წავიდა. სამწუხაროდ. 



www.ucnobifm.ge



ახალი დინამიკი

www.tv9.ge